# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 19 მაისი 2001 №91 (1364) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტეფანიამ ოპერაცია ირჩია და ნაკრებს გამოაკლდა



ვლადიმერ სტეფანია ბურთს ერთი თვე ვერ გაეკარება

საქართველოს ნაკრებისა და „ნიუ ჯერსი ნეთსის“ ცენტრი ვლადიმერ სტეფანია ვერაფრით შეეშველება ეროვნულ გუნდს ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე. ორიოდ დღის წინ ვლადიმერმა სან ფრანცისკოში ლამის ქრონიკულად მტკივანი მარცხენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ქირურგთა გადაწყვეტილებით იგი 25 მაისამდე კლინიკაში დარჩება, შემდეგ კი შინ, სიეტლში გაემგზავრება და ერთ თვეს აღდგენით პროცედურებს მოახმარს. ამ ხნის განმავლობაში მას არათუ კალათბურთის თამაში, უმნიშვნელო დატვირთვაც კი აუკრძალეს. საქართველოს ნაკრები კი საწყის სამ მატჩს 3, 6 და 9 ივნისს გამართავს.

სტეფანია მუხლის მკურნალობას ხორვატიაში გეგმავდა. იყო იმედი, რომ იგი იქიდან ჩავიდოდა სლოვენიაში და შეკრებაზე მყოფ საქართველოს ნაკრებს შეუერთდებოდა, მაგრამ ვლადიმერმა რადიკალური ზომა — ოპერაცია ირჩია და ამის გამო მისი ეროვნულ გუნდში თამაში გამოირიცხა.

საქართველოს ნაკრები კი დღეს ღამით მიემგზავრება სლოვენიურ შეკრებაზე. ინტერვიუ გუნდის მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძესთან იხილეთ მეათე გვერდზე.



ივერი ჯიქურაული



ალექსი დავითაშვილი

# ორი მედალიც ძიუდოსგან. ჯერჯერობით ბრინჯაოსი



ევროპის ძიუდოისტთა 50-ე ჩემპიონატის დაწყება ქართველებმა ორი საპრიზო ადგილით აღნიშნეს. გუშინ, შეჯიბრების პირველ დღეს, ივერი ჯიქურაულმა (100 კგ) და ალექსი დავითაშვილმა (მძიმე წონა) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# ქიზიყი დარდობს, ივანე ხარობს: მილანმა წააგო, ჯულელმა ასი შეაგდო

„ბათუმი“ რომ „იბერიას“ დაამარცხებდა, ამაში ეჭვი ალბათ თვით სამტრედიელებსაც არ ეპარებოდათ, „სიონი“ რომ ბოლნისში თსუ-ს ქულასაც არ დაუთმობდა, ესეც ნაღდი იყო, „გორდა“ — „დილას“ შედეგი კი არცთუ იოლი გამოსაცნობი გახლდათ.

რუსთავში მასპინძლებმა იმარჯვეს, ბოლო ტურის წინ გორელები ქულით მოიტოვეს და უმაღლესში დარჩენის შანსიც შეინარჩუნეს. რუსთავულ მატჩში ერთი გამოსარჩევი ამბავიც მოხდა — „გორდას“ თავდამსხმელმა ივანე ჯულელმა მეასე „ეროვნული“ გოლი მიითვალა და მერვე ფეხბურთელი შეიქნა საქართველოს ჩემპიონატში, 100 ბურთი რომ გაუტანია.

სენსაციური ეთქმის პირველი ლიგის ერთი მატჩის შედეგს — შინ წააგო უმაღლესში აღზევების მოსურნე „მილანმა“. სენსაციური იმიტომ, რომ აქამდე ქიზიყელ მილანელთა ძველ ანაგაში დამარცხება ვერავის მოეხერხებინა, გუშინ კი ეს ძნელი საქმე ასევე უმაღლესში დასაბრუნებლად მებრძოლმა ლანჩხუთის „გურიამ“ შეძლო.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



გორდა — დილა 3:2. რუსთაველებმა კარგად დაიწყეს და კარგადაც დაამთავრეს

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

# საქართველო — იტალია

# არ გვინდა ოცი ათასი

## ფედერაციამ ფიფას ათი ათასით მეტი გამოსთხოვა

**საქართველო — იტალიის** ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩებისთვის დაბეჭდილი და მოპარული ბილეთების ამბავი კარგად მოგეხსენებათ. გუშინ კი ბილეთები პოლიციის დაცვის თანხლებით მიიტანეს სფფ-ში, უსაფრთხოებაზე პოლიციის საგანგებო დანიშნულების რაზმის წევრებმა იზრუნეს. მერე თემურ მღებრიშვილის ბიჭები სფფ-ს ბუღალტერიაში ჩამოსხდნენ, 3-დან 20 ლარამდე ღირებულების საქონელსაც იცავდნენ და თან ტვიფრიან ბეჭდებს ასვამდნენ ეროვნული ნაკრებების მატჩის ბილეთ-პროგრამებს.

ეს თამაშები განსაკუთრებულ აჟიოტაჟს იწვევს. ბოლოს და ბოლოს, იტალია უნდა გვესტუმროს. ჰოდა, სფფ-ც თადარიგს იჭერს. ფიფას წესებით, ბილეთები მხოლოდ ინდივიდუალურ სკამებზე იყიდება, მაგრამ სფფ-მ ამ ორგანიზაციას თხოვნით მიმართა და თანხმობაც მიიღო — ეროვნულ სტადიონზე დამონტაჟებული 20 ათას პლასტმასის სკამს 10 ათასი ადგილიც დაემატება, ანუ სულ 30000 ბილეთი გაიყიდება. მათი რეალიზება მხოლოდ ეროვნული სტადიონის სალაროებში მოხდება. ბილეთების გაყიდვა დღეიდან დაიწყება. როგორც სფფ-ში გვითხრეს, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან უკვე მიღებულია შეკვეთა 2000 ბილეთზე. სფფ-ის პარტნიორი, ფირმა „სანეტი" კი აპირებს, ინტერნეტის საშუალებითაც გაყიდოს ბილეთები. მოეწყობა საქართველო — იტალიის ახალგაზრდული და პირველი გუნდების შეხვედრების პირდაპირი ტელეტრანსლაციები როგორც აქ, ასევე იტალიაში.

2 ივნისის მატჩი აპენინებზეც დიდ ინტერესს იწვევს. ეროვნული ნაკრებების შეხვედრას ეროვნულ სტადიონზე 80 იტალიელი ჟურნალისტი დაესწრება. თამაშის გაშუქების გარდა, იტალიელებმა კვებაზეც იზრუნეს — „სკუადრა აძურა" თბილისში თავის მზარეულებსაც იახლებს.

**დავით თავართქილაძე**

# ივანო ბონეტი: მომავალი და ნემსაძე ჩვენია

## კაპიტანმა დანდიში ყოფნა გაიხანგრძლივა




ეს კაცი გვჭირდება!
გიორგი ნემსაძეს ივანე ბონეტიმ ორი წელი დაუმატა

**ᲬᲘᲜᲐ** სეზონში შეემატა შოტლანდიურ „დანდის" ქართველი ნახევარმცველი გიორგი ნემსაძე. მისმა კარგმა თამაშმა ალბათ, იმასაც შეუწყო ხელი, რომ სქოთებმა მოგვიანებით მეორე ქართველს ზურაბ ხიზანიშვილსაც უხმეს. საცაა გადაწყდება ელიკ საჯაიას ამბავიც, რომელიც ახლა „დანდიშია" გასინჯვაზე.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს „დანდისთან" 2003 წლამდე აკავშირებდა კონტრაქტი, თუმც ჩვენებურით მოხიბლულმა დანდელებმა ახლავე დაიჭირეს თადარიგი და გიორგი ნემსაძეს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს. მხარეები შეთანხმდნენ — ნემსაძემ „დანდისთან" ხელშეკრულება 2005 წლამდე გააგრძელა.

ამასთან დაკავშირებით „დანდის" იტალიელმა დამრიგებელმა ივანო ბონეტიმ თქვა: „ნემსაძემ გუნდისთვის ძალიან ბევრი გააკეთა. მან საკმაოდ კარგი ხარისხის თამაში გვიჩვენა, ბრწყინვალედ ჩაატარა სეზონი „დანდიში". ის საოცარი ტალანტის ფეხბურთელია. ასეთი მოთამაშის შეძენა და მასთან კონტრაქტის გაგრძელება იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ მომავალზე ვფიქრობთ და არა მხოლოდ ორ მომდევნო სეზონზე". გიორგი ნემსაძემ კი დასძინა: „აქ მე იდეალურ სიტუაციაში ვარ, „დანდიში" ყოფნა და კლუბის ამბიციები მხიბლავს".

**დავით თავართქილაძე**

# პიონერული სალამი ქუთაისიდან

## მზად ვართ ფოთისა და სინათლისთვის

**ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ** „სარბიელში" გაუწყეთ, რომ ზეექვსეულის IX ტურის შეხვედრა „დინამო — ლოკომოტივი" 18 საათის ნაცვლად დღეს 21 საათზე დაიწყება. მატჩის გვიან დაწყება ფეხბურთელებმა მოითხოვეს, განათებულ „ეროვნულზე" გვსურს თამაშიო — ასეთი განმარტება დაურთო თავის გადაწყვეტილებას „დინამომ". მავანმა ბევრიც რომ იფიქროს, მაინც თავსატეხად დაურჩება დინამოელთა ეს პიონერული არჩევანი — გათამაშების ცხრილში ამ მატჩში მონაწილე გუნდების პოზიციები კუდების გამობმის საფუძველს არ იძლევა.

ასეა თუ ისე, „დინამოს" პიონერობას ქუთაისის „ტორპედოც" გამოეხმაურა. ქულთაისელები ფოთის „კოლხეთს" იმავე დროს, 21 საათზე შეხვდებიან. „ტორპედოს" სტადიონის განათებაც ევროსტანდარტებისაა და მითქმა-მოთქმასაც წერტილი დაესმება.

მაგრამ დღეს ხომ ზედა ექვსეულის კიდევ ერთი მატჩია — უმოტივაციოდ დარჩენილი „მერანი" ამბიციურ „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობს. ვიტელებისთვის კი „დინამო" — „ლოკომოტივის" შედეგი სულერთი სულაც არ არის, მეორე ადგილზე გასვლის შანსი ჯერაც შემორჩათ. თუმც მერანელებს პიონერთა რიგებში ვერ მიიღებენ — სტადიონ „სინათლეზე" სინათლე ჯერ არ არის.

**დავით თავართქილაძე**

### პორტუგალია

XXXIII ტური
ბოავიშტა 3:0 ავეში

### ესპანეთი

XXXV ტური
ვალენსია 1:0 ბილბაო

### საფრანგეთი

II დივიზიონი
XXXVIII ტური
ლე მანი 1:1 აიაჩო
მონპელიე 0:1 გოვე
კანი 2:0 კაენი
მარტიგი 0:1 შატორუ
ლორიანი 3:1 კრეტეი
გენიონი 2:0 ლავალი
ლე ავრი 1:0 ნიცა
სოშო 4:1 ნიმი
ანჟერი 2:0 ნიორი
ნანსი 0:2 ვალსკალი

### ჩეხეთი

XXIX ტური
სლავია 2:3 ბლშანი
ბუდეიოვიცე 0:1 დრნოვიცე
იაბლონეცი 1:0 სიგოტი
ჟიჟკოვი 3:3 პლზენი
ბრნო 0:0 ბოჰემიანსი
პრჟიბრამი 1:1 ლიბერეცი
სიგმა 0:0 ზანიკი
ტეპლიცე 2:3 სპარტა

### ფინეთი

VI ტური
ატლანტისი 1:1 ინტერი


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80




იყიდება
ბინა ინდივიდუალური
პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის
მესამე სართულზე.
საცხოვრებელი
ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ²
პირველ სართულზე.
☎ (231) 7 17 58
ქუთაისში
ირაკლი აბაშიძის გამზირი №8,
კინოთეატრ "ქუთაისთან"


საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 9 ტური

# VII–XII ადგილები

# მოგება უმაღლესია

## ბოლნისელებმა სტუდენტები გაიმეტეს

ბოლნისი
18 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

### სიონი 2:0 თსუ

1:0 გაბისონია (36), 2:0 ისიანი (55)

**სიონი:** ვოლკოვი, გოდერძიშვილი, ირემაშვილი, სიდამონიძე, მინდიაშვილი (მოსეშვილი 70), გოგოლაძე (ამზიძე 73), ბარნოვი, შ. შენგელია, ისიანი, გაბისონია (კ. მეტრეველი 84), სოლოღაშვილი
სათადარიგონი: დალაქიშვილი, სვანიძე

**თსუ:** სტურუა, ხარებავა, ებრალიძე (მერებაშვილი 46), ბერიანიძე, არეშიძე, ზვ. გვაზავა (მოშიაშვილი 63), ზ. მეტრეველი, ახალაძე (დათუნაშვილი 63), მესხი, ბ. ნოზაძე, ჯობავა
სათადარიგონი: მამარდაშვილი, ლობჟანიძე, ბეროშვილი, ქერაშვილი

**გაფრთხილება:** გვაზავა (25), ახალაძე (29), ხარებავა (53), მოშიაშვილი (72), ირემაშვილი (89), გოდერძიშვილი (90)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი (სამივე ქუთაისი); მ. მალალურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

**ᲓᲘᲓᲘ** ინტრიგა კი იყო ამ მატჩის წინ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოლოდინი, მაგრამ მასპინძელმა „სიონმა" ისე დაჯაბნა სტუმარი, ბევრ სალაპარაკოდაც არ ღირს.

თსუ ბოლნისში თამაშამდე უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატი გახლდათ და „სიონის" დამარცხების შემთხვევაში, უძლიერესთა შორის დარჩენის შანსს ოდნავ გაიუმჯობესებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ბოლო ტურში რაიმე ძალიან მოულოდნელი თუ არ მოხდა, დაქვეითდება კიდეც. „სიონმა" კი გუშინდელი სამი ქულით თავი დაიარხეინა, უძლიერესებში ადგილი შეინარჩუნა.

სტუდენტები მეტოქეს დაახლოებით ნახევარ საათს ავად თუ კარგად როგორც იქნა გაუძალიანდნენ, მართალია, „სიონის" მეკარე სტუმრებმა ერთხელაც ვერ შეაწუხეს, მაგრამ, რაც მთავარია, მეტოქეს არ გაატანინეს. ისინი თითქმის მთელ გუნდით თავს იცავდნენ, სწრაფად კონტრშეტევასაც ცდილობდნენ, მაგრამ მასპინძელთა მცველებიც ყოჩაღობდნენ.

სტუმართათვის საბედისწერო 36-ე წუთი გამოდგა. სტუდენტი მცველები შეცდნენ, შენგელია თსუ-ს საჯარიმოში შეიჭრა და ის იყო უნდა დაერტყა, რომ წაიქცა, თუმც ბურთი მის უკან მყოფ გაბისონიასთან აღმოჩნდა, მანაც არ დააყოვნა და ათიოდ მეტრიდან სტურუას აუღებლად დაურტყა. გაიხარა „სიონმა" და ავდარის მიუხედავად, „თემურ სტეფანიაზე" მისულმა მათმა ბევრმა ქომაგმა. ეს გოლი უკვე უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ნიშნავდა.

თსუ ისე თამაშობდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ მომგები კი არა, ანგარიშის გამთანაბრებელიც არ იყო. პირველი ტაიმიც „სიონის" შეტევებით გაილია, თსუ თავისთვის სახეიროს ვერაფერს აკეთებდა.

შესვენებაზე სტუდენტთა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა ერთი შეცვლა გააკეთა, მცველს თავდამსხმელი ამჯობინა, იქამდე ეულად მყოფ ზურაბ მეტრეველს ჭაბუკი მერებაშვილი შეუწყვილა, მაგრამ ვერც ამან გაჭრა, პირიქით, თსუ-ს დაცვას კაცი გამოაკლდა და „სიონიც" უფრო იოლად უახლოვდებოდა და აწუხებდა სტუდენტთა მეკარეს. ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ სტუმრებს მთელი 90 წუთის განმავლობაში „სიონის" კარისკენ ზუსტად არ დაურტყამს.

თსუ-ს უძლიერესთაგან დაქვეითებას წერტილი ისიანმა დაუსვა თამაშის განახლებიდან 10 წუთში. სტუდენტი მცველები კვლავ უხეშად შეცდნენ, კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოდან ვერ გაიტანეს, ისიანს აღროვეს და მანაც ორიოდ მეტრიდან გაათრა ანგარიში. ყველაფერიც მაშინ გადაწყდა. კოჭლაშვილმა ერთბაშად ორი შეცვლით კიდევ სცადა გუნდის თამაშისა და შეტევის გაუმჯობესება, მაგრამ რაც გამოუვიდა, ანგარიშიდანაც ჩანს. სტუდენტებმა მომენტი ვერც მეორე გოლის შემდეგ შექმნეს მასპინძელთა კართან. ამასობაში კი დოგრაშვილმაც ჩასტვინა, საწყის ნახევარ საათში მასსა და მის თანაშემწეებს მაყურებლები რომ არაობიექტურობისკენ მიანიშნებდნენ და ერთი-ორი „ტკბილი" სიტყვაც გააგონეს. და მერე, როცა „სიონმა" საქმე გააკეთა, აბა, მსაჯების საწინააღმდეგოდ სიტყვა ვის, როგორ, ან რატომ დასცდებოდა?



მეორედ სტუდენტები შალვა ისიანმა (ბურთით) ჩაჭრა



[illegible] ფოტო

სტუმარმა და მასპინძელმა ერთმანეთზეც გაიწიეს

# ივანე VIII
# გორდამ დილას უწამლა

რუსთავი
16 მაისი
18 საათი
ფოლადი
1700 (ტევადობა 10 700)

## გორდა 3:2 დილა

1:0 ჯელაძე (2), 1:1 რევაზიშვილი (8), 2:1 ლაბაძე (18), 3:1 ჯუღელი (62), 3:2 ხორგუაშვილი (70)
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, ლაშა სილაგაძე, ბერიძე, ლაბაძე (მიშველიძე 84), მელაძე, თ. მეტრეველი, კ. ალადაშვილი, ჯუღელი, ა. ჯელაძე (კიტეიშვილი 64)
სათადარიგონი: გუგუნავა, ბექაური, გელაძე, ბუკია, პატარიძე
**დილა:** ილურიძე, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, განიძე, ლ. გოჩაშვილი, თაყაძე (მაისურაძე 71), ლომიძე (გ. ჩიტაია 87), საყვარელიძე (ა. ბოკერია 76), რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი
სათადარიგონი: სომხიშვილი, მ. ბურნაძე, ფეხუაშვილი, ოლგქაშვილი
**გაფრთხილებები:** ალადაშვილი (13), აკოფიანი (19), ა. ჯელაძე (43), ა. ბურნაძე (60), რევაზიშვილი (60)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში), გ. კაკაჩეიშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**კახა შალამბერიძე**

**ყოფნა-არყოფნის** საკითხი იდგა გუშინ „ფოლადზე" რუსთავის „გორდასა" და გორის „დილას" წინაშე. ორივე გუნდს სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდათ. თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და ასევე გაგრძელდა მთელი მატჩის განმავლობაში.

„გორდამ" თავიდანვე მოჰკიდა საქმეს ხელი და უკვე მე-2 წუთზე ლაბაძემ ჩააწოდა სახიფათოდ „დილას" საჯარიმოში. მცველების მიერ უხერხულად მოგერიებული ბურთი ჯელაძემ შეუჩერებლად გადაგზავნა კარში. გოლი ეფექტური გამოდგა — 1:0.

ამის შემდეგ თამაშის სადავეები კვლავ მასპინძლებს ეპყრათ ხელთ. „დილას" სახიფათო მომენტის შექმნაც კი უჭირდა, თუმც სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხეს — მე-8 წუთზე „გორდას" კარისკენ დანიშნული არცთუ ისე სახიფათო საჯარიმო საყვარელიძემ შეასრულა. მცველებს აშკარად ჩ..ეძინათ და რევაზიშვილმა ახლოდან ტერფით გაიტანა ბურთი ბედიაშვილის კარში. „დილას" იმედი მიეცა, თუმცა ლაბაძემ მალევე აღადგინა ერთბურთიანი უპირატესობა. ზურაბმა 26-28 მეტრიდან ყუმბარისებურად გაისროლა, ბურთი გზად ერთ-ერთ გორელს შეეხო, მიმართულება იცვალა და ილურიძის კარში ჩაეშვა. მეკარე არც განძრეულა.

„გორდამ" კვლავ გააგრძელა აქტიური თამაში. ამის შედეგად რუსთაველებმა პირველ ტაიმში კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტში შექმნეს სტუმართა კართან — ორჯერ ალადაშვილს, მელაძესა და ჯუღელს შეეძლოთ სამამდე გაეზარდათ ანგარიში, მაგრამ მათ მიზანმა უმტყუნა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ბურნაძემ და რევაზიშვილმა წაკინკლავების შემდეგ საქმის გარჩევა მოედანზევე დაიწყეს. მცირე გაწევ-გამოწევის შემდეგ, რომელშიც სხვა ფეხბურთელებიც ჩაებნენ, შალამბერიძემ ისინი შეარიგა და ყვითლებითაც „დააჯილდოვა".

მატჩის 62-ე წუთზე კი ერთი გამოსარჩევი ამბავი მოხდა: სილაგაძის კარგი თამაშის წყალობით ჯუღელი ხელსაყრელ პოზიციაში დარჩა და ეროვნულ ჩემპიონატებში თავისი მეასე გოლი გაიტანა. ამგვარად, ივანე მერვე ფეხბურთელი გახდა, რომელიც ასიანთა კლუბში შევიდა.

მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, მით უმეტეს, „დილას" კვლავ უჭირდა მეტოქის საჯარიმოსთან მიახლოვება, მაგრამ 70-ე წუთზე ბედიაშვილის შეცდომით ისარგებლა ხორგუაშვილმა — თავით ცარიელ კარში გადაგზავნა ბურთი და მატჩს ინტრიგა დაუბრუნა.

რამდენიმე წუთში დაშავდა გორელი საყვარელიძე. რუსთავში უექიმოდ ჩასულ „დილას" მთავარმა მწვრთნელმა ივანე თაყაძემ იგი ბოკერიათი შეცვალა. დაზარალებულს კი „გორდას" ექიმმა უმკურნალა.

საბოლოოდ მასპინძლებმა მშვიდად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე. ერთადერხელ, 88-ე წუთზე დაემუქრნენ მათ გორელები, როდესაც ეჯოშვილის თავური ხელებში მიუვიდა ბედიაშვილს. ეს იყო და ეს.

***გია გეგუჩაძე, „გორდას" მთავარი მწვრთნელი:*** მიხარია, რომ გავიმარჯვეთ. მართალია, თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ შედეგზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. გუნდიდან ვერავის გამოვარჩევ. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს. ვეცდებით, ბოლო ტურშიც გავიმარჯვოთ და ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ.

***ივანე თაყაძე, „დილას" მთავარი მწვრთნელი:*** დაძაბული კალენდარი გვქონდა. სოლოლაშვილმა ავადმყოფობის გამო მატჩის წინ გვითხრა უარი თამაშზე, ამიტომ სათადარიგო მეკარე ვათამაშეთ, რომელიც მზად არ აღმოჩნდა ამ მატჩისთვის. ბოლო ტურში „სიონთან" გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. სხვა გზა არც დაგვრჩენია.

**კახა შალამბერიძე**



[illegible] ფოტო

ესეც ასი! ივანე ჯუღელმა (მარჯვნივ) მეასე „ეროვნული" გოლი მიითვალა

# რაღად უნდა რია-რია, გაგვივარდა იბერია

ბათუმი
18 მაისი
18 საათი
დინამო
500 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 2:1 იბერია

1:0 მიქელთაძე (38ს.კ.), 1:1 ხმალაძე (49), 2:1 დარჩიძე (74)
**ბათუმი:** ბალაძე, პაპიძე, გელა ქორიძე, გველესიანი, მჟავანაძე, ქაცარავა, რომანაძე, ტულუში (დარჩიძე 46), ა. მუჯირი (ცინარიძე 87), ყულეჯიშვილი (ინაიშვილი 87), აფხაზავა
სათადარიგონი: ქანტურია, მინდაძე, მაჭუტაძე
**იბერია:** ცინაძე (ნადირაშვილი 86), ყურაშვილი (ცვანია 58), სანიკიძე, მიქელთაძე, შ. ლაცაბიძე, გ. ნოზაძე, ლ. ხმალაძე, გულორდავა, კაკაშვილი, ჩაჩუა (ლ. ვაშაკიძე 76), ივეჩიანი
**მსაჯები:** მ. მაისურაძე, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

**გუშინ** ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის სამი მატჩიდან, ბათუმში ყველაზე უინტრიგო და უმოტივაციო შეხვედრა გაიმართა. ქვეექსეულის პირველ და ბოლო ადგილოსანთა პაექრობა, მართლაც ყოველნაირად არაფრისმეტყველი იყო. ჩვენი ფეხბურთის შემხედვარე, მოჭარბებულად მაინტრიგებელი მატჩები ხშირად უინტერესოდ ჩავლილა და ვის გაუკვირდებოდა თუ „დინამოზე" უსახური ფეხბურთი გაჩაღდებოდა.

ასეთი რამ, უფრო პირველ ტაიმზე ითქმის, რომელიც გაუსაძლისი საცქერი გამოდგა. შედეგად დასამახსოვრებელი ორი ეპიზოდი შეგვრჩა. პირველი მე-15 წუთზე, მუჯირის პასით უმეთვალყურეოდ დარჩენილი ტულუში მეკარესთან რომ პირისპირ დარჩა, მაგრამ მოიერიშის დარტყმულს „იბერიის" კარის დარაჯი ცინაძე მედგრად დაუდგა.

მეორე ეპიზოდი კი საგოლე იყო. ტულუშმა მოედნის ცენტრიდან სტუმართა საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდა, მას ყველაზე მაღლა მიქელთაძე აუხტა და აფხაზავასთან ჭიდილში საკუთარ მეკარეს თავით გაუტანა.

უნიათოდ მოთამაშე სტუმრებს, ეტყობა შესვენებაზე მწვრთნელმა თამაზ ოდიკაძემ დაუცაცხანა და მეორე ტაიმი მათ საკმაოდ აქტიურად დაიწყეს. მომენტიც უმალ შექმნეს, მაგრამ ირაკლი ბალაძის შეცდომით ხმალაძემ ვერ ისარგებლა და ათიოდე მეტრიდან ბურთი დაუცველ კარს ააცილა.

ორ წუთში კი ხმალაძემ მიზანი გაისწორა და თან როგორ: დაახლოებით 30 მეტრიდან მან ისეთი დაარტყა, ბურთი მეკარისგან ახლო ცხრიანში ლურსმანივით ჩაეჭედა.

აბა, მოვლენების ასე მოულოდნელად განვითარებას „ბათუმი" როგორ შეეგუებოდა და მალე სტუმართა მეკარეს მოუხდა ეფექტურად და საიმედოდ გარჯა. მან ჯერ ყულეჯიშვილს აუღო ურთულესი ბურთი, ხოლო ორ წუთში არც დარჩიძის შორეულ გასროლილს შეეპუა. ცინაძის ხელიდან ბურთი ძელს მოხვდა და მოედანს დაუბრუნდა.

კიდევ ერთი წუთი და „იბერია" უკვე ხარიხამ იხსნა. ამჯერად კარს პაპიძე დაემუქრა. და მაინც, 74-ე წუთზე „ბათუმმა" მაინც თავისი გაიტანა. დარჩიძემ 20 მეტრიდან ძლიერად გაისროლა და ცინაძის ნახტომსაც ფასი დაეკარგა.

ეს იყო და ეს, სხვა საინტერესო და აღსანიშნი ამ მატჩში არაფერი მომხდარა. ერთის გარდა: მატჩის ბოლოს „იბერიას" გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ნოზაძის ეფექტურ ვარდნაში დარტყმულს ბალაძემ საიმედო ნახტომი შეაგება და სტუმართა იმედებს, ზღვისპირელებთან წელს გამართულ მეოთხე მატჩში ქულა მაინც აეღოთ, შავი ზღვის წყალი გადაესხა.

თუმცა, „იბერიამ" ერთი მაინც მოახერხა. ის, რომ „ბათუმს" ამ სეზონში გოლი პირველად გაუტანა.

რაც შეეხება „ბათუმს", მისთვის სეზონი საკუთარ ქალაქში დასრულდა. სეზონი კი აშკარად ჩაუვარდათ ბათუმელებს, მათთვის ხომ ყოველთვის საპრიზო სამეული და ევროსაგზური იყო მიზანი. წლეულს კი ზეექვსეულში ვერ შეაღწიეს და ოდენ მომავალზე ფიქრი შემორჩათ.

„იბერიას" კი ასეთი შორსმჭვრეტელობა კარგა ხანია აქვს დაწყებული. მას ხომ ქვედა ლიგაში დაქვეითება უწევს და საგაისოდ იქიდან აღზევებაზე აქვს საფიქრალი.

### VII-XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 9 | 5 | 3 | 1 | 13:4 | 32 |
| სიონი | 9 | 5 | 3 | 2 | 13:10 | 27 |
| გორდა | 9 | 4 | 2 | 3 | 13:13 | 23 |
| დილა | 9 | 4 | 1 | 4 | 17:10 | 22 |
| თსუ | 9 | 3 | 1 | 5 | 8:17 | 20 |
| იბერია | 9 | 0 | 1 | 8 | 7:23 | 3 |

„გორდა" — „სიონის" მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „გორდას" სწორედ გარიგებულ მატჩში (3:2) მოპოვებული



[illegible] ფოტო ბათუმიდან

თემურ ტულუშმა (თეთრ ფორმაში) ვერ გაიტანა, არადა, სახიფათოდ კი ურტყამდა

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი

# 9 ტური

### I-VI ადგილები

**მეტალურგი 1:0 სამგურალი**

**ცხინვალი 3:1 შუქურა**

**მილანი 0:1 გურია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 38 |
| მილანი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:5 | 37 |
| მეტალურგი | 9 | 4 | 2 | 3 | 9:11 | 35 |
| სამგურალი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 35 |
| ცხინვალი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | 29 |
| შუქურა | 9 | 0 | 3 | 6 | 3:16 | 23 |

# ამ კაცს ტაშს უკრავდნენ შაჰი და სტალინი



*86 წლის მოყრილა ქართული ფეხბურთის პირველთაობელი გაიოზ ჯეჯელავა... შეჰყურებ ძველისძველ სავარძელში მჯდარ მოხუცს და უჩვეულო მონიწების გრძნობა გეუფლება. ერთხელაც არ გინახავს, როგორ ატყუებდა მონინაალმდეგეს, როგორ ურტყამდა კარში, რას აკეთებდა ისეთს განსაკუთრებულს, დღეს ცოცხალ ლეგენდად რომ უქცევია, მაგრამ დიდია სიტყვის ძალა და მოყოლილ-ნაკითხულითაც ბევრის გაგება შეიძლება პიროვნებაზე. მეც კიდევ ერთხელ გადავიკითხე გიოზ ჯეჯელავაზე დანერილი რამდენიმე ნიგნი, გავეცანი პოსტსაბჭოურ და თანამედროვე რუსულ პუბლიკაციებსაც, დიდი დახმარება გამინია ბატონი გაიოზის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნინო ჯეჯელავამ და გამოგიტყდებით, დიდ შთაბეჭდილებასთან ერთად იმის შეგრძნებაც დამრჩა, რომ ეს კაცი ჯეროვნად არ არის დაფასებული ჩვენში, მეტიც, გარკვეულნილად მივინყებულიც კია.*

**ᲐᲒᲔᲠ** ახლახან გამართულ „საუკუნის ფეხბურთელთა" დაჯილდოების ცერემონიალზე გაიოზ ჯეჯელავას სახელის მოხსენიებას სხვათაგან შეხსენება დასჭირდა. სიმართლე გითხრათ, მაშინ ჩემთვის გავიფიქრე კიდეც, ეს კაცი მხოლოდ იმიტომ დააჯილდოვეს, რომ ცოცხალია-მეთქი. რამდენიმე წლის წინ რუსულმა ტელეკომპანია HTB-მ საგანგებო გადაცემა მიუძღვნა, მოსკოვიდანაც ბევრმა მოიკითხა, მის მშობლიურ თბილისში კი ბევრს არ გახსენებია. უცნაურია, არსებობდეს ქართული ფეხბურთის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმი და იქ საერთოდ არ იყოს ნახსენები ჯეჯელავას სახელი. არადა, დიდი ფეხბურთელი იყო...

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, ბაქოს ქუჩიდან მერვე შრომის სკოლამდე გზას ქვის გორებით რომ მიუყვებოდა კაფანდარა ბიჭი. მშობლებიც უკმაყოფილონი იყვნენ — მარჯვენა ფეხსაცმელს სწრაფად უცვდებოდა ჭვინტი. ბიჭი იძულებული გახდა, ორივე ფეხით ეგორებინა ქვა, ცალი ფეხსაცმელის ნაკლი თვალშისაცემი რომ არ ყოფილიყო. იმ დროს მისთვის დედამიწა ბურთს ჰგავდა.

13 წლისამ თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩააბარა. საწარმოო პრაქტიკაზე ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში ახალი ოცნება გაუჩნდა და ერთ წელიწადში მემანქანის თანაშემწე გახდა. იმხანად დეპოს გუნდს მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა. თამაშზე ერთი ფეხბურთელი ვერ მოვიდა და მეთერთმეტე კაცი გახდა საჭირო. ტანმორჩილ ბიჭუნას რკინიგზელის მოწმობა ჰქონდა და... მოწინაალმდეგისთვის ხელის შეშლა დაავალეს. იმ მატჩში ჯეჯელავამ 3 გოლი გაიტანა და, ფაქტობრივად, ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო — მას ფეხბურთი უნდა ეთამაშა. მალე ამიერკავკასიის რკინიგზის სატყეოს უფროსმა ვანო ჯეჯელავამ არსებული რეჟიმის წნეხს ვერ გაუძლო და თავი მოიკლა: „შვილო, გაიოზ, შენ ფეხბურთი უნდა ითამაშო"... ეწერა მამის ანდერძში.

1936 წლის 25 იანვარს მთელი თბილისი წინადღით მომხდარ სენსაციაზე საუბრობდა — თბილისის „ლოკომოტივმა" „დინამოს" მოუგო... „ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გაიოზ ჯეჯელავა ბრწყინვალედ დააგვირგვინებს დაწყებულ კომბინაციას და მესამედ შეარღვევს „დინამოს" კარს. შეჯიბრება დამთავრდა 3:1 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ" — წერდა „ახალგაზრდა კომუნისტი".

მალე 22 წლის ჯეჯელავას ძნელი გამოცდის ჩაბარება მოუხდა. თბილისში ჩამოვიდნენ ლეგენდარული ბასკები. ქართველებისა და სტუმრების პირველ მატჩში ჩვენები 0:2 დამარცხდნენ და რევანშს სწყუროდათ. მეორე მატჩში მარჯვენა გარემარბი გაიოზ ჯეჯელავა მწვრთნელებმა რატომღაც მარცხენა ფლანგზე დააყენეს. ათასობით მაყურებლის წინაშე უჩვეულო პოზიციაზე გამწესებული ახალგაზრდა ამან გარკვეულწილად დააბნია. სწორედ ამ მატჩის პირველ ტაიმში იყო, ჯეჯელავას ყუმბარასავით გასროლილი მცირედით რომ ასცდა კარს და იქვე მდგომ ფოტოკორესპონდენტს აპარატი დაუმსხვრია.

1938 წელს „დინამოში" ჯეჯელავას დებიუტი შედგა მოსკოვში „ტორპედოს" წინაალმდეგ. მწვრთნელებმა გარისკეს და გუნდს შესისხლხორცებულ თენგიზ გავაშელს ახალბედა ჯეჯელავა შეუნაცვლეს. გაიოზმა მოსკოვი აალაპარაკა. „ტორპედოს" ორი გოლი გაუტანა და სკეპტიკოსები დაადუმა.

აქედან დაუკავშირდა ერთმანეთს ქართული ფეხბურთის ორი ლეგენდა — ბორის პაიჭაძე და გაიოზ ჯეჯელავა. ისინი პარტნიორები იყვნენ მოედანზე და მის გარეთაც. სადაც ამბობდნენ პაიჭაძეზე, იქ უმალ ჯეჯელავას ახსენებდნენ და პირიქით. პაიჭაძე-ჯეჯელავა ერთ მცნებად იქცა „დინამოს" გულშემატკივართათვის. „როგორც თევზი წყალში, ისე იყო მოედანზე. მე აღტაცებული ვიყავი მისი რეაქციით, არტისტიზმამდე დახვეწილი ტექნიკით, საოცარი, ძლიერი დარტყმებით მოედნის ნებისმიერი ადგილიდან". — ეს სიტყვები დიდმა პაიჭაძემ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თქვა.

ტანდაბალი ჯეჯელავა მართლაც სასწაულებს ახდენდა მოედანზე, მისი უზადო ტექნიკა მომაჯადოებლად მოქმედებდა მნახველზე. დღესაც არის შემონახული ისტორიული, გაცრეცილი ფოტოები, სადაც „მაკრატელას" ასრულებს ჯეჯელავა, ან მინდორზე წაქცეულ სამ მეურვეს შორის ბურთიანად მიიწევს წინ. თვეობით ხვეწდა ერთი შეხედვით წარმოუდგენელ ილეთს: ხარიხიდან ორიოდე სანტიმეტრით დაშორებულ ბურთს ფეხს ურტყამდა. მისი სიმაღლის ფეხბურთელისთვის (165 სმ) ეს ერთი შეხედვით წარმოუდგენელი იყო. ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ბიჭიკო ქორქია თავის ერთ-ერთ წერილში იხსენებს, რომ „დინამოს" თავკაცი მიხეილ ბუტუსოვი ჯეჯელავას ამ ილეთის შესრულებას უშლიდა: „გაიოზ, ნე ფოკუსნიჩაი" — გამუდმებით მოუწოდებდა ვარჯიშზე ფეხბურთელს, მაგრამ მალე მწვრთნელმა ფარხმალი დაყარა. 1939 წლის ჩემპიონატში „სტალინეცთან" მატჩში ჯეჯელავამ ტრიბუნები გააოგნა — საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი თითქმის ორი მეტრის სიმაღლიდან ფეხით პირდაპირ კარში ჩაჭედა...

86 წლის მოხუცს თვალები უცრემლდება ცდკა-სთან ისტორიულ მატჩის გახსენებისას...

პირველი ტაიმი არმიელებმა 4:1 მოიგეს, „დინამოს" ზოგმა ქომაგმა სტადიონიც კი დატოვა... „ბუტუსოვს უკმაყოფილება არ გამოუხატავს, პირიქით, გვამშვიდებდა"... მოსკოველებს შინ დეპეშაც კი გაუგზავნიათ, 4:1-ს ვიგებთ და თუ დაგვჭირდა, კიდევ გავიტანთო. მაშინ იყო, შოკის მომგვრელი გადაადგილება რომ მოახდინეს დინამოელებმა — ასლან ხარბედიამ ცენტრში გადაინაცვლა, პაიჭაძე მარჯვნივ გადავიდა, ჯეჯელავა კი მარცხენა ფრთაზე. ამან ერთობ არია არმიელთა რიგები. მალე ბერძენიშვილმა ჩვეული ფილიგრანული თერთმეტმეტრიანით ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ათი წუთის შემდეგ ხარბედიამ მესამე გოლი გაუტანა მოსკოველებს, ტრიბუნებზე ტაში დამცხრალი არ იყო, რომ ჯეჯელავას პასით ისევ ხარბედიამ იხეირა და 4:4. ბოლოს კი ჯეჯელავამ თავისი საფირმო ხერხი იხმარა, ორ მეურვეს შორის მოქცეულმა პანიუკოვს ანიშნა, პასს გაწვდიო. მოსკოველებიც ჩაწოდებას ელოდნენ, მოულოდნელი გადაწყვეტილება რომ მიიღო ჯეჯელავამ და რბილი მოჭრილი დარტყმით კარიდან რამდენიმე მეტრით გამოსულ ლეონოვს თავზე გადააპარა ბურთი — 5:4. „დინამომ" გაიმარჯვა.

1940 წელს საბჭოთა კავშირში გამოკითხვა მოეწყო და პირველად დასახელდა ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენი. იმ სიაში სულ სამადსამი ფეხბურთელი შევიდა: მიხაილ იაკუშინი, გრიგორი ფედოტოვი და გაიოზ ჯეჯელავა — ერთადერთი ქართველ სპორტსმენთაგან.

ჯამში ჯეჯელავამ 8 არასრული სეზონი ჩაატარა კარიერაში და 6-ჯერ მოხვდა 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის, აქედან სამჯერ (ზედიზედ 1938-40 წლებში) პირველ ნომრად დასახელდა თავის ამპლუაში. მისი საყვარელი მწვრთნელი, თბილისის „დინამოს" იმჟამინდელი თავკაცი მიხაილ ბუტუსოვი ჯეჯელავაზე ამბობდა, გაიოზი საფეხბურთო ტემპერამენტის საუკეთესო გამომხატველიაო.

დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე, 1944 წლის ოქტომბერში, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა თბილისის „დინამოს" არნახული საჩუქარი გაუკეთა და გუნდი ირანში გაუშვა ტურნეს გასამართად. თეირანში ქართველებმა საფეხბურთო გაკვეთილები ჩაუტარეს მასპინძლებს და სამი მატჩი ჯამში 16:2 მოიგეს. ჯეჯელავა კი ლამის მთელმა თეირანმა გაიცნო, ირანის შაჰმა მთელი გუნდი ვერცხლის პორტსიგარებით დაასაჩუქრა, დინამოელთაგან ორნი — პაიჭაძე და ჯეჯელავა კი სხვათაგან საჩუქრითაც გამოარჩია.

1945 წელს დინამოელებმა წარმატებით მოილიეს რუმინულ ტურნეში. ბალკანელთა უძლიერესი გუნდები დაამარცხეს. ბოლო მატჩში „დინამომ" უჩვეულო საფეხბურთო ანგარიშით 10:5 სძლია ბუქარესტის „იუვენტუსს" (რომელიც, ფაქტობრივად, რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული). ჯეჯელავამ სამი გოლი გაიტანა და მატჩის განმავლობაში ამდენივე მეურვე შეაცვლევინა მასპინძლებს. რუმინული ტურნეს დასასრულს ქართველებს იქ მცხოვრებ სომეხთა სათვისტომომ უმასპინძლა. იქაურ სომხებს ფეხბურთის გუნდი არ ჰყავდათ და დინამოელებს კალათბურთის თამაში შესთავაზეს. ჩვენები დათანხმდნენ, ოღონდ იმ პირობით, რომ მატჩი დახურულ კარს მიღმა გაიმართებოდა. სომხებმა შეთანხმება დაარღვიეს და მატჩზე მისულ დინამოელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, გადაჭედილი რომ დაუხვდათ დარბაზი. არასაკალათბურთო აღნაგობის ჯეჯელავა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და გაუთვალისწინებელი შეჯიბრება დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა — 18:15.

ფეხბურთიდან მოულოდნელად წავიდა. მოკლედ თქვა, არ მინდა, მისტვინონ, გულშემატკივრის მოგონებებში ძველი ჯეჯელავა დავრჩებიო. არადა, 32 წლისა იყო. ჯერაც ბევრის გაკეთება შეეძლო. თუმც უფეხბურთოდ ვერ გაძლო და ჯერ 35-ე საფეხბურთო სკოლის შექმნაში მიიღო მონაწილეობა, მერე კი ამ სკოლის მთავარ მწვრთნელადაც დაიწყო მუშაობა. ერთ დღეს ვარჯიშიდან შინ მისულს მოსკოვიდან გადმოცემული ტელეფონოგრამა დახვდა...

ნინო ჯეჯელავა: „მამას ვასილ სტალინი იბარებდა. მოსკოვის ოლქის საჰაერო ძალების ხელმძღვანელმა იმხანად საფეხბურთო გუნდ **BBC**-ის გაძლიერება მოიწადინა. „ვევეესში" ცნობილ საბჭოთა ფეხბურთელებს მოუყარა თავი, მათ შორის იყვნენ ბობროვი, აკიმოვი... გუნდის ხელმძღვანელად სტალინს მწვრთნელი სჭირდებოდა. ცოტა ხნით ადრე თურმე მას ბუდაპეშტიდან მამაჩემის უნგრულად ნათარგმნი საფეხბურთო სახელმძღვანელო ჩავარდნია ხელთ. ეს წიგნი საფეხბურთო თეზისებს მოიცავდა, დაინტერესებულა და გადაწყვეტილებაც მიუღია, ჩემს გუნდს ჯეჯელავა უხელმძღვანელებსო. მამა მოსკოვში ჩავიდა და სტალინს თავაზიანი უარი უთხრა, ცოტა ხნის წინ ამ ფეხბურთელების წინაალმდეგ მიწევდა თამაში და უხერხულია ჩემგან მათი დამოძღვრაო. ვასილ სტალინს ჩაუცინია და წასვლამდე სახლში გადარეკეო, გაიოზისთვის უთქვამს. სატელეფონო საუბრისას დედას შეუტყობინებია, ქალაქში ხმები დადის, სტალინს ჯეჯელავა დაუწუნებია და შინ უშვებსო. მამაც იძულებული გამხდარა, შეთავაზებულ წინადადებას დათანხმებოდა და „ვევეესი" ჩაიბარა. დებიუტანტები იმ წელს მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ ჩემპიონატში".

სტალინი და ჯეჯელავა ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. მოგვიანებით ციხიდან გათავისუფლებულ ვასილს პირველად სწორედ ჯეჯელავების მოსკოვური ბინისთვის შეუფარებია თავი. „ვევეესიდან" ჯეჯელავას წამოსვლის უპირველესი მიზეზი კი ვარსკვლავთა ჭირვეულობა გახლდათ. ვსევოლოდ ბობროვი დიდებული ჰოკეისტიც იყო და ორ ფრონტზე მებრძოლს რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად მწვრთნელისთვის ულტიმატუმი წაუყენებია, მხოლოდ მოსკოვში ვითამაშებთ, გასვლით მატჩებზე არ წამოვალთო... ჯეჯელავა სამშობლოში დაბრუნდა და 1955 წელს თბილისის „დინამოს" ჩაუდგა სათავეში. ერთი წლის შემდეგ გუნდი საკავშირო სპარტაკიადაში მეორე ადგილზე გავიდა, მხოლოდ ფინალი დათმო მოსკოვის (ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის) ნაკრებთან.

უდიდესი ავტორიტეტი ცხოვრებაში ბევრ სიკეთეს ჰპირდებოდა, მაგრამ გამორჩეულობით არასდროს უსარგებლია. სადაც უმუშავია, ყველგან დიდი სითბო, სიკეთე და კაცური კაცის სახელი დაუტოვებია.

**ბაატა ძვანტალიანი**





გაიოზ ჯეჯელავა გუშინ და დღეს



მილანი — ფიორენტინა. მარცხის მიუხედავად კახა კალაძე (მარჯვნივ) მილანელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# შეშინებული

## კიეზამ მილანი ლიგას დააშორა

### იტალია

XXXI ტური

**მილანი 1:2 ფიორენტინა**

0:1, 0:2 კიეზა (12, 19), 1:2 შევჩენკო (29)
მილანი: ს. როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა (გულიელმინპიეტრო 73), როკე ჟუნიორი, მალდინი, გატუზო, კალაძე, სერჟინიო, ჯუნტი (ლეონარდო 60), შევჩენკო, კომანდინი (ბირჰოფი 70)
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, მორეტი, ბრესანი (ბონორა 62), დი ლივიო, მარკო როსი, რუი კოშტა (ვანოლი 84), ლეანდრო, კიეზა
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
44 699 მაყურებელი

**პარმა 3:1 ინტერი**

1:0 ჟუნიორი (14), 2:0 დი ვაიო (74), 3:0 ჟუნიორი (89), 3:1 ვიერი (90)
პარმა: ბუფონი, ტურამი, ფ. კანავარო, სარტორი (ბენარივო 63), ჟუნიორი, ალმეიდა (აჰა 86), ლამუში, სენსინი, მიკუ, მილოშევიჩი (მბომა 79), დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ინტერი: ფრეი, ფერარი, ბლანი, სიმიჩი, ხ. ძანეტი (ბროკი 79), მაჩელარი (გრეშკო 46), დი ბიაჯო (ზეედორფი 61), კოუ, დალმა, ვიერი, ფერანტე
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: სარტორი, მაჩელარი, ფერარი
25 000 მაყურებელი

**ასი,** რას ამბობდა „მილანის" მწვრთნელი ჩეზარე მალდინი „სან სიროზე" „ფიორენტინასთან" თამაშის წინ:

— „ინტერთან" მოგებული 6:0 უკვე წარსულია. ბოლო ორი დღე ველაპარაკე ფეხბურთელებს და არხეინობა ერთი წამით ვერ შევატყვე. ყველაზე მეტად რომელი ფლორენციელის მეშინია? რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ფეხბურთელის, ენრიკო კიეზასი, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ, რადგან საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე მყავდა. როდესაც კიეზა ფორმაშია, განსაკუთრებულ ფეხბურთს თამაშობს".

კიეზა კარგ ფორმაში იყო და გუშინ განსაკუთრებული ფეხბურთიც ითამაშა. მატჩის ბოლოს ტაბლოზე სტუმართა გამარჯვება, 2:1 ეწერა, ხოლო ფლორენციელთა გოლების გასწვრივ კიეზა და ისევ კიეზა.

გავიხსენოთ: პირველ წრეში ფლორენციაში, „ფიორენტინამ" „მილანს" 4:0 მოუგო.

პირველად კიეზამ მე-12 წუთზე შეაგდო, როდესაც დაახლოებით 25 მეტრიდან ჩახვეული ჯარიმით მიაღწია მიზანს, ხოლო მეორედ შვიდი წუთის შემდეგ ისახელა თავი — ფედერიკო ჯუნტის შეცდომით ისარგებლა და საკუთარ გოლთა მონაგარი 22-მდე გაზარდა.

მილანელთაგან პასუხი ანდრეი შევჩენკომ გასცა: 29-ე წუთზე საჯარიმოს შიგნიდან ტიპიური „შავ-წითელი" გოლი გაიტანა.

რაკი ზემოთ კიეზას სეზონური მონაგარი ვახსენეთ, შევჩენკოზეც ვთქვათ: უკრაინელისთვის ეს 24-ე გოლი გახლდათ მიმდინარე ჩემპიონატში. ეს ზუსტად ის რიცხვია, შევჩენკოს გვარის გასწვრივ ერთი წლი წინ, სეზონის ბოლოს რომ ეწერა და რომლითაც სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა.

მაგრამ, უკრაინელი თავდამსხმელის მორიგი გოლი თუ ბომბარდირობა გამარჯვების გარეშე „მილანს" ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის საქმეში ვერაფერს არგებს. „შავ-წითლები" დამარცხდნენ და „რაი უნოსგან" ასეთი შეფასებები დაიმსახურეს:

*როსი 5,5; ჰელვეგი 6; კოსტაკურტა 6 (გულიელმინპიეტრო 5); როკე ჟუნიორი 6; მალდინი 6; გატუზო 5; ჯუნტი 5 (ლეონარდო 5,5); **კალაძე 6,5;** სერჟინიო 6; კომანდინი 5 (ბირჰოფი 5); შევჩენკო 7.*

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი შეფასება შევჩენკოს ერგო — 7, მის მერე კი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი კახა კალაძე მოდის — 6,5.

მოგეხსენებათ, იმავ დღეს „ინტერს" უმასპინძლა მილანელთა კონკურენტმა „პარმამ". პარმელები მანამდე „შავ-წითლებს" სამი ქულით უსწრებდნენ, ახლა კი „ინტერთან" 3:1 გამარჯვების შემდეგ მათ შორის სხვაობა უკვე 6 ქულაა და ამ გუნდების მიმართ სიტყვა კონკურენტი კიდევ უნდა ვიხმაროთ თუ არა, უკვე ნამდვილად საკითხავია. მდგომარეობას ცხადია ის ამწვავებს, რომ სეზონის ბოლომდე მხოლოდ სამი ტური რჩება და თან „მილანს" უახლოესი თამაში „რომასთან" „სტადიო ოლიმპიკოზე" ელის.

თუმცა, ექვსქულიანი დაწინაურების მიუხედავად, „პარმას" თავკაცი რენცო ულივიერი ფრთხილად ლაპარაკს ამჯობინებს: „ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, რომ მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში თამაში უკვე განაღდებული გვაქვს. საკმაოდ ძნელი სტუმრობა გველის „ლეჩესთან", თუმცა იმავ ტურში იმედი გვაქვს, რომ „რომა" გვცემს პატივს და „მილანს" დაამარცხებს. ძალიან ვამაყობ, რომ ყველაზე ნაკლები გოლი ჩვენ გვაქვს გაშვებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს მუშაობას აზრი და შედეგი აქვს".

შეგახსენებთ, რომ „პარმას" იმ კვირაში იტალიის თასზეც ელის დიდი ბრძოლა. ეს გახლავთ ფინალის პირველი შეხვედრა სწორედ იმ „ფიორენტინასთან", რომელმაც ხუთშაბათს „მილანის" ძლევით მას დიდი საქმე გაუკეთა.

**ბაჩუნა ძიძია**

# სენტ ეტიენმა წართმეული დაიბრუნა

### საფრანგეთი

**საფრანგეთის** ჩემპიონატში თითქოს ყველაფერი გაირკვა, ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი, გავარდნილები... თუმც არც მთლად ასეა საქმე, ბოლო ტურს გათამაშების ცხრილის ფსკერზე კიდევ შეუძლია კორექტივების შეტანა. თუ „სენტ ეტიენი" მოიგებს, „მარსელი" წააგებს და მეტოქესთან შედარებით ბურთების უარესი შეფარდებაც აღმოაჩნდება, მეორე დივიზიონში სწორედ ზღვისპირელები დაქვეითდებიან და არა „მწვანეები", რომლებიც რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად გავარდნილები იყვნენ ელიტიდან.

რა ხდება? გახსოვთ ყალბი პასპორტების საქმე? „სენტ ეტიენის" ორ ფეხბურთელს — ბრაზილიელ ალექსსა და უკრაინელ მაქსიმ ლევიცკის ევროკავშირის ქვეყნების ყალბი პასპორტები აღმოაჩნდათ, აქედან აგორებული სკანდალი მერე მთელ ევროპას მოედო. თუმცა დასჯილი მხოლოდ „სენტ ეტიენი" გამოვიდა, სხვა გუნდები კი საფრანგეთშიც და დანარჩენ ევროპაშიც შედარებით იოლად გადარჩნენ. სენტეტიენელებს შვიდი ქულა ჩამოართვეს და რამდენიმე ფეხბურთელიც დისკვალიფიკაციების გამო გამოაკლეს.

ჰოდა, ისინიც ადგნენ და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოტანილი სასჯელი გაასაჩივრეს დაიწყეს. ბევრი წვალების შემდეგ საწადელსაც მიაღწიეს — გუშინწინ საღამოს ლიონის ადმინისტრაციულმა სასამართლომ მათთვის სასურველი განაჩენი გამოიტანა.

„ვინაიდან მხოლოდ ეს ერთი გუნდი დაისაჯა, მაშინ, როცა იგივე დანაშაული სხვებსაც ჰქონდათ, ეს დისკრიმინაციაა და გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს ამ განაჩენის მიღებისთანავე" — წერია სასამართლოს ოფიციალურ დოკუმენტში, თუმცა ეს გადაწყვეტილება მაინც მოითხოვს კიდევ ერთი ინსტაციის დასტურს, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, ასეც მოხდება და მხოლოდ დროის საქმეა.

ასე რომ, ახლა სავსებით შესაძლებელია, „მწვანეები" ისევ პირველ დივიზიონში დარჩნენ, თუმცა აქ ზემოთ გაკეთებული გათვლებიც კი შეიძლება ზედმეტი აღმოჩნდეს და მათთან და მარსელელებთან ერთად მომავალ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონს კიდევ ვინმე მოულოდნელი ბინადარი ჰყავდეს.

რადგან ლამის მთელი სეზონი ფსიქოლოგიური შოკის ქვეშ ვიყავით და შესაძლოა ახლა მაინც გავვარდეთ, პირველ დივიზიონში გუნდების რაოდენობის 18-დან 20-მდე გაზრდას მომავალი სეზონისთვის მოვითხოვთ, ამბობენ „სენტ ეტიენის" ხელმძღვანელები და მათ სასამართლოს განაჩენიც უმაგრებთ ზურგს. თუ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია ამ იდეას არ დაეთანხმა და შვიდქულადაბრუნებული კლუბი მაინც გავარდა, მაშინ, ადვოკატების განაცხადებით, ისინი ფედერაციის წინააღმდეგ ახალ სარჩელს შეიტანენ და ზარალისთვის ფინანსურ კომპენსაციას მოითხოვენ, რომლის მიღებაც, ფაქტობრივად, განაღდებული ექნებათ. ასე რომ, საფრანგეთის ფეხბურთის ჩინოსნებისთვის საკითხი ასე დგას — ან 20 გუნდი და ან ბევრი დაკარგული ფული.

ვნახოთ, რას აირჩევენ ფრანგები.

**გაგი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 33 | 20 | 5 | 8 | 54:35 | 65 |
| ლიონი | 33 | 16 | 13 | 4 | 53:27 | 61 |
| ბორდო | 33 | 15 | 12 | 6 | 48:31 | 57 |
| ლილი | 33 | 15 | 11 | 7 | 41:26 | 56 |
| სედანი | 33 | 13 | 10 | 10 | 46:40 | 49 |
| რენი | 33 | 14 | 6 | 13 | 43:35 | 48 |
| ტრუა | 33 | 11 | 12 | 10 | 44:46 | 45 |
| მონაკო | 33 | 12 | 7 | 14 | 52:48 | 43 |
| გენგამი | 33 | 11 | 10 | 12 | 38:46 | 43 |
| ბასტია | 33 | 12 | 6 | 15 | 40:40 | 42 |
| პარი სენ ჟერმენი | 33 | 11 | 8 | 14 | 42:44 | 41 |
| ოსერი | 33 | 11 | 8 | 14 | 31:40 | 41 |
| ლანსი | 33 | 9 | 13 | 11 | 36:35 | 40 |
| მეცი | 33 | 10 | 10 | 13 | 35:44 | 40 |
| მარსელი | 33 | 11 | 6 | 16 | 30:39 | 39 |
| *სენტ ეტიენი* | *33* | *9* | *9* | *15* | *41:54* | *36* |
| *ტულუზი* | *33* | *8* | *10* | *15* | *33:45* | *34* |
| *სტრასბური* | *33* | *7* | *8* | *18* | *27:59* | *29* |

# აფრიკა დაფაცურდა

**ფიფას** პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა შრი ლანკაში სტუმრობისას განაცხადა, 6 ივლისს ბუენოს აირესში, ფიფას კონგრესზე უმთავრესად სტადიონებზე უსაფრთხოების პირობებზე ვიმსჯელებთო.

ამ პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავით თავი იჩინა ამ ბოლოხანს აფრიკის სტადიონებზე მომხდარი უბედური შემთხვევების შემდეგ. კონგოს, სამხრეთ აფრიკის, სპილოს ძვლის სანაპიროსა და განის სტადიონებზე დატრიალებულმა ტრაგედიებმა 200-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

განის სიკვდილიანობას და მის მიზეზებს დასავლეთ აფრიკის სპორტის მინისტრების შეხვედრაც მიეძღვნა, მალე კი იოჰანესბურგში გაიმართება აფრიკის ფეხბურთის მაღალჩინოსანთა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავს აფრიკის სტადიონებზე მომხდარი უბედური შემთხვევების მიზეზების შესწავლას.

**სერგი ქორიძე**

Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 5:0 ემელეკი (ეკვადორი) (0:2)**

1:0 აიალა (21), 2:0 სავიოლა (35), 3:0 იეპესი (56), 4:0 სავიოლა (63), 5:0 ორტეგა (67)
რივერ პლეიტი: კონსტანცო, ე. დიასი, ს. აიალა, იეპესი, სარაბია, ასტრადა, კუდე (პერეირა 74), ვ. საპატა, ორტეგა (კუევასი 68), კარდეტი, სავიოლა (დ. ალვარესი 74)
ემელეკი: ვიტერი, კოროცო, პოროსო, აგირესი, კაგუა, კარაბალი (აიოვი 57), ბორხა (კაისედო 76), იდალგო, კანდელარიო (აგირე 82), ვ. სანჩესი, ხუარესი
20 000 მაყურებელი

**ნასიონალი (ურუგვაი) 1:3 ამერიკა (კოლუმბია) (0:2)**

0:1 ვასკესი (32), 0:2 პერეირა (39), 1:2 რ. მორალესი (89პ), 1:3 მაფლა (90)
ნასიონალი: რომაო, ვარელა, ლემბო, ჟორჟაო, ადალტო, კამეიო (დელ კამპო 37), ვანძინი, ო. მორალესი, სოსა (ვ. სანჩესი 37), ვ. მორალესი, მარტინესი (გუტიერესი 46)
ამერიკა: ბარბატი, კარდონა, კ. გარსია, ნავარო, მაზორი, ჟ. გონსალესი (მაფლა 83), ლ. გარსია, უ. საპატა, ვარგასი, დ. ფერეირა (ბეტანკური 75), ვასკესი (როგანოვიჩი 71)
25 000 მაყურებელი

### 1/4 ფინალის წილისყრა

რივერ პლეიტი (არგენტინა) — კრუზ აზული (მექსიკა)
როსარიო სენტრალი (არგენტინა) — ამერიკა (კოლუმბია)
პალმეირასი (ბრაზილია) — კრუზეირო (ბრაზილია)
ვასკუ და გამა (ბრაზილია) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

*პირველი მატჩები 22-24 მაისი, საპასუხოები — 29-31 მაისი*

### ჰოლანდია

გადადებული მატჩი

**აიაქსი 1:2 ვიტესი**

0:1 ამოა (45), 1:1 არველაძე (62), 1:2 ვან ბოიკერინგი (76)
აიაქსი: გრიმი, დე კლერი, კოუ, პასანენი, იკედია, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, ვიჩგე, ობრაიენი, შ. არველაძე, ვამბერტო
მწვრთნელი: კო ადრიაანსე
35 700 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 32 | 23 | 8 | 1 | 66:19 | 77 |
| ფეიენოორდი | 32 | 20 | 2 | 10 | 64:35 | 62 |
| როდა | 32 | 16 | 8 | 8 | 53:37 | 56 |
| აიაქსი | 32 | 16 | 7 | 9 | 77:41 | 55 |
| ვიტესი | 32 | 15 | 10 | 7 | 51:41 | 55 |
| უტრეხტი | 32 | 16 | 7 | 9 | 50:41 | 55 |
| ვალვაიკი | 32 | 14 | 11 | 7 | 43:33 | 53 |
| ტილბურგი | 32 | 13 | 9 | 10 | 56:46 | 48 |
| ჰერენვენი | 32 | 11 | 12 | 9 | 48:39 | 45 |
| ბრედა | 32 | 12 | 9 | 11 | 38:39 | 45 |
| ნაიმეგენი | 32 | 9 | 13 | 10 | 39:45 | 40 |
| ტვენტე | 32 | 10 | 10 | 12 | 45:56 | 40 |
| ალკმარი | 32 | 9 | 7 | 16 | 42:56 | 34 |
| გრონინგენი | 32 | 8 | 9 | 15 | 35:48 | 33 |
| გრააფსხაპი | 32 | 9 | 3 | 20 | 41:62 | 30 |
| სიტარდი | 32 | 7 | 7 | 18 | 27:60 | 28 |
| სპარტა | 32 | 6 | 6 | 20 | 40:68 | 24 |
| *როზენდალი* | *32* | *4* | *2* | *26* | *37:86* | *14* |

### დანია

29-ე ტური: ოლბორგი — ვიბორგი 2:1; ჰადერსლევი — სილკებორგი 0:1; ლიუნგბიუ — ორჰუსი 0:1; ოდენსე — ჰერფიოლგე 4:2; კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 3:0; აკადემისკი — ბრონდბიუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 29 | 14 | 11 | 4 | 47:25 | 53 |
| სილკებორგი | 29 | 14 | 11 | 4 | 43:29 | 53 |
| ბრონდბიუ | 29 | 15 | 7 | 7 | 66:36 | 52 |
| მიდტიულანდი | 29 | 13 | 9 | 7 | 45:39 | 48 |
| ვიბორგი | 29 | 12 | 7 | 10 | 46:33 | 43 |
| ოდენსე | 29 | 12 | 6 | 11 | 45:38 | 42 |
| ოლბორგი | 29 | 10 | 10 | 9 | 45:43 | 40 |
| ლიუნგბიუ | 29 | 11 | 7 | 11 | 36:46 | 40 |
| ორჰუსი | 29 | 11 | 4 | 14 | 44:53 | 37 |
| აკადემისკი | 29 | 5 | 14 | 10 | 35:39 | 29 |
| ჰერფიოლგე | 29 | 5 | 9 | 15 | 36:58 | 24 |
| ჰადერსლევი | 29 | 1 | 7 | 21 | 26:75 | 10 |

### შვედეთი

გადადებული მატჩი: ელფსბორგი — ჰაკენი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:3 | 14 |
| ჰამარბი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| მალმიო | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| იორგრიტე | 6 | 2 | 3 | 1 | 10:7 | 9 |
| ჰალმსტადი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:7 | 8 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| აიკ | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| ჰაკენი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| ნორჩიოპინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:7 | 8 |
| სუნდსვალი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| ელფსბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| იორებრო | 6 | 0 | 4 | 2 | 6:11 | 4 |
| იურგორდენი | 6 | 0 | 4 | 2 | 3:8 | 4 |
| ტრელებორგი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |

### სლოვენია

თასის ფინალი. II მატჩი

**ნოვა გორიცა 4:2 ოლიმპია (0:1)**

1:0 იპავეცი (45), 2:0 ზლოგარი (61), 3:0 პიტამიჩი (77), 3:1 რაკოვიჩი (83), 4:1 შაკირი (85პ), 4:2 ოსლაი (89)

### კარიბეთის თასი

A ჯგუფი. II ტური

მარტინიკი — ბარბადოსი 3:1; ტრინიდადი და ტობაგო — იამაიკა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრინიდადი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| მარტინიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| იამაიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბარბადოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი

### აზია

V ჯგუფი. III ტური

ლიბანი 1:2 ტაილანდი; შრი ლანკა 3:3 პაკისტანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტაილანდი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ლიბანი | 3 | 2 | 0 | 1 | 11:2 | 6 |
| შრი ლანკა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:11 | 1 |
| პაკისტანი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:12 | 1 |

*26 მაისი: ლიბანი — პაკისტანი; ტაილანდი — შრი ლანკა*

### ბრაზილია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

კორინთიანსი — ატლეტიკო პარანენსე 0:0

### უკრაინა

თასის ფინალი

**ცსკა (კიევი) — შახტარი (დონეცკი)**

*27 მაისს კიევში, „ოლიმპიურზე"*



# უ-უ-ულიე!
## გამარჯვებული მწვრთნელის მონოლოგი

**იმ ღამეს ჟერარ ულიეს მხოლოდ ორი საათი ეძინა, მაგრამ დილით მხნედ გამოიყურებოდა და მის ჩვეულ ჩაცმულობას ოდენ ჰალსტუხი აკლდა. ლივერპულელი ფანობა კი გაჰყვიროდა: „უ-უ-ულიე!"**

**ვერ წარმოიდგენთ**, რაოდენ ძნელი სამუშაოა მწვრთნელობა. ასოციაციის თასის ფინალის წინა დღეს ვკითხულობ, რომ რობი ფაულერს თურმე გუნდიდან ვაგდებთ და „არსენალს" მისთვის კონტრაქტი შეუთავაზებია. ვიცი, ეს ჭორია, მაგრამ ბიჭები წაიკითხავენ და შესაძლოა, დაიბნენ. როგორი საქმეა უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ ასეთი რალაცეები. ამიტომაცაა, რომ მწვრთნელს მარტო ტაქტიკაზე არ უხდება ლაპარაკი, მან გუნდში ერთიანობაზეც უნდა იზრუნოს, ურომლისოდაც გუნდი ვერ მოიგებს. მართალია, ამ ერთიანობის დროსაც შეიძლება წააგო, მაგრამ ეს აუცილებელი პირობაა.

აი, ჩვენებს გოლი გააქვთ. ვუყურებ ჩვენს სათადარიგოთა სკამს და ყველას სახეზე მხოლოდ ბედნიერებას ვხედავ. მე კი ამ დროს ვფიქრობ, შესაძლოა, დღეს რამე გავახერხოთ.

„ლივერპულს" ლოთების გუნდს ეძახიან, რატომღაც ასეთი სახელი გაგვივარდა. თუ ასეა, თასის აღების მერე მაგრად უნდა დავმთვრალიყავით. იცით, რა ჩავასხით თასში? პერიე (პერიე მინერალური წყალია და „ბორჯომთან" ახლოსაც ვერ მივა).

საქმე იმაშია, რომ ფეხბურთელს მაქსიმუმ ათი წელი შეუძლია დიდების მწვერვალზე ყოფნა და ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს. ოდნავ მოდუნდება და ყველაფერი წყალშია ჩაყრილი. დიეტა-დასვენება-ვარჯიში, ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული.

„ლივერპულში" დიდებული ადამიანები მუშაობენ. ისინი ფეხბურთისთვის ცხოვრობენ. ფეხბურთი მათთვის უბრალოდ საარსებო საშუალება რომ იყოს, არაფერი გამოგვივიდოდა. სხვათა შორის, არ მეგულება ფეხბურთელი, გამარჯვებაზე რომ არ ოცნებობდეს, მაგრამ ამისთვის ყველა მზად როდია. აქ მხოლოდ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე არ ვლაპარაკობ.

„ალავესზე" კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. გამოცდილ, მებრძოლ მოკრივეს შევადარებდი. აი, ისეთს, მეტოქე ნოკდაუნში რომ ჩააგდებს. ის კი ცალი თვალით რეფერის თვლას უყურებს და წამოდგება, თუმცა კი ძალიან უჭირს. ოქროს გოლამდე „ალავესი" სწორედ ასე იბრძოდა.

დამატებით დროში ისეთი თამაში წავიდა, რომ დარწმუნებული ვარ, „ლივერპულის" მოგებაზე დადებდით ფულს.

ბიჭებს ვუთხარი, რომ აუცილებლად უნდა გაეტანათ. რაც უფრო ცოტა დრო დარჩებოდა პენალტებამდე, მით უფრო გაიზრდებოდა „ალავესის" შანსი. ბიჭებს რომ ველაპარაკებოდი, ზუსტად ვიცოდი, რომ მათ გატანა შეეძლოთ, ისინი მზად იყვნენ ამისთვის.

დღეს სამი თასის მფლობელები ვართ. ეს დიდი წარმატებაა, მაგრამ ის იოლად არ მოსულა. გაიხსენეთ, რამდენი შრომა დასჭირდა ალექს ფერგიუსონს, სანამ „მანჩესტერს" უდიდეს გუნდად აქცევდა. ასევე იყო არიგო საკიც, როცა ის „მილანში" მივიდა.

„ლივერპულს" დიდების მოპოვება არ სჭირდება, ამას დიდი ხნის წინ მიაღწია ჩვენი თაობის ლივერპულელებმა უბრალოდ ერთი ფურცელი კიდევ შევმატეთ კლუბის ისტორიას. თუმცა მარტო ესეც არაა, ეს თამაში დაუვიწყარი იყო.

ისე, დღეს ასე ბედნიერი რომ ვარ, ჩემთვის უცნობი ლივერპულელი გულშემატკივრების დამსახურებაა. ძველი ამბავია. ორი წლის წინ, აპრილში, ძალიან ცუდ დღეში ვიყავით, ბოლო ცხრა თამაშიდან მხოლოდ ერთი მოვიგეთ და ხუთი წავაგეთ, იქამდე „სელტამაც" გაგვაგდო უეფას თასიდან.

ესპანელებთან „ენფილდზე" წაგების მეორე დღეს ქუჩაში მივდიოდი, საზიზღარ ხასიათზე ვიყავი. ამ დროს ხალხი დამეხვია და ცუდი არავის უთქვამს. ყველანი მამხნევებდნენ, ნუ წუხარ, ყველაფრის გამოსწორებას შეძლებო.

სწორედ ამის მერე იყო, ცხრა მატჩიდან რვა რომ ვერ მოვიგეთ და „ბლექბერნთან" ვთამაშობდით სტუმრად. ვგრძნობდი, კიდევ რომ წაგვეგო, აუცილებლად მომხსნიდნენ, ბოლო შანსი მქონდა. მაშინ გამახსენდნენ ის ქომაგები, ჩემში დარწმუნებულები რომ იყვნენ და 3:1 მოვიგეთ.

იმ გამარჯვებამ მოხსნას გადამარჩინა და დღევანდელ დღემდე მოვედი.

გიო აზვლედიანის

სვეტი

# ეს ფინალი

ასე თვენახევრის წინათ, ამ სვეტში ვოცნებობდი, ნეტავ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ლიდსი" და „დეპორტივო" გავიდნენ-მეთქი. ამას რომ ვოცნებობდი, თურმე, სწორედ იმას ვგულისხმობდი, რომ უეფას თასის ფინალში „ალავესი" და „ლივერპული" შეხვდროდნენ ერთმანეთს.

ფეხბურთი ძალიან მეცნიერული რამ შეიქნა.

ბევრი მაგარი მწვრთნელი იმას ფიქრობს, კიდევ როგორ გაართულოს ფეხბურთი და ამ სირთულეში გამონახოს გამარჯვების გზები. ამიტომ, ხშირად რა ჭადრაკისთვის გიყურებია და რა ფეხბურთისთვის.

მოვლენათა ბედნიერმა დამთხვევამ მოახერხა ის, რომ უეფას თასის ფინალში ცხრა გოლი გავიდა. ამგვარი ღია, ტაქტიკურად უეშმაკო თამაში ეგებ „ალავესისგან" მოსალოდნელი იყო, მაგრამ მოულოდნელი იყო „ლივერპულისგან", რომელმაც ბოლო წელიწადს სწორედ გაუვალი დაცვით, დახურული თამაშით გაითქვა სახელი.

თუმცა, წლეულს ფინალებს გაჩვეული „ლივერპული", ამ ფინალებში სხვაგვარად თამაშობდა, ვიდრე პრემიერლიგასა და უეფას თასის ორმატჩა შეხვედრებში. გუნდმა, რომელსაც „ბარსელონასგან" და „რომასგან" 360 წუთში გოლი არ გაუშვია, ოთხმოცდაათ წუთში ოთხი ბურთი გაუშვა „ალავესისგან".

მე თუ მკითხავთ, ამით მაყურებელმა დიდად მოიგო. ამით კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი იმ ლაღმა და საოცარმა ფეხბურთმა ევროპის ათი-თორმეტი ბობოლა, თუ დიადი კლუბის მიღმა რომ არსებობს.

ამით, რა თქმა უნდა, „ლივერპულმაც" მოიგო, რომელიც წლევანდელი სეზონის ნაღდი გმირია და რომელიც თავს არ ზოგავს ევროპულ ელიტაში დასაბრუნებლად (რაც წესით უნდა შეძლოს კიდეც სწორედ დღეს, ჩარლტონში). ერთგვარად მოიგო დამარცხებულმა „ალავესმაც", რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ფეხბურთი უფრო უბრალოდ, ლამაზად და გემრიელად შეიძლება ითამაშო, ვიდრე წარმოგიდგენია.

ამ განუმეორებელი ფინალის უკნიდან კი ამოიზრდება საშინელი შეკითხვა — და, სათამაშო კლასი?

იმ საღამოს მოედანზე იყვნენ მაიკლ ოუენი, ხავი მორენო, გარი მაკალისტერი, ხორდი კრუიფი და თუ მეცნიერება არ გამოვიდა, ალბათ იმიტომ, რომ რაღაც უცნაურ, ამოუხსნელ ძალას არ სურდა, რომ „ლივერპულს" 5:1 მოეგო. ეს ძალა ფეხბურთის დემოკრატიულობაში უნდა ვეძებოთ. ერთ დღეს, ერთ მინდორზე შეიძლება გათამაშდეს ერთი ისეთი სანახაობა, რომელიც არასოდეს დაგავიწყდება. ფეხბურთის მაგიაც ამაშია.

მეცნიერება კი წინ გველის.

კლასიც– რომლის ცქერაც, რაღა დაგიმალოთ და ძალიან მოსაწყენი ხდება ხოლმე, თუ სანახაობაც შორიახლო არ ტრიალებს.

# ეუსკადი, ვიტორია, კამპეონე...

## ბასკურად ასე ითქმის: ეუსკადის დედაქალაქ ვიტორიაში თავის გმირებს დახვდნენ. ესპანურად კი იქნება: ბასკთა დედაქალაქ ხასტეისში...





**თუმცა** ბასკურ-ესპანურ ტოპონიმებს ძალიანაც ნუ ჩავუღრმავდებით. „მთავარია, რომ „ალავესი" ფინალში გავიდა და ჯიგრით ითამაშა" — თქვა „ალავესის" სტაჟიანმა ფანმა და ამ მოსაზრების დასტურია ის ზღვა ხალხი, ვიტორიას „ფორონდას" აეროპორტში რომ დახვდა თავის გმირებს.

დაახლოებით ხუთი ათასი ვიტორიელი, გერმანიაში წასასვლელი ფული რომ ვერ შეაგროვა, ქალაქის სპორტულ ცენტრში უზარმაზარ ეკრანზე უყურებდა თამაშს. რა ემოციებიც ტრიალებდა იქ მატჩის მსვლელობისას, ვფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს და ერთიღა ვთქვათ — 117-ე წუთზე დელფინ ჯელის ავტოგოლს მოყოლილი გაოგნება მალევე თხუთმეტწუთიანმა ოვაციამ შეცვალა. ამაყმა ბასკებმა წაგება ღირსეულად მიიღეს.

მეორე დილით ეს ხალხი ვიტორიას მთავარ მოედანზე, „პალასო დე აზურია ენეას" წინ მღეროდა ფრედი მერკურის „WE ARE THE CHAMPIONS", რომელიც უკვე რამდენიმე წელია, გამარჯვებულთა ჰიმნად ქცეულა, სასახლეში კი ვიტორიას მერმა ხუან ხოსე იბარეხემ „ალავესის" საპატივცემულოდ საზეიმო მიღება გამართა.

„გვეამაყება, რადგან მივაღწიეთ იმას, რასაც ჩვენგან არავინ ელოდა — თქვა კლუბის პრეზიდენტმა გონსალო ანტონმა — ბიჭებმა თავი დადეს თასის ასაღებად, მაგრამ იღბალმა ზურგი შეგვაქცია. წაგების მიუხედავად, დორტმუნდშივე ვიცოდი, რომ ქომაგები ჩემპიონებივით მიგვიღებდნენ".

„ალავესის" ქებაში ერთმანეთს ესპანური გაზეთებიც ეჯიბრებოდნენ, ბასკურებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

„ასი": „ჩვენ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ამ მატჩის დავიწყება შეუძლებელია. ცხრა გოლი და უსაზღვრო ემოციები — ნამდვილი ფეხბურთიც ესაა. ასეთ შეხვედრებში აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოიგებს და ვინ წააგებს".

ალავესელები „მარკამაც" ძალიან აქო, მაგრამ ხოსე ესნალ პარდოს მაინც გაჰკრა კბილი: „ხავი მორენოს „ლივერპულის" საბოლოოდ დაჩოქება შეეძლო, მაგრამ მანემ ის შეცვალა. არადა, ეს ხავის ცხოვრების მატჩი იყო."

თავად ხავი მორენომ ესპანეთის ტელევიზიას უთხრა: „თავს მაინც გამარჯვებულად ვთვლით". და დელფინ ჯელის სიტყვებიც: „ბურთის მოგერიება მინდოდა და ასეთი რამ დამემართა. საშინელ დღეში ჩავვარდი. თავს იმითღა ვიმშვიდებ, რომ ახლა ყველამ იცის, დედამიწაზე არსებობს ქალაქი ვიტორია და იქ „ალავესი" თამაშობს".

**გიორგი დარჯანია**







თამაშამდე ალავესელები „ლივერპულის" მაისურას ფეხებით შესდგნენ, თამაშის მერე კი... ემშაკმა დალახვროს!


# იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.
დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე–19 კორპუსი,
პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

ტელ: 397 198. 959 032. 8 77 428283



## FIFA WORLD RANKING

Coca-Cola

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | საფრანგეთი | 796 |
| 2 | 1 | ბრაზილია | 794 |
| 3 | 3 | არგენტინა | 763 |
| 4 | 4 | იტალია | 748 |
| 5 | 5 | პორტუგალია | 732 |
| 6 | 7 | ესპანეთი | 724 |
| 7 | 6 | ჩეხეთი | 722 |
| 8 | 10 | ჰოლანდია | 715 |
| 9 | 8 | გერმანია | 711 |
| 10 | 9 | პარაგვაი | 703 |
| 11 | 11 | იუგოსლავია | 689 |
| 12 | 12 | რუმინეთი | 683 |
| 13 | 13 | მექსიკა | 680 |
| 14 | 14 | ინგლისი | 673 |
| 15 | 18 | აშშ | 666 |
| 16 | 15 | კოლუმბია | 665 |
| 17 | 16 | ნორვეგია | 663 |
| 18 | 20 | რუსეთი | 652 |
| 19 | 17 | ხორვატია | 650 |
| 20 | 21 | დანია | 645 |
| 40 | 35 | უკრაინა | 573 |
| 53 | 47 | უნგრეთი | 551 |
| 60 | 74 | უზბეკეთი | 525 |
| 65 | 64 | ესტონეთი | 510 |
| 72 | 68 | **საქართველო** | 499 |
| 88 | 88 | ბელარუსი | 457 |
| 92 | 87 | ლიტვა | 448 |
| 95 | 93 | სომხეთი | 444 |
| 96 | 94 | ლატვია | 443 |
| 102 | 99 | მოლდოვა | 421 |
| 106 | 124 | ყაზახეთი | 407 |
| 114 | 131 | თურქმენეთი | 373 |
| 117 | 114 | აზერბაიჯანი | 365 |
| 139 | 140 | ტაჯიკეთი | 275 |
| 164 | 162 | ყირგიზეთი | 201 |

*შენიშვნა: I გრაფაში — ადგილი, II — ადგილი აპრილში, III — ქვეყანა, IV — კოეფიციენტი*



# აქაც ფრანგები, იქაც ფრანგები...

1994 წლის შემდეგ ფიფას რეიტინგში პირველად შეიცვალა ლიდერი. პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩში შთამბეჭდავი გამარჯვების მერე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ფრანგებმა ბრაზილიელებს პირველობა ჩამოართვეს.

ბრაზილიელები, მოგეხსენებათ, ბოლო დროს მართლაც ვეღარაფრით დაიკვეხნიან. ცუდად გამოდიან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ცვლიან მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, მაგრამ ამაოდ. ამიტომ ფრანგთა პირველობა სავსებით კანონზომიერია. ამ თვის ბოლოს კორეა-იაპონიაში ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშება იწყება, რომელმაც, შესაძლოა, რეიტინგი კიდევ შეცვალოს, პირველ ეტაპზე ფრანგები და ბრაზილიელები სხვადასხვა ჯგუფებში განთესეს, ამიტომ მხოლოდ ნახევარფინალში ან ფინალში თუ შეხვდებიან ერთმანეთს. ისე, საინტერესო კი იქნება.

ამათ მერე რეიტინგში არგენტინა, იტალია და პორტუგალია მოდიან, შემდეგ კი ერთი ადგილით აღზევებული ესპანეთი და ამდენითვე დაქვეითებული ჩეხეთი.

საინტერესოა, რომ ურუგვაი, კოტ დივუარი და ეკვადორი 6-6 ადგილით დაწინაურდნენ, ხოლო აზიაში ისეთებიც არიან, ათზე მეტი საფეხურით რომ აღზევდნენ: ყაზახეთი (18), ერაყი (17), თურქმენეთი (17), ჩინეთი (16), უზბეკეთი (14), სირია (13), ინდონეზია (12)...

# რვა ამბავი ფიგუზე

**სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია — გუშინდელი გმირი დღეს ყველაზე საძულველ ადამიანად იქცევა ხოლმე და პირიქით... მაინც ვინ არის იგი, ლუიშ ფიგუ? სამოციანი წლების კინოვარსკვლავს რომ ჰგავს და ცნობილი ადამიანის მაგიერ პორტის მტვირთავი რომ შეიძლება გამოსულიყო...**

**1** ლუიშ ფიგუს ბავშვობა ყველა საფეხბურთო კანონით ქრესტომათიული გახლდათ. დაიბადა 1972 წლის 4 ნოემბერს, ლისაბონის ლოთურ უბანში. მამამისი პორტში მტვირთავად მუშაობდა. ოჯახი ერთობ ხელმოკლედ ცხოვრობდა და ტყავის ბურთი პატარა ლუიშის ერთადერთი გასართობი იყო. შვიდი წლისა ლისაბონის „სპორტინგის“ საფეხბურთო სკოლაში შეიყვანეს. და დაიწყო...

**2** პორტუგალია ყველა გაგებით ევროპის პერიფერიაა: გეოგრაფიულადაც, ეკონომიკურადაც და საფეხბურთო ასპექტშიც. ამიტომ, თავიდან ფიგუ ბრწყინვალე კარიერაზე თითქოს ვერც იოცნებებდა. როგორც ამბობენ, დროსა და სამშობლოს არ ირჩევენ, იქ ცხოვრობენ და იხოცებიან. ფიგუს გაუმართლა — ის საჭირო დროს საჭირო ადგილზე დაიბადა. 70-იანების დასაწყისში მასთან ერთად ქვეყანას მოევლინენ დღეს მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთელები: რუი კოშტა, ჟოაო პინტუ, პაულუ სოუზა, ვიტორ ბაია, ფერნანდო კოუტუ...

80-იანის შუაში მწვრთნელმა კარლუშ კეირუშმა ამ ბიჭებისგან გუნდი შექმნა. გუნდი, რომელმაც ჯერ იუნიორთა ევროპის, მერე კი ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგო.



ამბავი მეცხრე: ლუიშ ფიგუ და მისი შვედი სუპერმოდელი ცოლი ჰელენ სვედინი

**3** 1995 წელს ფიგუ დიდ სკანდალში გაეხვა. ევროპული კლუბების მასზე ნადირობა ბოლოს კაზუსით დამთავრდა. დაუჯერებელია, მაგრამ ფიგუმ ერთდროულად ორ იტალიურ კლუბთან „პარმასა“ და „იუვენტუსთან“ მოაწერა კონტრაქტს ხელი. ამას ევროგაერთიანების სამუშაო კანონების თანახმად, შესაძლოა, დისკვალიფიკაცია მოჰყოლოდა, მაგრამ უეფამ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო. ორივე კონტრაქტი გააუქმა და ფიგუ იოჰან კრუიფის „ბარსელონაში“ აღმოჩნდა.

**4** ფიგუ მალე გახდა კატალონიური კლუბის ლიდერი. შესაძლოა, დიდებული პარტნიორების, რივალდოს და რონალდოს, ფონზე არცთუ „დიდ პერსონად“ გამოიყურებოდა, მაგრამ ეს მას არც აინტერესებდა. ის „ბარსასთვის“ ძალიან საჭირო კაცი იყო და ამ გუნდთან ერთად მოიგო ესპანეთის თასი და სუპერთასი, ორჯერ ქვეყნის ჩემპიონატი, ევროპის თასთა და სუპერთასები.

**5** ევრო 2000-ზე პორტუგალიამ ნამდვილი ფურორი მოახდინა. ინგლისთან მატჩში გამარჯვებამ, რომელშიც პორტუგალიელები 0:2 აგებდნენ, ისინი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შეიყვანა. ფიგუს გენიალური გოლი კი, რომელიც გარდამტეხი აღმოჩნდა, ნებისმიერი ქომაგის ვიდეოკოლექციას დაამშვენებს.

**6** ევრო 2000-მა ფიგუ დიდებული ოსტატიდან დრამატულ გმირად აქცია. ამან მის საბაზრო ფასზეც იმოქმედა. იმასაც ამბობდნენ, რომის „ლაციო“ მზადაა პორტუგალიელში 130 მილიონი დოლარი გადაიხადოსო. ცხადი გახლდათ, „ბარსაში“ ფიგუს დღეები დათვლილი იყო.

**7** მაგრამ რა მოხდა? ფიგუ „ლაციომ“ კი არა, „ბარსელონას“ დაუძინებელმა მტერმა, მადრიდის „რეალმა“ იყიდა. 56 მილიონი დოლარი, ასეთი იყო ღალატის ფასი. 2000 წლის 24 ივლისი კატალონიელთათვის შავად გათენდა. ამ დღეს ფიგუ ეროვნული გმირიდან ყველაზე საძულველ ადამიანად იქცა. „ბარსელონას“ ფან კლუბის ლიდერმა გონსალო ნევადომ მაშინ თქვა: რაც ამ კაცმა გააკეთა, ძალიან დიდი ცოდვაა და ღმერთი არ აპატიებსო. მერე კი დაიფიცა, ფიგუს სახელს ცხოვრებაში აღარ ვახსენებო.

**8** ფიგუ თუ ზიდანი, ვინ არის დღეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი? ფიფამ ეროვნული გუნდების მწვრთნელები გამოკითხა და პლანეტაზე საუკეთესოდ ზიდანი დაასახელა, ხოლო „ფრანს ფუტბოლი“ ცნობილ სპორტულ ჟურნალისტებს დაეკითხა და „ოქროს ბურთი“ ფიგუს არგუნა. ამიერიდან პორტუგალიელი არა მარტო გენიალური ფეხბურთელი, არამედ ჩამოყალიბებული პერსონაჟიცაა, რომელზე წერაც ისევე საინტერესოა, როგორც მისი თამაშის ცქერა.

## ფეხბურთის რუქასთან



**ინგლისის** პრემიერლიგაში ახალაღზევებულმა „ბლექბერნმა“ „გლაზგო რეინჯერსის“ თურქი ნახევარმცველი თუგაი ქერიმოღლუ და ლისაბონის „სპორტინგის“ ირლანდიელი მოთამაშე ალან მაჰონი შეიძინა. ინგლისელები შოტლანდიურ კლუბს 1,3 მილიონ გირვანქას გადაუხდიან მას შემდეგ, რაც თუგაი ბრიტანეთის სამუშაო ვიზას მიიღებს. ვარაუდობენ, რომ მას ამ მხრივ პრობლემა არ შეექმნება, რადგან თურქეთის ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა. ირლანდიელი მაჰონი კი „ბლექბერნში“ დეკემბერის შემდეგ იჯარით თამაშობს. ინგლისელებმა ახლა იგი საბოლოოდ დაისაკუთრეს. ლისაბონურმა კლუბმა მის სანაცვლოდ 1,5 მილიონი გირვანქა მიიღო. აღსანიშნავია, რომ 23 წლის მაჰონის „ბლექბერნში“ უკვე 20 მატჩი აქვს ჩატარებული.

**გერმანული „კაიზერსლაუტერნის“ დანიელი თავდამსხმელი იორგენ პეტერსონი შესაძლოა, ახალი სეზონიდან „პარი სენ ჟერმენში“ ან „მონაკოში“ აღმოჩნდეს. გერმანული პრესა იუწყება, რომ ფეხბურთელი სეზონის ბოლოს ბუნდესლიგის დატოვებას აპირებს და ფრანგული კლუბები მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. პეტერსონი „კაიზერსლაუტერნში“ 1999 წელს მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ 1,3 მილიონ გირვანქად გადავიდა, ახლა კი მის სანაცვლოდ „კაიზერს“ 1 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. გერმანული კლუბი პეტერსონის გაშვებაზე უარს არაა, თუმცა შეთავაზებული თანხა ეცოტავება.**

**ინგლისური** „დერბი ქაუნთის“ ხელმძღვანელობა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს პოლონელ ნახევარმცველ პიოტრ სვიერჩევსკისთან, რათა იგი ინგლისში გადაიბიროს. 28 წლის ფეხბურთელს სეზონის ბოლოს „ბასტიასთან“ კონტრაქტი უსრულდება და კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. თავად პოლონელმა განაცხადა, რომ ინგლისში სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას. მისი შეძენით გელზენკირხენის „შალკე 04“ და გლაზგოს „სელტიკიც“ არიან დაინტერესებული.

**იტალიურ „პარმას“ „მონაკოს“ ფორვარდ შაბანი ნონდას შეძენა სურს და ფრანგებს სანაცვლოდ 18 მილიონ დოლარს სთავაზობს. ამ ფეხბურთელს იტალიაში სხვა მსურველებიც გამოუჩნდნენ, კერძოდ, „ლაციო“ და „იუვენტუსი“. ნონდა 1997 წელს შვეიცარიის წლის საუკეთესო უცხოელ მოთამაშედ დაასახელეს. მან „ციურიხის“ შემადგენლობაში სეზონში 24 გოლი გაიტანა, ხოლო შემდეგ „რენში“ გადავიდა, იქიდან კი რამდენიმე ხანში უკვე „მონაკომ“ შეიძინა. ფრანგული სააგენტოების ცნობით, „მონაკო“ თანახმაა, 18 მილიონი დოლარის ფასად ნონდას შეელიოს.**

**რუსი** იური გავრილოვი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მწვრთნელად დანიშნეს. იგი გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებაში უნდა დაეხმაროს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსკოვის „დინამოს“ და „სპარტაკის“ ყოფილ მოთამაშეს ამ მიზნის მიღწევა ერთობ გაუჭირდება, რადგან ჯგუფში მესამე ადგილზეა და მხოლოდ 7 ქულა აქვს. პრინციპული მატჩი კონგოელებს 15 ივლისს ელით, როცა ჯგუფის ლიდერ ტუნისს უმასპინძლებენ. პარალელურად კონგოელები აფრიკის ერთვნებათა თასის შესარჩევ ეტაპზეც თამაშობენ. 3 ივნისს ისინი ლესოტოს უნდა შეხვდნენ.

**ინგლისელმა მცველმა გარი ნევილმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი გააზანგრძლივა, ახალი შეთანხმება ექვსი წლის ვადით დაიდო. 26 წლის ფეხბურთელს კვირაში 45 ათასი დოლარი ხელფასი დაუნიშნეს. გარი ნევილმა სადებიუტო მატჩი „მანჩესტერში“ 1994-95 წლების სეზონში ჩაატარა, დღემდე კი დაახლოებით 300-მდე შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ გარი ნევილს კლუბთან კონტრაქტი სამწლინახევრის შემდეგ უსრულდებოდა, თუმცა „იუნაიტედმა“ ბევრი სხვა წამყვანი მოთამაშის დარად მასაც გაუზარდა ხელფასი.**

**ლიბერიელი** თავდამსხმელი ჟორჟ ვეა სულ მალე სავარაუდოდ მარსელის „ოლიმპიკს“ დატოვებს და „მონაკოსთან“ გააფორმებს კონტრაქტს. 1995 წელს მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული ვეა „მარსელში“ შარშან შემოდგომაზე „მანჩესტერ სიტიდან“ გადავიდა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ გუნდის დატოვება სურს. აღსანიშნავია, რომ 34 წლის ვეამ ევროპული კარიერა 1988 წელს სწორედ „მონაკოში“ დაიწყო. მას ასევე უთამაშია „პარი სენ ჟერმენისა“ და იტალიური „მილანის“ შემადგენლობაში. „შავ-წითელთა“ ღირსებას იგი 1995 წლიდან 1999 წლამდე იცავდა, მერე კი ცოტა ხანი იჯარით ლონდონის „ჩელსიშიც“ წაიბურთავა.

**არგენტინული „სან ლორენსოს“ ნახევარმცველ ლუკას პუსინერის სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ლიბერტადორესის თასის მატჩში „სან ლორენსოსა“ და ჩილეს „დეპორტეს კონსეპსიონს“ შორის რომ გაიმართა, არგენტინული კლუბის ფეხბურთელებმა მეტოქეებთან ჩხუბი წამოიწყეს. ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა „სან ლორენსოს“ კიდევ ორი მოთამაშე — ესტევესი და აბრეუ.**

**კოლუმბიელმა** თავდამსხმელმა ვიქტორ ბონილიამ განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად იგი აღარასოდეს ითამაშებს ნაკრებში. ფეხბურთელმა იწყინა, რომ იგი არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ ეროვნული გუნდის შეკრებაზე არ გამოიძახეს. არადა, ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება ბევრს გაუკვირდა, რადგან ბონილია ახლა ერთობ კარგ ფორმაშია და წლეულს ფრანგულ „ტულუზის“ შემადგენლობაში 15 გოლი გაიტანა. კოლუმბიის ნაკრებში კვლავ გამოიძახეს ფაუსტინო ასპრილია და ფრედი რინკონი. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ ორივე ფეხბურთელმა იუარა ეროვნულ გუნდში თამაში.

**იყიდება!**
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

## იტალია

ბაჩუნა კედია



ედგარ დავიდსს მინდვრის ნაცვლად სასამართლოში მოუწევს სირბილი

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| გუშინწინ | | |
| მილანი | 1:2 | ფიორენტინა |
| პარმა | 3:1 | ინტერი |
| ხვალ | | |
| პერუჯა | — | ბრეშა |
| ბოლონია | — | იუვენტუსი |
| ვიჩენცა | — | ლეჩე |
| ატალანტა | — | რეჯინა |
| ბარი | — | რომა |
| ლაციო | — | უდინეზე |
| ნაპოლი | — | ვერონა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 30 | 20 | 7 | 3 | 58:28 | 67 |
| ლაციო | 30 | 19 | 5 | 6 | 57:32 | 62 |
| იუვენტუსი | 30 | 17 | 10 | 3 | 51:25 | 61 |
| პარმა | 31 | 15 | 8 | 8 | 47:25 | 53 |
| მილანი | 31 | 12 | 11 | 8 | 53:42 | 47 |
| ინტერი | 31 | 12 | 8 | 11 | 42:44 | 44 |
| ატალანტა | 30 | 10 | 12 | 8 | 35:29 | 42 |
| ფიორენტინა | 31 | 10 | 12 | 9 | 51:46 | 42 |
| ბოლონია | 30 | 11 | 9 | 10 | 41:40 | 42 |
| პერუჯა | 30 | 10 | 10 | 10 | 45:47 | 40 |
| ბრეშა | 30 | 8 | 12 | 10 | 35:37 | 36 |
| უდინეზე | 30 | 10 | 4 | 16 | 45:53 | 34 |
| ვიჩენცა | 30 | 8 | 8 | 14 | 33:44 | 32 |
| ლეჩე | 30 | 7 | 11 | 12 | 35:49 | 32 |
| რეჯინა | 30 | 8 | 5 | 17 | 27:45 | 29 |
| ნაპოლი | 30 | 6 | 10 | 14 | 29:48 | 28 |
| ვერონა | 30 | 7 | 7 | 16 | 31:51 | 28 |
| ბარი | 30 | 5 | 5 | 20 | 28:58 | 20 |

# ირბინე ახლა სასამართლოში...

**სერია A-ს** ჩემპიონი მალე გაირკვევა. რაღა დარჩა? ოთხი ტური, რომლის განმავლობაშიც „ლაციომ“ „რომას“ ხუთქულიანი სხვაობა უნდა გაუბათილოს, მაგრამ ეს ურთულესი საქმეა, მით უფრო, რომ ხვალ „რომა“ აუტსაიდერ და ლიგიდან გავარდნილ „ბარის“ ხვდება ანუ გაიმარჯვებს... ალბათ, გაიმარჯვებს.

თავად „ლაციო“ კი უფრო რთული ამოცანის წინაშეა — „უდინეზეს“ ამბიციას უნდა აჯობოს.

ნუ დაგვავიწყდება „იუვენტუსიც“. ის მესამეზეა, ლიდერს ექვსი ქულით ჩამორჩება და „ბოლონიაში“ თამაშობს.

ტურინელებს, ცხადია, მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს, მაგრამ სერიოზული დანაკლისი აქვთ — არ ეყოლებათ ედგარ დავიდსი, ჰოლანდიელი ძრავი, რომელსაც ამასწინათ სისხლში ნანდროლონი აღმოუჩინეს და დისკვალიფიცირებულია.

ვინ ითამაშებს დავიდსის ნაცვლად? ანტონიო კონტე დაშავებულია, ამიტომაც ამბობენ, რომ ბოლონიაში ნახევარდაცვის გულში ჯანლუკა ძამბროტას ვიხილავთ, ურუგვაელ ფაბიენ ონილს კი მარჯვნივ ჩასწევენ.



„ბებერი ქალბატონის“ კიდევ ერთი ნახევარმცველი, ალესიო ტაკინარდი ამბობს, რომ ბოლო ოთხი თამაშის დავიდსის გარეშე ჩატარება გუნდისთვის დიდი გამოცდაა.

„ჩვენ შეუცვლელი ფეხბურთელი მოგვაკლეს. დინამიზმის თვალსაზრისით ედგარს ბადალი არ ჰყავს. ბევრს არ შეუძლია პირადად გადაწყვიტოს თამაშების ბედი“.

„იუვენტუსის“ ბანაკში ფორვარდის, ფილიპო ინძაგის ამბავიც გასარკვევი აქვთ. მას კოჭი ტკივა და არ არის გამორიცხული, მის ნაცვლად ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ ითამაშოს.

„ბოლონია“ კი ტურინელებს წარბშეუხრელი ხვდება — ოთხი თამაშია არ წაუგია, თუმცა ნახევარმცველი, ენცო მარესკა არ ეყოლება, ის დისკვალიფიცირებულია. სხვათა შორის, მარესკა ბოლონიას „იუვენტუსმა“ ასესხა. სამაგიეროდ, ისევ ფორმაშია ტომას ლოკატელი და საერთოდაც, ბოლონიელებმა ამ სეზონში შინ მხოლოდ სამჯერ წააგეს.

ახლა „რომასა“ და „ლაციოს“ დავუბრუნდეთ. „რომას“ დაშავებული ჰყავს ბრაზილიელები — ალდაირი და ემერსონი, კიდევ ერთი ბრაზილიელი, ანტონიო ძაგო კი გამოჯანმრთელდა.

რაც შეეხება „ლაციოსა“ და „უდინეზეს“ შეხვედრას, რომელშიც მასპინძელი „ლაციოა“, ეს მატჩი რომის „სტადიო ოლიმპიკოს“ ნაცვლად ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე“ გაიმართება. მიზეზი: რომაული დერბის დროს „ლაციოს“ ქომაგებმა ფაშისტური ჟესტიკულაციითა და შეძახილებით გამოიჩინეს თავი, რისთვისაც ამ გუნდისთვის რომის ოლიმპიური სტადიონი დისკვალიფიცირებულია.

გარდა ამისა, „ლაციოს“ საზრუნავი დისკვალიფიცირებული ხუან ვერონის შეცვლა და პაველ ნედვედის სასწრაფო გამოჯანმრთელებაა.

**ბაჩუნა კედია**


იყიდება როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65

(საღამოს. $19^{00}$-$21^{00}$)




## ინგლისი

გიგა [illegible]

# ჩარლტონის ველზე

| XXXVIII | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ჩარლტონი | — | ლივერპული |
| ქოვენთრი | — | ბრედფორდი |
| დერბი ქაუნთი | — | იფსვიჩი |
| ევერტონი | — | სანდერლენდი |
| ლიდსი | — | ლესტერი |
| სიტი | — | ჩელსი |
| მიდლსბრო | — | ვესტ ჰემი |
| ნიუკასლი | — | ასტონ ვილა |
| საუთჰემპტონი | — | არსენალი |
| ტოტენჰემი | — | მანჩესტერ იუნ. |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 37 | 24 | 8 | 5 | 78:28 | 80 |
| არსენალი | 37 | 20 | 10 | 7 | 61:35 | 70 |
| ლივერპული | 37 | 19 | 9 | 9 | 67:39 | 66 |
| ლიდსი | 37 | 19 | 8 | 10 | 61:42 | 65 |
| იფსვიჩი | 37 | 20 | 5 | 12 | 56:41 | 65 |
| ჩელსი | 37 | 16 | 10 | 11 | 66:44 | 58 |
| სანდერლენდი | 37 | 15 | 11 | 11 | 44:39 | 56 |
| ასტონ ვილა | 37 | 13 | 15 | 9 | 46:40 | 54 |
| ჩარლტონი | 37 | 14 | 10 | 13 | 50:53 | 52 |
| საუთჰემპტონი | 37 | 13 | 10 | 14 | 37:46 | 49 |
| ნიუკასლი | 37 | 13 | 9 | 15 | 41:50 | 48 |
| ლესტერი | 37 | 14 | 6 | 17 | 38:48 | 48 |
| ტოტენჰემი | 37 | 12 | 10 | 15 | 44:53 | 46 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 12 | 15 | 44:48 | 42 |
| ევერტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43:57 | 41 |
| დერბი ქაუნთი | 37 | 10 | 11 | 16 | 36:58 | 41 |
| მიდლსბრო | 37 | 8 | 15 | 14 | 42:43 | 39 |
| *სიტი* | *37* | *8* | *10* | *19* | *40:63* | *34* |
| *ქოვენთრი* | *37* | *8* | *9* | *20* | *36:63* | *33* |
| *ბრედფორდი* | *37* | *5* | *10* | *22* | *30:70* | *25* |

**დრო და ადგილი** ცნობილია — ჩვენი დროით საღამოს შვიდ საათზე ლონდონის „ველი გრაუნდზე“ ქანცგაწყვეტილ „ლივერპულს“ სეზონის ბოლო და უკვე მერამდენე გადამწყვეტი მატჩი ელის „ჩარლტონთან“. თუ სტუმრებმა მოიგეს, ყველაფერიც გაირკვევა და მომავალ ჩემპიონთა ლიგაში უკვე გასულ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალს“ სწორედ ჟერარ ულიეს გუნდი შეუერთდება.

ფეხის დაცდენა და ლიგიდან აცდენა ერთი იქნება: დევიდ ოლირის იორკშირელი ჯეელები „ლესტერს“ მასპინძლობენ და თუ „ჩარლტონმა“ ივაჟკაცა, ესენი თავის შანსს, დისკვალიფიცირებული დევიდ ბეტის არყოფნის მიუხედავად, ხელიდან არ გაუშვებენ.

არა, სჯობს ასე ვთქვათ: ხელიდან, ალბათ, არ გაუშვებენ. ეს ხომ ინგლისური პრემიერლიგაა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამის იმედზეა ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი მოსურნე, დებიუტანტი „იფსვიჩი“, რომელიც სამოთხეში მოხვედრას დერბის „პრაიდ პარკზე“ შეეცდება. თუმცა ამ მესამე ვარიანტისა ჩვენ კი არა, ტელეკომპანია „სქაისაც“ არ სჯერა, რომელმაც მილიონი გირვანქა „ლივერპულისა“ და „ლიდსის“ თამაშების პირდაპირი და პარალელური ტელერეპორტაჟების უფლებისთვის გადაიხადა.

ამასობაში მეორე ლივერპულური გუნდი „ევერტონი“, რომლის გულშემატკივრებიც, მერწმუნეთ, შუა კვირაში „ალავესს“ ქომაგობდნენ, დისკვალიფიცირებული ალესანდრო პისტონეს გარეშე „სანდერლენდის“ საუეფო ამბიციის ჩაკვლას შეეცდება. სტუმრებს „გუდისონ პარკზე“ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ, რათა „ჩელსის“ მანჩესტერში წარუმატებლობის შემთხვევაში დავიწყებულ ევროთასზე გავიდეს. თავის მხრივ, ცხადია, ამის დაშვება სულაც არ სურს კლაუდიო რანიერის, რომელსაც განკურნებული მარიო სტანიჩი და უინსტონ ბოგარდი დაუბრუნდნენ, ხოლო ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი პირადი მონაგარის (22 გოლის) გაზრდას შეეცდება.

ლივერპულში დაბინავებული უეფას თასისთვის ბრძოლა მომავალ სეზონში „ასტონ ვილასაც“ შეუძლია, ოღონდ ამისთვის სამი რამაა საჭირო: თავად ბირმინგემელებმა მოიგონ ნიუკასლში, „სანდერლენდი“ დამარცხდეს „ევერტონთან“, „ლივერპული“ კი სამეულში ვერ მოხვდეს. ნამეტანი რეალურიაო, ვერავინ იტყვის, მითუმეტეს, რომ „ვილას“ არ ეყოლება კაპიტნობიდან გადამდგარი გარეთ საუთგეიტი, თუმცა არც მთლად ზღაპრული ეთქმის ამ ვარიანტს.

აი, სულ ესაა ის შეხვედრები, რომლებშიც ბევრი რამ წყდება. ბოლო ტურის სხვა მატჩები კი, ვფიქრობთ, თავად მონაწილეებსაც აღარ აინტერესებთ. სამაგიეროდ, ყოველთვის ყველაფერი აინტერესებთ ჩვენებურ მეკუშეებს და მათი იმედი რომ არ გავაცრუოთ, თითო-ოროლა სიტყვა დარჩენილ თამაშებზეც ვთქვათ.

„საუთჰემპტონი“ — „არსენალი“. ლონდონელებს თავი ქუდში და ჩემპიონთა ლიგაში აქვთ, მასპინძლები კი „დელისთან“ ლამაზად გამომშვიდობებას შეეცდებიან. ცხადია, თბილისური მეტროს სადგურზე არ ვამბობთ: სტადიონი „დელი“ 1898 წლიდან ემსახურებოდა „საუთჰემპტონს“, თუმცა ხვალიდან ბულდოზერების საკბილო გახდება, თავად გუნდი კი ახალ სარბიელზე გადაბარგდება.

„ტოტენჰემი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“. ალექს ფერგიუსონი კვლავ ნახევრად სათადარიგო შემადგენლობის გამოყვანას აპირებს, მითუმეტეს, რომ სელტიკელი ტომი ბოიდის საბენეფისო მატჩში მყესი გაიწყვიტა იაპ სტამმა, ნორვეგიელმა სოლსკიაერმა კი ამ დღეებში მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. დანაკლისი მასპინძლებსაც აქვთ — სოლ კემპბელი, თუმცა გამოჯანმრთელდა სტეფან ივერსენი.

„მიდლსბრო“ — „ვესტ ჰემი“. მასპინძლებმა პრემიერლიგაში თავი ორიოდ ტურის წინ დაიგულეს და ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ შეინარჩუნონ ტერი ვენეიბლზი, რომელსაც „მიდლსბროსთან“ კონტრაქტი დღეს საღამოს უმთავრდება. „ვესტ ჰემს“ დამოძღვრავს სათადარიგოთა მწვრთნელი გლენ რიოდერი, ვინც წინა კვირას მოულოდნელად გადამდგარ ჰარი რედნაპს შეცვლის. საინტერესოა, რომ ლონდონელები ახალ მწვრთნელს ეძებენ და ერთ-ერთ ყველაზე სასურველ კანდიდატად- ტერი ვენეიბლზს ასახელებენ.

„ქოვენთრი“ — „ბრედფორდი“. ფაქტობრივად, პირველდივიზიონელები პრემიერლიგას ემშვიდობებიან. სტუმართა რიგებში ითამაშებენ სტიუარტ მაკკოლიც და ენდი მაიერსიც. აი, დარდიო, ამას ის იტყვის, ვინც არ იცის, რომ „ლიდსთან“ 1:6 წაგებულ შეხვედრაში ამ ფეხბურთელებმა ერთმანეთზე გაიწიეს და იჩხუბეს კიდეც, რისთვისაც კლუბმა ორივეს ორი კვირის ხელფასი დაუკავა.

...დღეს, საღამოს ცხრა საათზე ინგლისის მორიგი ჩემპიონატის ცხრილი საბოლოო სახეს მიიღებს, მე კი აგვისტომდე გემშვიდობებით ტოტალიზატორებში წარმატებული თამაშის სურვილით.



ტერი ვენეიბლზი

## გერმანია

ვანო ოქროპირიძე
ბერლინიდან

# ნაღდი ჰამბურგშია, ასლი გელზენკირხენში

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰამბურგი | — | ბაიერნი |
| ვერდერი | — | ჰანზა |
| დორტმუნდი | — | კიოლნი |
| შალკე | — | უნტერჰახინგი |
| აინტრახტი | — | შტუტგარტი |
| ფრაიბურგი | — | ვოლფსბურგი |
| ლევერკუზენი | — | ბოხუმი |
| კაიზერსლაუტერნი | — | ჰერტა |
| მიუნხენი | — | კოტბუსი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 33 | 19 | 5 | 9 | 61:36 | 62 |
| შალკე | 33 | 17 | 8 | 8 | 60:32 | 59 |
| დორტმუნდი | 33 | 16 | 9 | 8 | 59:39 | 57 |
| ლევერკუზენი | 33 | 16 | 6 | 11 | 53:40 | 54 |
| ჰერტა | 33 | 17 | 2 | 14 | 57:52 | 53 |
| ფრაიბურგი | 33 | 14 | 10 | 9 | 50:36 | 52 |
| ვერდერი | 33 | 14 | 8 | 11 | 50:48 | 50 |
| ლაუტერნი | 33 | 15 | 5 | 13 | 49:53 | 50 |
| ვოლფსბურგი | 33 | 12 | 11 | 10 | 59:41 | 47 |
| კიოლნი | 33 | 12 | 9 | 12 | 56:49 | 45 |
| მიუნხენი | 33 | 12 | 8 | 13 | 43:54 | 44 |
| ჰანზა | 33 | 12 | 7 | 14 | 34:44 | 43 |
| ჰამბურგი | 33 | 10 | 10 | 13 | 57:57 | 40 |
| შტუტგარტი | 33 | 9 | 11 | 13 | 41:47 | 38 |
| კოტბუსი | 33 | 11 | 3 | 19 | 37:52 | 36 |
| უნტერჰახინგი | 33 | 8 | 11 | 14 | 32:54 | 35 |
| *აინტრახტი* | *33* | *9* | *5* | *19* | *39:67* | *32* |
| *ბოხუმი* | *33* | *7* | *6* | *20* | *30:66* | *27* |



გახსოვთ შარშანდელი ბუნდესლიგის ბოლო ტური? მაშინ ლიდერი „ლევერკუზენი" მდევარ „ბაიერნს" სამი ქულით უსწრებდა და სტუმრად „უნტერჰახინგთან" ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ 0:2 დამარცხდა და ჩემპიონობაც მიუნხენელებს გადაულოცა.

დღეს ბავარიელები არიან „ლევერკუზენის" მდგომარეობაში, „შალკეს" სამი ქულით სჯობნიან და რადგან ბურთების უარესი სხვაობა აქვთ, ჰამბურგში ფრე სჭირდებათ, თუმცა მიუნხენელები არც ამაზე არიან ყაბულს.

„ჩვენ ჰამბურგში მოსაგებად ჩავალთ" — ეს სიტყვები „ბაიერნის" თავკაცმა, „კატენაჩოს გენერლად" შერაცხულმა ოტმარ ჰიცფელდმა ჯერ კიდევ წინა ტურში, „კაიზერსლაუტერნთან" გამარჯვების მერე თქვა.

და მაინც, ვინ გახდება ჩემპიონი?

გერმანიაში ამ კითხვაზე პასუხი უკვე იციან. ცხადია, „ბაიერნი" — ამბობს ყველა. თუ ასე მოხდა, მაშინ ეს იქნება მესამე შემთხვევა, როცა მიუნხენელები ზედიზედ სამჯერ მოიგებენ ბუნდესლიგას (მანამდე ეს 1972-74 და 1985-87 წლებში მოახერხეს). ისე, თავიანთი ჩემპიონობის აღარც შალკელებს სჯერათ. „თეორიული შანსიღა გვაქვს, მაგრამ ხვალ ჰამბურგში თამაშის დასრულების მერე აღარც ეგ გვექნება" — განაცხადა ებე სანდმა, რომელიც ერთი კვირის წინ ამბობდა, ცდება ის, ვისაც ჰგონია, მთელი წლის ნაჯაფარს ერთ თამაშს შევწირავთო. შვიდი დღის წინ გელზენკირხენში ღრმად სწამდათ, რომ „შალკე" 1958 წლის მერე მეორედ გახდებოდა ჩემპიონი, მაგრამ შტუტგარტში მარცხმა...

„ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, რადგან გუნდს ჩემპიონობა ავუკრძალე" — მენეჯერმა რუდი ასაუერმა ამ სიტყვებში მის მიერ არაერთგზის თქმული იგულისხმა. ლიდერები კი ვართ, მაგრამ ბოლოს მაინც „ბაიერნი" გვაჯობებსო, ასაუერს მთელი სეზონი ეს ეკერა პირზე.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები ბავარიელებს ლამის უკვე ოფიციალურ ჩემპიონებად აცხადებენ, მიუნხენელები მაინც ფრთხილობენ. „ჩვენ ყველაფერზე ვფიქრობთ, „ლევერკუზენის" ამბავიც გვახსოვს, ამიტომ დიდი კონცენტრაცია გვმართებს, თუმცა ვერ წარმომიდგენია, ჩვენც იგივე შეგვემთხვას" — ამბობს კაპიტანი შტეფან ეფენბერგი.

„ბაიერნს", დღეს სალიჰამიჯიჩი და იერემისი არ ეყოლება. ბოსნიელი დისკვალიფიცირებულია, იერემისს კი ფეხი აწუხებს და ჰიცფელდიც ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ გართულებებს ერიდება. მიუნხენელებს ერთი ჰამბურგელი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ეყოლებათ — ლიგის საუკეთესო ბომბარდირი (ებე სანდთან ერთად) სერგეი ბარბარესი „ბაიერნს" ემუქრება — „შალკეს" ჩემპიონს მე გავხდიო, იქადნება გოლეადორი, რომლის ვაჟკაცობაც რამდენიმე საათში გამოჩნდება.

„შალკე" კი „უნტერჰახინგს" ელის, გუნდს, რომელსაც დღეს მხოლოდ მოგება სჭირდება, სხვა შემთხვევაში გავარდნა არ ასცდება.

ჩემპიონობის გარდა ბოლო ტურში სხვაცაა გასარკვევი, მაგალითად, მეოთხე ადგილზე გამსვლელი გუნდის ვინაობა. იგი, ალბათ, „ლევერკუზენი" იქნება, რომელიც უკვე მეორე ბუნდესლიგელ „ბოხუმს" მასპინძლობს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ თამაშის მერე გუნდის დატოვება მოუწევს ბერტი ფოგტსს, რომელსაც, მოგეხსენებათ, ლევერკუზენელთა უფროსობასთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ფოგტსმა ბოლო დროს ვარჯიშების გაცდენასაც მოუხშირა, კლუბიდან კი ინფორმაციამ გამოჟონა, სულ მალე მის ადგილს კლაუს ტოპმიოლერი დაიკავებსო. ამ კაცს წლეულს ბუნდესლიგაში დათხოვნილი ლამის ყველა მწვრთნელის მემკვიდრედ ასახელებდნენ, თუმცა ჯერაც უმუშევარია.

„ლევერკუზენის" კონკურენტი „ჰერტა" კი ალბათ, უეფას თასის საგზურს დასჯერდება, თუმცა საამისოდ სტუმრად „კაიზერსლაუტერნთან" ფრე მაინც სჭირდება. ბერლინელმა ქომაგებმა ამ თამაშის წინ სასიხარულო ამბავი შეიტყვეს. „მომავალ სეზონში დაისლერი „ჰერტაში" ითამაშებს, მერე კი ვნახოთ" — ამცნო საზოგადოებას კლუბის მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა, თან დააყოლა, წინ დიდი გეგმები გვაქვს, მომავალ ხუთ წელიწადში ბუნდესლიგის პირველ სამეულში და ევროპის საუკეთესო ოცეულში უნდა დავმკვიდრდეთო.

2000 წლის 11 ნოემბერს, 13 ტურის შემდეგ, „ქართული" „ფრაიბურგი" მე-16 ადგილზე იყო და გავარდნის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად ითვლებოდა, ახლა კი... დღეს თუ „ფრაიბურგი" შინ „ვოლფსბურგს" ქულას მაინც გამორჩება, სეზონის მთავარი სენსაციის შემოქმედი გახდება (თუ „შალკე" არ გაჩემპიონდა) — გაისად უეფას თასზე ითამაშებს. „რატომაც არა, ჩვენ ეს დავიმსახურეთ, ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული" — ფრაიბურგელთა მეკარე რიხარდ გოლცი ამ წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელია.

ჩვენებურთა გუნდში ერთი კარგი სიახლეცაა — კლუბს მალე ახალი სპონსორი ეყოლება. გუნდის უფროსობა სააქციო საზოგადოება „ატურ ნერგიე"-სთან აწარმოებს მოლაპარაკებას და, როგორც ამბობენ, ამ დღეებში საქმეს ბეჭედიც დაესმება.

„ფრაიბურგი" „ვოლფსბურგს" შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდება. მასპინძლებს ტუნისის ნაკრებში გამოძახებული ბაიასა და სელიმის გარდა, კონდე, ვილი, ჰერმელი და იაშვილიც არ ეყოლებათ. დიდი ხანია, ასევე დაშავებულნი არიან ლევან ცქიტიშვილი და გიორგი კიკნაძეც, რომელმაც ბუნდესლიგა წლეულს ვერ დააჭაშნიკა.

„ფრაიბურგის" წაფორხილების შემთხვევაში უეფას თასზე თამაშის შანსი „ვერდერსა" და „კაიზერსლაუტერნს" გაუჩნდებათ. „ლაუტერნზე" უკვე ვთქვით, ბრემენელები კი „ჰანზას" უმასპინძლებენ, გუნდს, რომელსაც ინტერტოტოს თასზე თამაში ამოუჭრია გულში და დღეს ბრემენში მოგებას გეგმავს.

ვინ გაჰყვება „ბოხუმის" და „აინტრახტის" გზას, „კოტბუსი" თუ „უნტერჰახინგი"? ცხრილისა და დღევანდელი წყვილების გათვალისწინებით, მესამე უიღბლო „ჰახინგი" უნდა იყოს.

გერმანიის ჩემპიონს, მოგეხსენებათ, ქვეყნის საფეხბურთო კავშირი საგანგებო სინით აჯილდოებს. შარშან კავშირის გადაწყვეტილებით სინის ორიგინალი უნტერჰახინგში ჩაიტანეს, მიუნხენში კი ასლი გაგზავნეს. ამიტომაც „ბაიერნმა" ნამდვილი სინი გაჩემპიონებიდან რამდენიმე საათის მერეღა ჩაიბარა. მიუნხენელებმა თუ დღეს მიზანს მიაღწიეს, ლოდინი აღარ მოუწევთ — ორიგინალი ჰამბურგში იქნება, გელზენკირხენში კი მინდვრის სიახლოვეს მხოლოდ ასლს გამოფენენ.

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# ვისია, ვისია, ხავი მორენო?

| XXXV ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| ვალენსია | — | ბილბაო |
| **დღეს** | | |
| ალავესი | — | ბარსელონა |
| **ხვალ** | | |
| სოსიედადი | — | მალაგა |
| ვალიადოლიდი | — | რასინგი |
| ოვიედო | — | დეპორტივო |
| რაიო ვალეკანო | — | რეალი |
| ესპანიოლი | — | მალიორკა |
| სელტა | — | ნუმანსია |
| ოსასუნა | — | ლას პალმასი |
| სარაგოსა | — | ვილიარეალი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 34 | 21 | 7 | 6 | 72:38 | 70 |
| დეპორტივო | 34 | 19 | 7 | 8 | 64:40 | 64 |
| ვალენსია | 34 | 17 | 8 | 9 | 51:29 | 59 |
| მალიორკა | 34 | 16 | 11 | 7 | 48:39 | 59 |
| ბარსელონა | 34 | 15 | 11 | 8 | 74:52 | 56 |
| სელტა | 34 | 14 | 9 | 11 | 47:47 | 51 |
| მალაგა | 34 | 14 | 8 | 12 | 55:51 | 50 |
| ვილიარეალი | 34 | 14 | 8 | 12 | 52:51 | 50 |
| ალავესი | 34 | 14 | 7 | 13 | 55:47 | 49 |
| ესპანიოლი | 34 | 13 | 8 | 13 | 42:35 | 47 |
| ბილბაო | 34 | 11 | 10 | 13 | 42:50 | 43 |
| ლას პალმასი | 34 | 12 | 6 | 16 | 36:55 | 42 |
| რაიო ვალეკანო | 34 | 9 | 13 | 12 | 54:61 | 40 |
| სარაგოსა | 34 | 9 | 12 | 13 | 52:54 | 39 |
| ვალიადოლიდი | 34 | 8 | 13 | 13 | 36:44 | 37 |
| ოვიედო | 34 | 10 | 7 | 17 | 45:59 | 37 |
| სოსიედადი | 34 | 9 | 9 | 16 | 44:65 | 36 |
| ოსასუნა | 34 | 8 | 11 | 15 | 38:49 | 35 |
| რასინგი | 34 | 9 | 7 | 18 | 42:58 | 34 |
| ნუმანსია | 34 | 8 | 8 | 18 | 34:59 | 32 |

**პრიმერადივიზიონის** მატჩები პარასკევობით განსაკუთრებულ შემთხვევებში იმართება. ერთი ასეთი შემთხვევა წინა პარასკევს იყო, როცა უეფას თასის ფინალის მომლოდინე „ალავესს" „დეპორტივოსთან" მატჩი ერთი დღით გადმოუტანეს. ასე იყო ახლაც — „ვალენსია" გუშინ შეხვდა ბილბაოს „ატლეტიკს". მიზეზი უფრო საპატიოა — „ვალენსიას" ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის სრულყოფილად მომზადება სჭირდება.

თუმცა „ვალენსია" — „ატლეტიკი" უკვე დასრულებული მატჩია, აქ კი გასამართ მატჩებზე ვლაპარაკობთ. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ უკვე ამ ტურის შემდეგ გაცხადდეს ჩემპიონის ვინაობა. ამისთვის „რეალმა" უნდა დაამარცხოს თანაქალაქელი „რაიო ვალეკანო", ხოლო „დეპორტივომ" უნდა წააგოს ოვიედოში.

„ვაღიარებ, რომ ბოლო დროს ფორმიდან ამოვვარდით — თქვა ვისენტე დელ ბოსკემ — პრიმერადივიზიონის და ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩები ერთმანეთს დაემთხვა და ორ ფრონტზე მოგვიხდა ბრძოლა. თუმც ვფიქრობ, საშიში არაფერია და ჩემპიონობაში ხელს ვერაფერი შეგვიშლის".

ხვალ „რეალს" ფერნანდო იერო და ივან ელგერა არ ეყოლება, რომლებიც დისკვალიფიცირებულნი არიან და მათ ნაცვლად ივან კამპო და სტივ მაკმანამანი ითამაშებენ. „ტერეზა რივეროზე" საეჭვოა რაულის გამოჩენაც, რაკი ვირუსი შეჰყრია და ადგილს პედრო მუნიტისს დაუთმობს, რომელიც შეტევაში გუტის შეუწყვილდება.

ცალკე სათქმელია ახალგაზრდა მეკარე იკერ კასილიასის ამბავი. „ბაიერნთან" ორივე მატჩში უხეირო თამაშის შემდეგ ის აუთვალწუნებიათ და ხვალ, ისევე როგორც წინა ტურში, კარის დაცვას სესარს ანდობენ. ამ ცვლილებას უმალ მოჰყვა ჭორები, კასილიასი სათადარიგოთა სკამზე ჯდომას იუკადრისებს და სხვა კლუბის ძებნას შეუდგებაო. ამის პასუხად მეკარემ თქვა, მართალია, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ არც ისე სულელი, „რეალიდან" წასვლაზე ვიფიქროო.

„რაიო ვალეკანო" კი შეეცდება, წინა უქმეებზე „კამპ ნოუზე" ნაჭამი სირცხვილი (1:5) დაივიწყოს და „რეალს" ზეიმი მინიმუმ ერთი კვირით გადაადებინოს.

ზემოთ „რეალის" ამ ტურშივე გაჩემპიონების მეორე აუცილებელ პირობად „დეპორტივოს" მარცხი ვთქვით.

გალისიელთა მეტოქე მეთხუთმეტეადგილოსანი „ოვიედოა", მაგრამ მათ მდგომარეობას ორი რამ ართულებს. ერთი ის, რომ „სუპერდეპორი" ტრავმირებულ ჯალმინიას მოისაკლისებს და „ოვიედოც" შინ მეტად კარგად თამაშობს.

დღეს ესპანეთში ერთადერთი მატჩია — „ალავესი" მასპინძლობს „ბარსელონას" და ამ შეხვედრამ ბევრი რამ უნდა გაარკვიოს. წაგება ორივე გუნდისთვის დამღუპველია — „ალავესი" უეფას თასის, ხოლო „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ალბათ გამოეთხოვება. ისე, საცოდაობა კი იქნება, ეს ტურნირები უმათოდ. თუმც საფიქრებელია, რომ მასპინძლები უფრო წააგებენ, ვიდრე სტუმრები. ასეთი ვარაუდის საბაბს კატალონიელთა წინა შეხვედრაში ბრწყინვალე თამაში და ბასკთა სამი დღით ადრე მომქანცველი ფინალი გვაძლევს.

და ერთი ცნობაც, რომლის სისწორეზე თავს ვერ დავდებთ. ითქვა, ხავი მორენომ „ბარსასთან" კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი და მასში ისე გადაიხადეს რვა მილიონი დოლარი, სამედიცინო შემოწმებებზეც არ გაატარესო.

ხვალ იმ შემთხვევასთან გვექნება საქმე, როცა მთელი ბარსელონა „ბარსას" ქომაგების ჩათვლით, „ესპანიოლს" დაუჭერს მხარს, რომელიც „მალიორკას" მასპინძლობს.

კუნძულელთა მიზანი ჩემპიონთა ლიგაში თამაშია, რის გამოც თავს ქულების დაკარგვის უფლება არ უნდა მისცეს. არადა, დარჩენილ მატჩებში, „ოვიედოსთან" შეხვედრის გარდა, მათ უდავო ფავორიტებად ვერ მივიჩნევთ. მალიორკელთა მთავარი პრობლემა მეკარის არყოლაა. ლეო ფრანკოს, ჯერმან ბურგოსის და კარლოს როას ტრავმების გამო კარში მიგელ გარო მიკი ჩადგება. ამასთანავე დისკვალიფიცირებულია მცველი ფერნანდო ნინიოც.

„ნუმანსიასთვის" ვიგოური თამაში ალბათ ბოლო გაბრძოლებაა პრიმერადივიზიონში დასარჩენად. სორიელებს, რომლებმაც წინა ტურში ახალი მწვრთნელით „ოსასუნა" დაამარცხეს, ბევრად უფრო ძლიერი მეტოქე ელით. თან „სელტა" უეფას თასის ადგილისთვის იბრძვის და აბა, რას დათმობს. სელესტინო ვალეხო კი ამ სეზონში „ნუმანსიას" უკვე მესამე მწვრთნელია.

ჯონ ტოშაკმა, ძველმა ლივერპულელმა, სამშაბათს იწინასწარმეტყველა, უეფას თასს „ალავესი" აიღებსო და შეცდა. ვინძლო, ახლა გაუმართლოს და „მალაგას" ისეთი თამაში მოახვიოს თავს, „სოსიედადს" რომ სამ ქულას მოაპოვებინებს. რატომაც არა, წინა ტურში ვილიარეალში გამარჯვება ხომ შეძლო. თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ „მალაგამ" პანამელი დელი ვალდესის ჰეთ თრიქით „ვალენსია" დასცა და სანსებასტიანელებზე საპატიო მიზნისთვის — უეფას თასზე მოსახვედრად იბრძვის.

ჯერაც დისკვალიფიცირებულია ბასკთა მეგოლე ედგარას იანაუსკასი, მაგრამ ამ დანაკარგის ანაზღაურებას ტოშაკი თურქი ტაიფუნ კორკუტის ბრწყინვალე ფორმაში ყოფნით შეეცდება.

„სარაგოსას" ოთხი ქულა აშორებს გასავარდნთა ზონიდან და „ვილიარეალს" თუ მოუგებს, თავი, ფაქტობრივად, ქუდში ექნება. მასპინძლებს ბრაზილიელი თავდამსხმელი პაულო ჟამელი ჰყავთ დისკვალიფიცირებული, რომელსაც დანიელ მონტენეგრო შეცვლის, ხოლო „ვილიარეალს" კიკე ალვარესი იმავე მიზეზით დააკლდება.




ხავი მორენო

# ქართველთა პაემანი ბალკანეთში

## არა აქვს მნიშვნელობა, ვის ვეთამაშებით, მთავარია, როგორ ვთამაშობთ

*3 ივნისს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება და ბელარუსის, ბულგარეთისა და აზერბაიჯანის გუნდებს შეებმება. ჩვენი კალათბურთელები 15 მაისიდან შეუდგნენ ვარჯიშს.*

*20 მაისს, გამთენიისას, საქართველოს ნაკრები სლოვენიაში მიემგზავრება შეკრებაზე, სადაც გუნდს ძირითადი ბირთვი შეუერთდება. ქართველები იქ 5 საკონტროლო შეხვედრას გამართავენ ადგილობრივი და ხორვატიის უმაღლესი ლიგის გუნდებთან. სლოვენიაშივე მიიღებს ნაკრები იმ სახეს, როგორითაც თბილისში ბულგარელებს დაუხვდება.*

*გაირკვა, რომ ამ ეტაპზე ნაკრებს ვლადიმერ სტეფანია ვერ დაეხმარება. რაც შეეხება სხვა ლეგიონერებს... თუმცა, ჯობს, ამ და ნაკრებთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო საკითხებზე პასუხი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძისგან მოვისმინოთ.*



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

**— როგორ ფორმაში არიან ნაკრების კანდიდატები?**

— ახალშეკრებილები ვართ. ჯერ მხოლოდ მესამედ ვივარჯიშეთ და იმის თქმა, თუ ვინ როგორ ფორმაშია, ნაადრევია. საჩქარო არაფერია, წინ საკმაო დრო გვაქვს და არ გვინდა, ბიჭები ფიზიკურად დავტვირთოთ. ვარჯიშები ძირითადად მოთელვითია და შემდგომ თანდათან გართულდება, სანამ სასურველ კონდიციებს არ მივაღწევთ.

**— კანდიდატთა შერჩევისას ფართო არჩევანი გქონდათ?**

— საკმაოდ. ნაკრებში ძალიან დიდი კონკურენციაა. თბილისში მოვარჯიშეებს დაუმატეთ „სლოვანში" მოთამაშე სამი ლეგიონერი — ბოისა, ცქიტიშვილი, უგრეხელიძე. კიდევ ჩხეიძე, ფაჩულია და ბერძენიშვილი. უკვე 17 კაცი დაგროვდა, გუნდში კი 10 ადგილია. მინდა განვაცხადო, რომ ნაკრებში მოხვედრა თვით ლეგიონერებსაც არ აქვთ გარანტირებული.

**— ნაკრების სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, თორთლაძესა და მუჩკუდიანს ამ ეტაპზე ნაკლები სათამაშო პრაქტიკა აქვთ...**

— ის მატჩები, რომლებიც სლოვენიაში შეკრების დროს უნდა გავმართოთ, საკმარისი უნდა იყოს სათამაშო პრაქტიკის მისაღებად. თორთლაძე ძალიან გამოცდილი კალათბურთელია, ვფიქრობ, რამდენიმე თამაშის შემდეგ მოახერხებს ფორმაში შესვლას და თავისი პოტენციალის სრულად წარმოჩენას. ამასთან, მინდა გითხრათ, რომ ყველა კალათბურთელს კლუბში თამაშის სტერეოტიპი აქვს ჩამოყალიბებული, ნაკრებში კი უმეტეს შემთხვევაში სხვა მიმართულებითაა მოქმედება საჭირო. თორთლაძეს გადაწყობის დიდი ნიჭი აქვს და მიმაჩნია, რომ ამაში მას სხვებმაც უნდა მიბაძონ.

**— ნაკრებში მხოლოდ ორი საქართველოს ჩემპიონია...**

— ამის ძირითადი მიზეზი ტრავმებია. ლევან ქარაბაკი დაშავებულია, ტრავმები აწუხებთ უსტიაშვილსა და აბრამიძესაც, რომლებსაც სეზონი პრაქტიკულად გაუცდათ. რაც შეეხება ვალერი კილაძეს, მიუხედავად იმისა, რომ ფინალურ სერიაში სტაბილურად ითამაშა, ამ ეტაპზე მისი მოწვევისგან თავს ვიკავებთ. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ იგი სათვალავიდან ამოვაგდეთ. მას აქვს შანსი, ნაკრებს მეორე წრისთვის დაეხმაროს.

**— ტრავმები ახსენეთ. ამ მხრივ ნაკრებში რა მდგომარეობაა?**

— წინა ვარჯიშზე ვლადიმერ ბეჟანიშვილმა ოდნავ იტკინა ფეხი, მაგრამ სერიოზული არაფერია. იგი მალე განაახლებს ვარჯიშს. სხვები, მადლობა ღმერთს, არაფერს უჩივიან.

**— სლოვენიაში რა გეგმებით მიდიხართ?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა ულრმესი მადლობა მოვახსენო სლოვენიის კალათბურთის ფედერაციასა და „სლოვანის" გუნდის ხელმძღვანელობას იმ გულისხმიერებისთვის, რომელიც ჩვენს მიმართ გამოიჩინეს. ისინი ყველანაირად დაგვეხმარნენ, რათა ეს შეკრება მოგვეწყო. ამ საქმეში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ფედერაციას და პირადად ვიცე-პრეზიდენტ დუდუ დადიანს, რომელმაც პირადი კონტაქტების წყალობით მოახერხა ამ შეკრების ორგანიზება. მადლობის ღირსნი არიან ჩვენი იქაური ლეგიონერებიც.

შეკრებაზე ხუთ საკონტროლო მატჩს გავმართავთ. უშუალოდ „სლოვანთან", ერთს ხორვატიისა და სამსაც სლოვენიის უმაღლესი ლიგის გუნდებთან. ვიცხოვრებთ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში, ჩვენს განკარგულებაში იქნება მშვენიერი დარბაზი ყველა საჭირო ატრიბუტით. ნაკრებს იქ ყველანაირი პირობა ექნება შექმნილი, რათა სათანადოდ მოემზადოს.

**— თქვენი იქ ყოფნის დროს „სლოვანს" ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის უწევს თამაშები...**

— დიახ. შეიძლება ეს მატჩები 29-მდეც გაგრძელდეს, რაც, ბუნებრივია, ხელს არ გვაძლევს. ნებისმიერ კლუბს აქვს უფლება, საჭიროების შემთხვევაში ლეგიონერი თავისთან დაიტოვოს ნაკრების თამაშამდე არაუგვიანეს 72 საათისა. ამ ეტაპზე „სლოვანს" მეტად პრინციპული შეხვედრები ელის საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად და ცხადია, ჩვენს ბიჭებზეც დიდ იმედებს ამყარებენ. ეს კარგად გვესმის და არავითარი პრეტენზია არ გვექნება, თუ კლუბი ამ ვადამდე არ გაათავისუფლებს მათ. მით უმეტეს, რომ სლოვენიაში ვიქნებით და შესაძლებლობა გვექნება, ამ თამაშებში ნაკრების კანდიდატებს დავაკვირდეთ. ისიც მინდა გითხრათ, რომ „სლოვანი" ჩვენს საბაზო კლუბს წარმოადგენს და არ არის გამორიცხული, ამ გუნდის ტაქტიკური მონახაზი ნაწილობრივ ან მთლიანად დავნერგოთ ჩვენს ნაკრებში. ამ შეკრებასთან დაკავშირებით ისიც გასათვალისწინებელია, რომ თბილისში ბულგარეთთან შეხვედრამდე სამი დღით ადრე ვბრუნდებით და თავისებური აკლიმატიზაცია უნდა გავიაროთ. მაგრამ რომ არ წავიდეთ, თითქმის იგივე გამოდის, რადგან ნაკრების ძირითად ბირთვს, ლეგიონერების სახით, სწორედ ამ დროს მოუწევდა ჩამოსვლა. ამ თვალსაზრისით ეს შეკრება გამართლებულად მიმაჩნია.

**— დანარჩენ ლეგიონერებზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

— ბერძენიშვილი სლოვენიაში შემოგვიერთდება. მას ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ტრავმები მოეძალა. მის შესახებ მეტი არაფერი ვიცი.

რაც შეეხება ფაჩულიას, იგი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და მიუხედავად იმისა, რომ „ულქერში" არცთუ ხშირად უწევს თამაში, მჯერა, გადამწყვეტ სიტყვას იტყვის. რევაზ ჩხეიძე გამოძახებულია და 25-ში შემოგვემატება. იგი პირველ მატჩში თუ არა, მეორეში აუცილებლად დაგვეხმარება. სლოვენიაში საბოლოოდ გაირკვევა, თუ ვინ დარჩება ნაკრებში ბულგარელებთან შესახვედრად.

**— ჩვენი პირველი მეტოქე ბულგარეთის ნაკრებია. რა იცით მასზე?**

— ჩემი აზრით, ბულგარეთი საშუალო ევროპულ დონესთან მიახლოებული გუნდია. მართალია, ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ შინ თავისზე მაღალი რანგის გუნდებიც კი დაუმარცხებია. ბუნებრივია, გრანდებთან აგებს, მაგრამ ღირსეულად. ვიდეოფირზე ვნახე მათი თამაში სტუმრად ბერძნებთან, მაგრამ მეტოქეზე სრული წარმოდგენა მაინც ვერ შემექმნა, რადგან საბერძნეთი სულ სხვა, მაღალი დონის გუნდია. ერთი რამ ცხადია, ბულგარელები სწრაფ კალათბურთს თამაშობენ, უფრო იმპროვიზაციაზე აკეთებენ აქცენტს. ჰყავთ გამოცდილი ლიდერები ყველა ხაზში, როგორც პერიმეტრზე, ისე ფარქვეშ. მართალია, მათი ცენტრები დიდი სიმაღლით არ გამოირჩევიან, მაგრამ საკმაოდ მოქნილნი და სწრაფები არიან.

ბულგარელებთან მატჩს ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. ეს ხომ კლუბი არ არის, სადაც დრო თამაშის გამოსწორების საშუალებას გაძლევს. ნაკრები სულ სხვაა. აქ უფრო მობილიზებული და ფრთხილი მიდგომაა საჭირო, რადგან მარცხის შემთხვევაში ფაქტობრივად ყველაფერი წყალში იყრება. ჩვენ ვეთამაშებით გუნდს, რომლის რეალურ შესაძლებლობებზეც თითქმის არაფერი ვიცით, რადგან ერთი ნახვით, ისიც ფირზე, ძალიან ძნელია, გუნდის რეალური ძალა განსაზღვრო. და ის დასკვნები, რომლებიც ზემოთ გავაკეთე ბულგარელებზე, ძალიან ზოგადია. როდესაც მეტოქეზე საკმარისი ინფორმაცია არ გვაქვს, უნდა იმოქმედო პრინციპით — არა აქვს მნიშვნელობა, ვის ვეთამაშებით, მთავარია, როგორ ვთამაშობთ. ამ დევიზით რომ ჩავატაროთ ეს თამაშები, უფრო გამართლებული იქნება, რადგან, ვიმეორებ, ერთი ნახვით გუნდის პოტენციალის შეფასება ძალიან რთულია.

**— აზერბაიჯანი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს?**

— იმ გუნდით, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, მათ რეალურ ძალაზე ვერ იმსჯელებ. თურქეთში ყოფნისას „ბასკო" იქაურ „თოფაშსა" და „რენოს" შეხვდა, რომლებშიც ხუთი საკმაოდ მაღალი დონის აზერბაიჯანელი ირიცხებოდა. დღეს ეს ბიჭები, რამდენადაც მე ვიცი, უკვე აზერბაიჯანში იმყოფებიან და ნაკრებსაც შეუერთდნენ. ასევე მათ ჰყავთ საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელი, რომელიც თურქულ „რენოს" თავკაცობს. აზერბაიჯანელებს თურქეთში ორმაგი მოქალაქეობის, რელიგიისა და ენის პრობლემა არა აქვთ. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, ის ხანშიშესული თურქი კალათბურთელები, რომლებსაც თურქეთის ნაკრებში თამაშის შანსი აღარ აქვთ, აზერბაიჯანელთა რიგებში ვიხილოთ. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. უფრო კონკრეტულად ამის თაობაზე არაფერი ვიცი.

**— ბელარუსი ჯგუფში, ალბათ, კონკურენციის გარეშე იქნება.**

— მინდა გითხრათ, რომ მიუხედავად ბელარუსის ფავორიტობისა, მათთან უშანსოდ ნამდვილად არა ვართ. გაიხსენეთ „გროდნო", რომელსაც, „ბასკო", რომ მოენდომებინა, 30 ქულითაც დაამარცხებდა. თუმცა ამ კლუბით მთლიანად ნაკრებზე ვერ იმსჯელებ, ისინი გაცილებით ძლიერები არიან. მარტო მეშჩერიაკოვი და კული რად ღირს. შესაძლებელია, დაინეკოც დაემატოთ. მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი, ლეგიონერების სახით საკმაოდ დიდი ძალა შეგვემატება. ერთი უარყოფითი ფაქტორიც მინდა აღვნიშნო. ახალგაზრდა ლეგიონერებს სპორტის სასახლეში, ფაქტობრივად, არ უთამაშიათ. მაგრამ ვიმედოვნებ, ისინი აკლიმატიზაციას მოახერხებენ და ეს პრობლემა ხელს არ შეგვიშლის.

**— ვხედავ, გიორგი მარკოიშვილი შემოგიერთდათ. საბოლოოდ რომელ მოთამაშეებს წაიყვანთ სლოვენიაში?**

— იქ ათი კანდიდატით გავემგზავრებით. მაგრამ მათი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან ღმერთმა დაიფაროს და რომელიმემ ტრავმა რომ მიიღოს, შემადგენლობის შეცვლა მომიწევს.

რაც შეეხება გიორგი მარკოიშვილს, მისი კანდიდატურა განიხილება. იგი ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდაა და ნაკრებთან ვარჯიში მისი კლასის ამაღლებას ხელს შეუწყობს და თუ ამ ეტაპზე არა, შემდგომ მაინც გამოგვადგება.

**— როგორ ფიქრობთ, შევძლებთ თუ არა შემდეგ ეტაპზე გასვლას?**

— ჩვენი მხრიდან ყველაფერი კეთდება. მიუხედავად უსახსრობისა, შეძლებისდაგვარად მხარში გვიდგას ფედერაცია და განსაკუთრებით დუდუ დადიანი, რომელიც არაფერს იშურებს იმისთვის, ჩვენმა ნაკრებმა ეს ეტაპი რომ დასძლიოს. პროგნოზების კეთება საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ ერთს ვიტყვი, ბიჭები თავს არ დაზოგავენ მიზნის მისაღწევად.

**ირაკლი ბერტაია**

## NBA. პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# ნოკაუტი გადაიდო

**აღმოსავლეთი**

17 მაისი

| | |
|---|---|
| **მილუოკი** | 3 |
| **შარლოტი** | 3 |

**შარლოტი 97:104 მილუოკი**

შარლოტი: ვესლი (27), მაშბურნი (24 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), დევისი (19)

მილუოკი: კასელი (33 ქულა, 11 პასი), რობინსონი (29), ალენი (23)

მაშინ, როდესაც დასავლეთში „ლეიკერსმა“ და „სან ანტონიომ“ ერთი ხელის გაქნევით ჩამოიშორეს მეტოქენი და ახლა კონფერენციის ფინალისთვის ერთმანეთზე კბილებს ილესავენ, აღმოსავლეთის ფინალში მოხვედრის ოთხი მსურველი ჯერაც ოფლს ღვრის. 17 მაისს შარლოტურ შეხვედრას იქნებ სინათლის სხივი შეეტანა ბურუსით მოცულ აღმოსავლეთში, მაგრამ არა. „მილუოკი ბაქსმა“ შარლოტში იქაურ „ჰორნეთსს“ მოუგო, სერიაში ანგარიში გაათანაბრა და ამ წყვილში მდგომარეობა 20 მაისამდე ისევ ბუნდოვანი დარჩა. ამ დღეს კი სერიის გადამწყვეტ, მეშვიდე შეხვედრას მილუოკი უმასპინძლებს.

„შარლოტ ჰორნეთსი“ არცთუ მრავალფეროვანი ტრადიციების მქონე გუნდია, სულ თხუთმეტი წლისაც არაა და არსებობის მანძილზე კონფერენციის ფინალშიც არ გასულა. ხუთშაბათს კი „კრაზანებს“ ამის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. მათ თითქოს მოუძებნეს გასაღები „მილუოკის“, ზედიზედ სამჯერ ჩააგდეს ნოკდაუნში და ხუთშაბათს თითქოს საბოლოო ნოკაუტიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მასპინძლებს მინიმუმ რამდენიმე დღით შანსი ხელიდან გაუფრინდათ, რაც შესაძლოა „კრაზანათა“ გამოუცდელობის ბრალიცაა.

შეხვედრის პირველი ნახევარი „შარლოტმა“ მეტოქეზე აშკარად უკეთ ჩაატარა და დიდ შესვენებაზე ათქულიანი უპირატესობით წავიდა. მასპინძლები მეორე ტაიმის დასაწყისშიც რიგიანად გამოიყურებოდნენ, დევიდ ვესლის მარიფათის წყალობით 15 ქულითაც დაწინაურდნენ. მაშინ, როდესაც მატჩს დამთავრებამდე ოციოდ წუთი რჩება, 15-ქულიანი უპირატესობა სულაც არ გახლავთ გამარჯვების გარანტი, თუმც მეტოქისთვის ძნელად დასაძლევი ბარიერია. ვერ ვიტყვით, რომ მასპინძლებმა წინ გაჭრის შემდეგ თავი შემდეგ წრეში დაიგულეს და ხელები ჩამოუშვეს, მაგრამ ერთი კი ცხადია — ქულათა მარაგი გაანიავეს.

დიდი ჩამორჩენის მიუხედავად, მილუოკელები ემოციებს არ აჰყვნენ, და სიმშვიდე შეინარჩუნეს, მერე კი უცებ აფეთქდნენ და სანამ „კრაზანები“ გონს მოეგებოდნენ, მათი უპირატესობიდან ბევრიც არაფერი დარჩა. გაქცევას სათავე სემ კასელმა დაუდო. მას რეი ალენმაც აუბა მხარი, ამ ორს არც „მილუოკის“ დიდი სამეულის კიდევ ერთი წევრი — გლენ რობინსონი ჩამორჩა, ზედიზედ შვიდ ქულას მოუყარა თავი და მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა — 61:60. სულ მესამე მეოთხედში რობინსონმა 13 ქულა მიითვალა, ამასთან, „დიდი ძაღლი“ დაცვაშიც სანაქებოდ გაისარჯა და მეორე ტაიმში „კრაზანათა“ წინამძღოლ ჯამალ მაშბურნს სულ ექვსი ქულა ჩააგდებინა.

უპირატესობის დაკარგვამ „კრაზანები“ გამოაფხიზლა, მაგრამ მატჩის შემოტრიალება უკვე ძნელი იყო, მით უფრო, რომ სტუმრებმაც იპოვეს საკუთარი თამაში. მეოთხე მეოთხედი ლამის ქულა-ქულაში წარიმართა. მასპინძელთა მხრიდან დევიდ ვესლი, სტუმართაგან კი სემ კასელი ყოჩაღობდნენ. ამ უკანასკნელმა ხომ კარიერაში პლეი ოფებში საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 33 ქულით პირადი რეკორდი დაამყარა, აქედან 14 კი ბოლო თორმეტწუთეულში ჩააგდო. კასელი, როგორც იქნა, გამოვიდა შარლოტელი ბაირონ დევისის ჩრდილიდან და თავისიანებს გამარჯვებისკენ წაუძღვა. აღსანიშნავია, რომ იგი მთელ სერიას ნატკენი ნეკნებით ატარებს.

მატჩის ბედის გადამწყვეტი ბურთი კი სხვამ ჩააგდო. ამ საქმის დიდოსტატმა რეი ალენმა საფინალო სირენამდე 27 წამით ადრე შორი დისტანციიდან იმარჯვა და თავისიანები 100:97 დააწინაურა. დარჩენილი დრო სტუმრებმა 4:0 მოიგეს.

„დასანანი მარცხია და კვლავაც წავაგებთ, თუ „ბაქსის“ სამეულს რაიმე არ მოვუხერხეთ. მოგებულ თამაშებში ჩვენ მათგან ერთ-ერთს მაინც ვაკონტროლებდით, დღეს ეს ცუდად გამოგვივიდა და წავაგეთ“ — ამბობდა მატჩის შემდეგ შარლოტელთა მწვრთნელი პოლ საილასი. ბატონი პოლი შექმნილ ვითარებას სალად აფასებს და მომავლისთვის კასელ-ალენ-რობინსონის ტრიოს შებოჭვას ესწრაფვის, რომელმაც ამ მატჩში მის შეგირდებს 85 ქულა ჩაუგდო.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ბიჭბუჭობა შეიკრიბა

**17 მაისს** ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ახალბედათა სიმბოლური ხუთეულები დაასახელა. რჩეულ ახალბედათა შერჩევა მწვრთნელთა პრიორიტეტია. ნბას ოცდაცხრავე გუნდის თავკაცი პირველწლიანთა ორ გუნდს ირჩევს ამპლუების მიხედვით. ამასთან, მათ უფლება არა აქვთ, ამ გუნდებში საკუთარი შეგირდი გაურიონ.

ქულათა მაქსიმუმი მიიღო სეზონის საუკეთესო ახალბედამ, „ორლანდო მეჯიქის“ მსროლელ-ფრთამ, მაიკ მილერმა, რომელსაც ოცდარვავე გუნდის (ცხადია საკუთარი დამრიგებლის გამოკლებით) მწვრთნელმა პირველ ხუთეულში მიუჩინა ადგილი. 27 პირველი ხმა მოიპოვა „ნიუ ჯერსიში“ ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას თანაგუნდელმა, 2000 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა კენიონ მარტინმა. პირველი ხუთეული შეავსეს გოლდენსტეიტელმა მარკ ჯექსონმა, ტორონტოელმა მორის პეტერსონმა და „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ 19 წლის მომავალმა სუპერვარსკვლავმა დარიუს მაილზმა.

აღსანიშნავია თურქი ფრთის, „საკრამენტოს“ სათადარიგო კალათბურთელის, ჰიდაიეთ თურქოღლუს წარმატება. 28 მწვრთნელიდან ცხრამ მას პირველი ხმა მისცა, 16-მა კი — მეორე. საბოლოოდ თურქოღლუ მეორე ხუთეულში მოხვდა, თან დანარჩენ ოთხ მოთამაშეს გვარიანი უპირატესობით აჯობა.

ხუთეულები კი ასე გამოიყურება:

| პირველი ხუთეული |
|---|
| დარიუს მაილზი (კლიპერსი) |
| მორის პეტერსონი (ტორონტო) |
| მაიკ მილერი (ორლანდო) |
| კენიონ მარტინი (ნიუ ჯერსი) |
| მარკ ჯექსონი (გოლდენ სტეიტი) |
| **მეორე ხუთეული** |
| დესმონდ მეისონი (სიეტლი) |
| კურტნი ალექსანდერი (ვაშინგტონი) |
| ჰიდაიეთ თურქოღლუ (საკრამენტო) |
| მარკუს ფიზერი (ჩიკაგო) |
| კრის მიმი (კლივლენდი) |

## თურქეთი

**პლეი ოფი**

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ეფესი** | 2 |
| **ბეშიქთაში** | 0 |

**ეფესი 90:78 ბეშიქთაში**

| | |
|---|---|
| **ულქერი** | 2 |
| **გალათასარაი** | 2 |

**გალათასარაი 85:93 ულქერი**





შარშანდელი „ჯიროს“ გამარჯვებული სტეფანო გარძელი (მარცხნივ) და მარკო პანტანი

# პესკარადან მილანამდე ლიუბლიანის გავლით

**დღეს** ახალი საუკუნის პირველი დიდი ველოტურნირი იწყება — „ჯირო დ იტალია 2001“. დღეს პესკარადან მილანისკენ 20 გუნდის 180 მრბოლი და კიდევ უამრავი ხალხი გაემართება, ოღონდ არაპირდაპირი გზით. „ჯიროს“ პელოტონი 3577,1 კილომეტრს გაივლის, სანამ დანიშნულების ადგილამდე ჩააღწევს, მეზობელ სლოვენიაშიც შეივლის, ბევრ სიძნელესაც გადალახავს, ბევრი მრბოლიც გამოეთიშება შეჯიბრს სხვადასხვა მიზეზთა გამო და, იმედია, დაძაბული ბრძოლებისგან მაყურებელიც დიდ სიამოვნებას მიიღებს.

რიგით 84-ე „ჯიროს“ გზაზე მრბოლების მთავარი ამოცანა ტემპის გაძლება იქნება და არა მხოლოდ მთების დაძლევა. ეტაპების საშუალო სიგრძე ორგანიზატორებმა შეამცირეს. 21 ეტაპიდან მხოლოდ ექვსია 200 კილომეტრზე გრძელი, რომელთაგან ფინიშამდე სამი დღით ადრე გასავლელი (230 კმ) ყველაზე არაქათგამომცლელი იქნება. იმ დღეს იმპერიადან (ლიგურიის ზღვის ნაპირზეა) პიემონტში მდებარე სანტ ანა ვინადიოს მთამდე, რომლის უმაღლესი წერტილიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა, პელოტონი ოთხ მთას გადაივლის, მათ შორის უმაღლესი კატეგორიის ფაუნ იერას (2 511 მ.).

მანამდე „ვარდისფერი ტურნირი“ სწრაფად მოივლის სამხრეთ იტალიას. დღეს პროლოგი ადრიატიკის ზღვის ნაპირზეა დანიშნული. შემდეგ „ჯიროს“ გზა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიემართება, გადაკვეთს აპენინების მთებს და სლოვენიის დედაქალაქ და თბილისის დაძმობილებულ ქალაქ ლუბლიანამდე მივა. ნამდვილი სიძნელეებიც ამის მერეღა დაიწყება. მეცამეტე ეტაპი პირველ ივნისს როლეს, ფედაიას და პორდუას (ორჯერ) მთებზე გადავლას ავალდებულებს მრბოლელებს. მეორე დღეს კი მონტე ბონდონეაა დასაძლევი, რომლის 1956 წელს ქარიშხალში გადავლით ლუქსემბურგელმა შარლი გოლმა ველოსპორტის ისტორიაში დაუვიწყარი ფურცელი ჩაწერა.

შეჯიბრის ერთადერთ სერიოზული ინდივიდუალური რბოლა (55,5 კმ) გარდეს ტბის სანახებში გაიმართება. შემდეგ ერთი ეტაპიც და მრბოლელებს ერთადერთი დასვენების დღე ექნებათ ძალების აღსადგენად, დარჩენილი კი სან რემოს საკმაოდ რთული ეტაპი და სანტ ანა ვინადიო, რომელზეც უკვე მოგახსენეთ, იქნებიან მილანში მომზადებულ ფინიშამდე. ჯამში ეს გზა 3577,1 კმ-ია, რაც ბოლო წლების ტრადიციის გაგრძელებაა, ანუ „ჯიროს“ პელოტონი სულ უფრო და უფრო ნაკლებ მანძილს ფარავს — 2000 წელს 3696 კმ, 1999 წელს 3757 კმ, 1998 წელს 3811 კმ.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი „ჯიროს“ ათი ეტაპია მეტ-ნაკლებად მთიანი. ამათგან სამის ფინიში აღმართშია განლაგებული. ყველაზე რთული კი „ჯირო“ უდავოდ მეცამეტე ეტაპია, რომელმაც, სავსებით შესაძლებელია, გადაწყვიტოს კიდეც საბოლოო გამარჯვებულის ბედი.

და ვინ იქნება „ჯიროს“ წლევანდელი ჩემპიონი?

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში აპენინებზე მხოლოდ ადგილობრივი მრბოლელები იმარჯვებდნენ — 1997 და 1999 წლებში ივან გოტი, მათ შორის მარკო პანტანი და შარშან სტეფანო გარძელი. მიუხედავად ამისა, იტალიურ პელოტონს გამოკვეთილი ლიდერი მაინც არ ჰყავს, რომელიც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ნახევარკუნძულზე პირველობის შანსს გადაუწურავდა, ისეთი, როგორებიც კლაუდიო კიაპუჩი, ჯანი ბუნიო, ანდა თავად მარკო პანტანი, ოღონდ 1998 წელს, იყვნენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ძლიერმა უცხოელებმა „ჯიროს“ დიდი პატივი მაინც არ დასდეს. არმსტრონგი, ბელოკი, ჟალაბერი, ერასი და კიდევ მრავალი გამოჩენილი მრბოლი იტალიაში არ ჩავიდნენ, იან ულრიხი კი თავისი საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არის. შესაბამისად „ჯიროს“ ფავორიტები მაინც იტალიელები არიან.

### ფრანჩესკო კასაგრანდე

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კვალიფიკაციით ნომერი პირველი მრბოლი შარშანდელ „ჯიროზე“ მეორე ადგილს დასჯერდა. „ფასა ბორტოლოს“ ლიდერი ერთი წლის შემდეგ პოდიუმზე ერთი საფეხურით ანაცვლებას გეგმავს. [illegible] წარმატებისთვის აქ[illegible] (შარშანდელ „ჯიროს“ თუ არ ჩავთვლით) და მხოლოდ კლასიკებზე გაბრწყინებებით კმაყოფილდებოდა. წლეულს კასაგრანდემ სეზონის წინ სამი მიზანი დაისახა, რომელთაგან ორს, „ვალონიის ისრის“ და ლიეჟი-ბასტონ-ლიეჟის მიღწევა ვერ შეძლო. არადა, ორივე ამ რბოლისას ობიექტურად უძლიერესი სწორედ ის იყო. ასე რომ, ახლა მთელი ძალები „ჯიროსკენ“, თორემ სეზონი შეიძლება ჩავარდნილად ჩაითვალოს. თუ იგი ისევ ვერ აღმოჩნდა სათანადო დონეზე, რაც ტურნირის პირველივე კვირაში გაირკვევა, მისმა სპორტულმა დირექტორმა შეიძლება აქცენტი დარიო ფრიგოზე გადაიტანოს, ვინც პარიზი-ნიცა და „რომანდიის ტური“ უკვე მოიგო წლეულს. თუ კასაგრანდესთვის ყველაფერი კარგად აეწყო, ჩემპიონობის საუკეთესო შანსი სწორედ მას აქვს, რადგან გუნდიც უძლიერესი ჰყავს.

### სტეფანო გარძელი

კასაგრანდესგან განსხვავებით, გარძელიმ უკვე იგემა „ჯიროს“ მოგებით განცდილი სიხარული და წლეულს შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვისთვის იბრძოლებს. ძნელი სათქმელია, სეზონის დასაწყისში საკმაოდ ჩრდილში მყოფი პანტანის ყოფილი გრეგარი („მერკატონე უნოში“) შეძლებს თუ არა „მაპეის“ არმადის სახელოვნად მეთაურობას. მიკელე ბარტოლის არყოფნაში მთელი გუნდი მის დასახმარებლად ილვაწებს, რამაც ძალიან უნდა შეუწყოს ხელი გარძელის.

### ჯილბერტო სიმონი

უკვე სამი წელია, ჯილბერტო სიმონი „ჯირო დ იტალიის“ მოსაგებად ბევრ ოფლს ღვრის. „ლამპრეს“ მთიელს რამდენიმე ეტაპი აქვს მოგებული და არც საბოლოო პოდიუმია მისთვის უცხო, მაგრამ ჩემპიონობამდე ყოველთვის მცირედი აკლდებოდა, რაც ინდივიდუალურ რბოლებში სისუსტის ბრალია. ფრანგი მას დღეისათვის საუკეთესო იტალიელ მთიელად ასახელებს, ასე რომ, სიმონი ძალიან ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

### პაოლო სავოლდელი

1999 წლის ვიცე-ჩემპიონი „საეკოს“ ლიდერია. იგი პელოტონის ერთ-ერთი ყველაზე წესიერი მრბოლია. ორი წლის წინ, როცა პანტანის ვითომდა დოპინგი აღმოუჩინეს და ფაქტობრივად მოგებული „ჯიროდან“ მოკვეთეს, ლიდერის ვარდისფერი მაისურა სწორედ სავალდელის გადასცეს, მაგრამ მან არ მეკუთვნისო და არ ჩაიცვა, ერთი ეტაპის მერე კი მას გოტიმ გადაასწრო. ახლა სავოლდელის ლორან დიუფო ეხმარება და საკმაოდ კარგი შანსი აქვს ჩემპიონობისთვის.

### სხვები

აქ მარკო პანტანი, დანილო და ლუკა, დავიდე რებელინი და კიდევ რამდენიმე სხვა მრბოლი უნდა ვიგულისხმოთ, რომლებსაც ზოგიერთ ეტაპზე თავის გამოჩენა ნამდვილად ძალუძთ. განსაკუთრებით პანტანის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომელსაც თავისი სიძლიერის დამტკიცება ძლიერ ენდომება „ტურ დე ფრანსზე“ არმიწვევის შემდეგ.

**გაგა გურული**

**„ჯირო“ 2001 ეტაპები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 მაისი | პროლოგი | მონტესილვანო მარინა — პესკარა | 7,6 კმ |
| 20 მაისი | I ეტაპი | ჯულიანოვა — ფრანკავილა ალ მარე | 202 კმ |
| 21 მაისი | II ეტაპი | ფოსაჩეზია — ლუჩერა | 167 კმ |
| 22 მაისი | III ეტაპი | ლუჩერა — პოტენძა | 149 კმ |
| 23 მაისი | IV ეტაპი | პოტენძა — მონტევერჯინე | 169 კმ |
| 24 მაისი | V ეტაპი | აველინო — ნეტუნო | 229 კმ |
| 25 მაისი | VI ეტაპი | ნეტუნო — რიეტი | 150 კმ |
| 26 მაისი | VII ეტაპი | რიეტი — მონტევარკი | 239 კმ |
| 27 მაისი | VIII ეტაპი | მონტეკატინი — ემილია | 185 კმ |
| 28 მაისი | IX ეტაპი | ემილია — როვიგო | 142 კმ |
| 29 მაისი | X ეტაპი | ლიდო — ლიუბლიანა | 212 კმ |
| 30 მაისი | XI ეტაპი | ბლედი — გორიცია | 187 კმ |
| 31 მაისი | XII ეტაპი | გრადისკა — მონტებელუნა | 139 კმ |
| 1 ივნისი | XIII ეტაპი | მონტებელუნა — პასო პორდუა | 225 კმ |
| 2 ივნისი | XIV ეტაპი | კავალეზე — არკო | 163 კმ |
| 3 ივნისი | XV ეტაპი | სირმიონე — სალო | 55,5 კმ (ინდ. რბოლა) |
| 4 ივნისი | XVI ეტაპი | ერბესოკი — პარმა | 142 კმ |
| 5 ივნისი | | | დასვენების დღე |
| 6 ივნისი | XVII ეტაპი | სან რემო — სან რემო | 119 კმ |
| 7 ივნისი | XVIII ეტაპი | იმპერია — სანტ ანა დიტ ვინადიო | 230 კმ |
| 8 ივნისი | XIX ეტაპი | ალბა — ბუსტო არსიძიო | 163 კმ |
| 9 ივნისი | XX ეტაპი | ბუსტო არსიძიო — არონა | 181 კმ |
| 10 ივნისი | XXI ეტაპი | არონა — მილანი | 121 კმ |

# სარბიელი


## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 34-ე ტური
19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰამბურგი-ბაიერნი | 4,2 | 2,7 | 1,85 |
| 18.30 | 002 | ვერდერი-ჰანზა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 18.30 | 003 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 18.30 | 004 | შალკე-უნტერჰახინგი | 1,35 | 4,7 | 5,3 |
| 18.30 | 005 | აინტრახტი-შტუტგარტი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 18.30 | 006 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,9 | 6,5 |
| 18.30 | 007 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 18.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 009 | მიუნხენი-კოტბუსი | 2,0 | 3,5 | 2,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 34-ე ტური
20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ჰანოვერი-ფიურტი | 2,8 | 3,2 | 2,1 |
| 18.00 | 011 | ალენი-ალემანია | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 18.00 | 012 | ვალდჰოფი-მაინცი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 18.00 | 013 | როიტლინგენი-ობერჰაუზენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.00 | 014 | კიკერსი-ულმი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 015 | დუისბურგი-ოსნაბრიუკი | 1,8 | 3,6 | 2,8 |
| 18.00 | 016 | არმინია-ზაარბრიუკენი | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 017 | მიონხენგლადბახი-ქემნიცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 18.00 | 018 | ნიურნბერგი-ზანქტ პაული | 2,0 | 3,4 | 2,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 38-ე ტური
19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 019 | ჩარლტონი-ლივერპული | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 19.00 | 020 | ქოვენტრი-ბრედფორდი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 021 | დერბი-იფსვიჩი | 3,5 | 3,2 | 1,85 |
| 19.00 | 022 | ევერტონი-სანდერლენდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 023 | ლიდსი-ლესტერი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 19.00 | 024 | სიტი-ჩელსი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.00 | 025 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 026 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 027 | საუთჰემპტონი-არსენალი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 19.00 | 028 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 2,9 | 3,2 | 2,2 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 34-ე ტური
19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 029 | სედანი-ოსერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 030 | მეცი-ბორდო | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 23.00 | 031 | სენტ ეტიენი-გინგამი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.00 | 032 | მონაკო-ლილი | 2,3 | 3,2 | 2,5 |
| 23.00 | 033 | რენი-ლიონი | 2,0 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 034 | ტრუა-მარსელი | 2,1 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 035 | ლანსი-ნანტი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 036 | სტრასბური-პსჟ | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 037 | ბასტია-ტულუზი | 1,75 | 3,3 | 3,5 |

### იტალია. სერია A. 31-ე ტური
20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 048 | ატალანტა-რეჯინა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 049 | ბარი-რომა | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 18.00 | 050 | ბოლონია-იუვენტუსი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 18.00 | 051 | ლაციო-უდინეზე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 052 | ლაციო-უდინეზე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.00 | 053 | ნაპოლი-ვერონა | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 054 | პერუჯა-ბრეშა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 055 | ვიჩენცა-ლეჩე | 1,9 | 2,8 | 4,2 |

### იტალია. სერია B. 35-ე ტური
20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 056 | კალიარი-ანკონა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 057 | კიევო-პიაჩენცა | 2,3 | 2,3 | 3,6 |
| 18.00 | 058 | ჩიტადელა-ჯენოა | 2,3 | 2,3 | 3,6 |
| 18.00 | 059 | კროტონე-სალერნიტანა | 1,9 | 2,5 | 4,7 |
| 18.00 | 060 | ემპოლი-ტორინო | 2,8 | 2,6 | 2,6 |
| 18.00 | 061 | პისტოიეზე-სიენა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 062 | რავენა-მონცა | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 063 | სამპდორია-ვენეცია | 2,0 | 2,6 | 4,0 |
| 18.00 | 064 | ტერნანა-კოზენცა | 1,95 | 2,7 | 4,2 |
| 18.00 | 065 | ტრევიზო-პესკარა | 1,4 | 3,3 | 7,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 35-ე ტური
19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 067 | ალავესი-ბარსელონა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **20 მაისი** | | | |
| 21.00 | 068 | სოსიედადი-მალაგა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 069 | ვალიადოლიდი-რასინგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 070 | ესპანიოლი-მალიორკა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 071 | სელტა-ნუმანსია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 072 | სელტა-ნუმანსია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 21.00 | 073 | ოსასუნა-ლას პალმასი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 22.00 | 074 | ოვიედო-დეპორტივო | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 075 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 23.00 | 076 | რაიო ვალეკანო-რეალი | 3,5 | 3,1 | 1,95 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 38-ე ტური
19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 077 | მურსია-ტენერიფე | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 21.30 | 078 | სპორტინგი-ბეტისი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 21.30 | 079 | ხეტაფე-კომპოსტელა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **20 მაისი** | | | |
| 15.00 | 080 | ლეიდა-ატლეტიკო | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 15.00 | 081 | ლეგანესი-ბადახოსი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 20.00 | 082 | სალამანკა-უნივერსიდადი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 21.00 | 083 | ეიბარი-ესტრემადურა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 084 | ალბასეტე-ფეროლი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 21.00 | 085 | ლევანტე-ხაენი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 22.00 | 086 | უელვა-ელჩე | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 087 | სევილია-კორდობა | 1,5 | 3,1 | 7,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. 33-ე ტური
19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 089 | მარიტიმუ-გიმარაეში | 1,95 | 3,2 | 3,0 |
| | | **20 მაისი** | | | |
| 20.00 | 090 | ფარენსე-ბრაგა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 20.00 | 091 | ფერეირა-ალვერკა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 092 | ბელენენსეში-ჟილ ვისენტე | 1,65 | 3,4 | 4,0 |
| 20.00 | 093 | ბენფიკა-სალგეირუში | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 20.00 | 094 | ლეირია-ბეირა მარი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 095 | კამპომაიორენსე-სპორტინგი | 3,2 | 3,2 | 1,85 |
| | | **21 მაისი** | | | |
| 00.30 | 096 | ამადორა-პორტუ | 6,0 | 3,8 | 1,4 |

### პორტუგალია. II ლიგა. 33-ე ტური
20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 097 | სანტა კლარა-აკადემიკა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 20.00 | 098 | ლეცა-სეტუბალი | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 20.00 | 099 | ოვარენსე-იმორტალი | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 100 | ფელგეირაში-ვარზიმი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 20.00 | 101 | ნასიონალი-ფრეამუნდე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 102 | რიუ ავე-ლამაში | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 103 | შავეში-მარკუ | 2,0 | 3,2 | 2,9 |
| 20.00 | 104 | მაია-პენაფიელი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 20.00 | 105 | ნავალი-ესპინიუ | 1,9 | 3,2 | 3,3 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 33-ე ტური
20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 106 | ალკმაარი-ჰერენვენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 17.30 | 107 | გრონინგენი-ვალვაიკი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 17.30 | 108 | ტვენტე-აიაქსი | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 17.30 | 109 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,6 | 3,8 | 4,0 |
| 17.30 | 110 | ბრედა-სპარტა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.30 | 111 | პსვ-გრააფსხაპი | 1,3 | 4,0 | 6,0 |
| 17.30 | 112 | როდა-ნაიმეგენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 17.30 | 113 | ვიტესი-სიტარდი | 1,45 | 4,0 | 4,7 |
| 17.30 | 114 | ტილბურგი-როზენდალი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 33-ე ტური
19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 115 | ემენი-ვოლენდამი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 22.00 | 116 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 2,5 | 3,2 | 2,2 |
| 22.00 | 117 | დორდრეხტი-დენ ჰააგი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.00 | 118 | ჰელმონდი-მაასტრიხტი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 22.00 | 119 | ჰერაკლესი-ტელსტარი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 120 | ეინდჰოვენი-ვენლო | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 22.00 | 121 | ოსი-იგლსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 22.00 | 122 | ზვოლე-ვეენდამი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 22.00 | 123 | კამბური-ექსელსიორი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### ბელგია. I დივიზიონი. 34-ე ტური
19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 124 | ლუვიე-მუსკრონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 125 | პარელბეკე-ბევერენი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 18.00 | 126 | ვესტერლო-შარლერუა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 127 | სენტ ტრუიდენი-ანტვერპენი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 18.00 | 128 | აალსტი-ანდერლეხტი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 18.00 | 129 | მეხელენი-ლიერსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 130 | ბრიუგე-გენკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 131 | ბეერსხოტი-გენტი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 132 | სტანდარდი-ლოკერენი | 1,7 | 3,4 | 4,0 |

**ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი. მე-3 ტური**

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 133 | გეელი-მოლენბეკი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.00 | 134 | მონსი-ტურნჰაუტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**საბერძნეთი. 29-ე ტური**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 135 | აეკ-პაოკ | 1,7 | 3,1 | 4,7 |

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 136 | ეთნიკოსი-ირაკლისი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 19.30 | 137 | პანილიაკოსი-კალამატა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.30 | 138 | ოფი-იანინა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 139 | არისი-პანიონიოსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.30 | 140 | პანათინაიკოსი-პანაჰაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 21.30 | 141 | ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |

21 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 142 | იონიკოსი-ქსანთი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**პოლონეთი. 27-ე ტური**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 152 | წისლა-პლოცკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 20.00 | 153 | გროცლინი-სტომილი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 20.00 | 154 | პოგონი-ამიცა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 155 | ვიძევი-პოლონია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 156 | ზაგლებე-შლიონსკი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.15 | 157 | გურნიკი-ოდრა | 1,9 | 3,1 | 3,6 |

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 158 | რაძიონკოვი-კატოვიცე | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**თურქეთი. 33-ე ტური**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 159 | იოზგათი-გენჩლერბირლიგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.00 | 160 | ანთალია-ისთანბული | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 21.00 | 161 | ბეშიქთაში-იეთფა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 21.00 | 162 | რიზე-ქოჯაელი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 163 | ადანა-სამსუნი | 3,5 | 3,4 | 1,8 |
| 21.00 | 164 | ანკარა-ერზურუმი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 165 | ფენერბაჩე-ბურსა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 21.00 | 166 | ტრაბზონი-დენიზლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 167 | გაზიანთეფი-გალათასარაი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**შოტლანდია. 38-ე ტური**

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 168 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1,9 | 2,8 | 3,4 |
| 19.00 | 169 | დანფერმლაინი-სენტ ჯონსტონი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 170 | მოზერუელი-სენტ მირენი | 1,8 | 3,5 | 3,4 |
| 19.00 | 171 | ჰართსი-დანდი | 1,65 | 3,5 | 4,2 |
| 19.00 | 172 | კილმარნოკი-სელტიკი | 3,2 | 3,5 | 1,8 |
| 19.00 | 173 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**ავსტრია. 35-ე ტური**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 174 | ბრეგენცი-ადმირა | 2,1 | 3,3 | 2,8 |
| 19.30 | 175 | გრაცერი-აუსტრია | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.30 | 176 | რაპიდი-ზალცბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.30 | 177 | რიდი-ლინცერი | 1,75 | 3,6 | 3,4 |
| 19.30 | 178 | ტიროლი-შტურმი | 1,9 | 3,2 | 3,6 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-13 ტური**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 179 | გრასჰოპერი-სიონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.15 | 180 | ლოზანა-ბაზელი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.15 | 181 | ლუგანო-სენტ გალენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.15 | 182 | სერვეტი-ციურიხი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-13 ტური**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 183 | ქსამაქსი-ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 184 | არაუ-იანგ ბოისი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 19.15 | 185 | ვილი-ბელინცონა | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.15 | 186 | ვინტერთური-ივერდონი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-13 ტური**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 187 | დელემონი-ბადენი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 20.30 | 188 | კრინსი-კარუჟი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.30 | 189 | ლოკარნო-სოლოთურნი | 1,55 | 3,6 | 5,0 |
| 20.30 | 190 | თუნი-ვანგენი | 1,65 | 3,6 | 3,8 |

**დანია. 30-ე ტური**

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 191 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 18.00 | 192 | ჰერფიოლგე-ოლბორგი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 18.00 | 193 | მიდტიულანდი-ოდენსე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 18.00 | 194 | ვიბორგი-ჰადერსლევი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.05 | 195 | სილკებორგი-აკადემისკი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

21 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 196 | ბრიონდბიუ-ლიუნგბიუ | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**რუსეთი. მე-10 ტური**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 197 | ჩერნომორეცი-ტორპედო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 16.00 | 198 | როტორი-დინამო | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 16.00 | 199 | როსტსელმაში-ფაკელი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 16.00 | 200 | ზილ-სატურნი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.00 | 201 | სოკოლი-ალანია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.00 | 202 | სპარტაკი-კრილია | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 203 | ზენიტი-ანჟი | 1,7 | 3,0 | 5,0 |

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 204 | ცსკა-ლოკომოტივი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

**შვედეთი. მე-7 ტური**

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 205 | გიოტებორგი-სუნდსვალი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 206 | გიოტებორგი-სუნდსვალი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 207 | ტრელებორგი-ელფსბორგი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 20.00 | 208 | იორებრო-მალმიო | 2,4 | 3,0 | 2,7 |

21 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 209 | ჰეკენი-იორგრიტე | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.00 | 210 | იურგორდენი-ჰალმსტადი | 3,3 | 3,3 | 1,95 |
| 22.00 | 211 | ნორჩიოპინგი-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**ნორვეგია. მე-7 ტური**

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 212 | ბრინი-ტრომსიო | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 21.00 | 213 | ლილესტრიომი-ბრანი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 21.00 | 214 | ლინი-ვიკინგი | 3,5 | 3,4 | 1,8 |
| 21.00 | 215 | ოდ გრენლანდი-მოლდე | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.00 | 216 | სოგნდალი-რუსენბორგი | 5,6 | 3,6 | 1,45 |
| 21.00 | 217 | სტაბეკი-ბოდიო გლიმტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 218 | სტრიომგოდსეტი-მოსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**ფინეთი. მე-7 ტური**

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 220 | ჰოკ-ჰაკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 18.00 | 221 | კუოპიო-ლაჰტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 222 | როვანიემი-იოკერიტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 223 | ვაასა-ტამპერე | 1,0 | 1,0 | 1,0 |

21 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 224 | ატლანტისი-მიუპა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 225 | ინტერი-ჯაზი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 501 | ტუნისი-კოტ დივუარი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**კალათბურთი**

20 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 802 | მილუოკი-შარლოტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 02.30 | 803 | ფილადელფია-ტორონტო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. 1/2 ფინალი**

19 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 902 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

21 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 903 | კოლორადო-სენტ ლუისი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

REUTERS ფოტო


მარტინა ჰინგისს მერვედფინალში საკმაოდ გაუჭირდა

# გლადიატორი მილიონებით

**მასტერსის სერია
ჰამბურგი (გერმანია)
თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $**

ხუან კარლოს ფერეროს ამ კვირაში სახელოვანი თანამემამულის თითქმის 30 წლის წინანდელი მიღწევის გამეორების შესანიშნავი შანსი აქვს: 1972-ში მანუელ ორანტესის შემდეგ რომისა და ჰამბურგის პრესტიჟული ტურნირების ზედიზედ მოგება არავის მოუხერხებია.

„ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება, შეიძლება რომელიმე დღეს თავს არც ისე კარგად გრძნობდე, მაგრამ მე უკვე მეოთხედფინალში ვარ და ცდა ბედის მონახვრეა. ვინ იცის, იქნებ როლან გაროსზე ადრე წავაგე, ასე რომ, აქ ბოძებული შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გავუშვა" — აღნიშნა 21 წლის ესპანელმა ზედიზედ მე-14 გამარჯვების მოპოვების შემდეგ.

ფერერომ მერვედფინალში ბოლო ხუთი დღის მანძილზე უკვე მეორედ იმსხვერპლა ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი. ამჯერად შეხვედრა რომაულ ორთაბრძოლაზე გაცილებით დაძაბული და ხანგრძლივი გამოდგა, თუმცა ანგარიში ისეთივე ცალკარა დარჩა 6:4, 6:3.

„ჰამბურგში ჩამოსული თავს გადაღლილად ვგრძნობდი და პირველ წრეში სერხი ბრუგერას წინააღმდეგ ძალიან გამიჭირდა, თუმცა ახლა არაფერს ვუჩივი — განაცხადა ესპანელმა, რომელმაც ამ სიტყვების საწინააღმდეგოდ მეორე ხელში მუცლის დაჭიმული კუნთის დასაზელად კორტზე ექიმს უხმო — სერიოზული არაფერია, უბრალოდ სიფრთხილე გამოვიჩინე. არ მინდა, ეს ნამდვილ ტრავმაში გადაიზარდოს".

ერთადერთი განთესილი, რომელიც ფერეროს (8) გარდა ტურნირს შემორჩა, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტია (7). 20 წლის ოზს წითელ თიხნარზე ადრე გული არ მიუწევდა, მაგრამ დევისის თასზე მტრულ ატმოსფეროში ხშირი ასპარეზობის შემდეგ წითელმიწა საფარს ალღო აუღო.

მერვედფინალში თანამემამულე ენდრიუ ილის წინააღმდეგ იოლი გასეირნება ჰიუიტისთვის კინაღამ ფათერაკიან თავგადასავალში გადაიზარდა. ილიმ მეორე ხელში ერთი მატჩი-პოინტი 2:5-ზე გადაარჩინა, სამიც 3:5-ზე, ტაიბრეიკს მიატანა და სულ მუშტები იკრა მკერდზე, სანამ ახალგაზრდა კოლეგა გონს მოეგებოდა და საქმეს მოუთავებდა 6:2, 7:6 (7:2).

„ენდრიუ ნამდვილი შოუმენია, 10-15 წუთის მანძილზე გვარიანად აბობოქრდა, მაგრამ ვიცოდი, ეს ელჭექი ადრე თუ გვიან გადაივლიდა. თიხნარზე მთავარი მოთმინებაა და ამას ნელ-ნელა ვეჩვევი. თუ სუნთქვის პრობლემამ არ შემიშალა ხელი, როლან გაროსზე თავს არავის დავაჩაგვრინებ" — დაიქადნა ჰიუიტმა, რომელსაც რამდენიმე თვეა, ამოუცნობი ვირუსი აწუხებს.

**მერვედფინალი: ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (12, საფრანგეთი) 6:3, 4:6, 6:2; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (14, აშშ) 3:6, 6:4, 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 6:3; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:3, 6:0; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:2, 6:3; ფრანკო სკილარი (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4, 6:3.**

**რომი. იტალიის ღია პირველობა
თიხნარი. საპრიზო 1, 2 მილიონი $**

ამერიკის კინოაკადემიის წევრების არ იყოს, რიდლი სკოტის ფილმი „გლადიატორი" მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისსაც ძალიან მოეწონა. სწორედ ამიტომ იყო, ოთხშაბათს გამოსასვლელი დღე დაიგულა თუ არა, რომის კოლიზეუმს მიაშურა დასათვალიერებლად.

„იქ პატარაობაშიც ვიყავი, მაგრამ ახლა ფილმის ნახვის შემდეგ კიდევ უფრო შთამბეჭდავი მომეჩვენა. თითქოს წარმოვიდგინე კიდეც ტრიბუნებზე ზღვა ხალხი როგორ ყვიროდა. ჩვენც ხომ სწორედ ასეთ სტადიონებზე ვთამაშობთ. საბედნიეროდ, წაგება ისეთ ტრაგიკულ შედეგებს აღარ იწვევს, ცოცხალი რჩები და თანაც ფულსაც გიხდიან" — გაანდო ჟურნალისტებს მომღიმარმა შვეიცარიელმა.

„გლადიატორიდან" ჰინგისის საყვარელი ფრაზაა „მთავარია, ხალხი შენს მხარეზე მოაქციო", თუმცა ამის სწავლა ჯერჯერობით მარტინამ ვერ მოახერხა. 1999-ში როლან გაროსის ფინალში შტეფი გრაფთან მატჩის დროს შვეიცარიელმა მთელი ტრიბუნები გადაიმტერა სულელური გამოხტომებით. ამჯერად ელენა ლიხოვცევასთან მეორე ხელის პირველი სამი გეიმის წაგების შემდეგ მან ჩოგანი კორტზე დაახეთქა, საშინლად უკმაყოფილო გამომეტყველება მიიღო და იტალიელებისგან გადმობრუნებული ცერა თითი თუ არა, გვარიანი სტვენა მიიღო „საჩუქრად".

ჰინგისზე ამან ცივი წყლის გადასხმასავით იმოქმედა, სწრაფად გამოფხიზლდა და აქედან მოყოლებული რუსს ერთი გეიმიც აღარ დაანება 6:4, 6:3. „სიმართლე გითხრათ, მატჩის წინ ცოტას ვნერვიულობდი, ელენა ძლიერი ჩოგბურთელია. მატჩი ხანგრძლივი გათამაშებით იყო სავსე — წინ, უკან, წინ, უკან. ძალიან დავიღალე".

ახლა მარტინას არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან ელის შეხვედრა, რომელმაც თავის მხრივ 17 წლის რუს ლინა კრასნარუცკაიას მოუგო 6:1, 6:2. ეს მატჩი გაარკვევს, ვინ გადალახავს პირველი კარიერის საპრიზოებით 16-მილიონდოლარიან ზღვარს და ვინ გახდება ამ მაჩვენებლით ისტორიაში მესამე.

ჯერჯერობით ჰინგისის ანგარიშზე 15 960 776 დოლარია, სანჩეს ვიკარიოსაზე — 15 967 340, რომის ტურნირის ნახევარფინალში გაღწევისთვის კი 46 ათასს იძლევიან. „ეს ციფრები უჩვენებს, თუ რამხელა წინსვლა განიცადა ბოლო ხანებში WTA ტურმა. თუ არანჩას ამ თანხის მოსაგროვებლად თითქმის 14 წელი დასჭირდა, მე ამის ნახევარი" — თქვა მარტინამ.

ისტორიაში ყველაზე მეტის მომხვეჭად ჯერჯერობით შტეფი გრაფი რჩება 21 895 277 დოლარით, თუმცა ასეთი ტემპებით ჰინგისი მას ორიოდ წელიწადში გადაუსწრებს.

**მერვედფინალი: კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:0, 6:1; ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) 6:2, 3:6, 6:3; ელენა დოკიჩი (13, იუგოსლავია) — რიტა კუტი კისი (უნგრეთი) 6:3, 6:3; პაოლა სუარესი (17, არგენტინა) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:4, 6:2.**

**ავთანდილ სვანიძე**

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური
კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური კლინიკა



მისამართი
380109. ვაჟა-ფშაველას 29
ტელეფონები
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32
საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები



**ასტანის სუპერტურნირი**

# ლინარესი აღმოსავლურად
## დევები ყაზახეთში იჭიდავებენ

**სუპერტურნირების** საყოველთაო კვდომის წლებში უეცრად ამოიზარდა ასტანის ტურნირი — ლინარესის ასლი შემადგენლობითა და რეგლამენტით. როგორც ბოლო წლების ლინარესში, იქაც 6 მოჭადრაკე ორ წრედ ითამაშებს და მერე რა მოჭადრაკეები: თუ ყაზახეთში დაბადების ხათრით დაშვებულ დარმენ სადვაკასოვს არ ჩავთვლით, ხუთი დანარჩენი ელიტის წევრია.

რა შეიძლება ითქვას ყაზახურ ჭადრაკსა და კერძოდ, სადვაკასოვზე? ამას წინათ რუსმა ჟურნალისტმა ასტანის ტურნირის თავკაცს, აბლაი მირზახმეტოვს ინტერვიუ სთხოვა და მისგან გაიგო, რომ ყაზახურ ჭადრაკს დამოუკიდებლობამ ახალი სული შთაბერა. „ყაზახი მოჭადრაკეები საბჭოთა საჭადრაკო მოძრაობაშიც ჩანდნენ, — აღნიშნავს ჩინოვნიკი — მაგრამ ბოლო ათი წელია, ყაზახური ჭადრაკი საერთაშორისო სარბიელზე გადის. ჩვენმა მოჭადრაკეებმა 5 ოლიმპიადაზე ითამაშეს და 1998 წელს ვაჟებმა მე-16-19 ადგილები გაიყვეს, ქალები ორჯერ ათეულში იყვნენ. ამიტომ რესპუბლიკის ჭადრაკი აღმავლობას განიცდის და ეს ტურნირიც ჩვენი ფედერაციის დიდი საჩუქარია ჭადრაკის ყველა ქომაგისთვის". სხვა რახუნა სიტყვებით აბლაი მირზახმეტოვმა გამოკვეთა, რომ ყაზახეთში ჭადრაკს სახელმწიფო კურირებს და როგორც შედეგი, ყაზახებს ჰყავთ ვარსკვლავი, ნახსენები სადვაკასოვი, 22 წლის, 1998-ში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გამხდარა იუნიორთა შორის. მირზახმეტოვმა იმედიც კი გამოთქვა, სადვასაკოვი მრისხანე კომპანიაში არ გაიჭყლიტებაო და ახალგაზრდა ყაზახსაც მწვრთნელების მთელი არმია ახვევია, მაგრამ ვერც ერთი ექსპერტი ვერ ბედავს, ამტკიცოს, რომ სადვასაკოვი ბოლო ადგილს არ დაიკავებს. თუ რატომ, ალბათ, დღესავით ნათელია:

გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი, ალექსეი შიროვი, ალექსანდრ მოროზევიჩი, ბორის გელფანდი — აი, ის ხუთი კაცი, ვისთან გამკლავება სადვაკასოვს კი არა, ბარე ორს გაუჭირდება. შემადგენლობით ასეთი დონის ტურნირი წლეულს არსად ყოფილა. ლინარესში დიდი სამეულიდან მარტო კასპაროვი იყო, დორტმუნდში — კრამნიკი და ვიში ანანდი, ხოლო ვიიკ ან ზეეში სამივემ ითამაშა, მაგრამ იქ ერთი წრე იყო და წვრილფეხობაც ბლომად, ამიტომ დასკვნები ძნელი გასაკეთებელია. ციურიხში, კორჩნოის იუბილეზე, კრამნიკმა პირველად შეძლო კასპაროვის ტურნირზე დამარცხება, ოღონდ სწრაფ ჭადრაკს თამაშობდნენ. მოკლედ, ასტანაში საბოლოოდ დადგინდება, კასპაროვის დრო წავიდა თუ ჯერ კიდევ დგას.

უეჭველი ფავორიტების მთავარი მოქიშპე შიროვი იქნება, რომელიც კასპაროვსა და კრამნიკთან ერთგვარ მაგიურ წრეს კრავს: კასპაროვს უკვე დაეტყო, რომ კრამნიკის კომპლექსი აქვს, კრამნიკს — შიროვისა (ყოველ შემთხვევაში, ჰქონდა და ნელ-ნელა იკურნება) და შიროვს კი კასპაროვისა ეშინია ცეცხლივით, პირად შეხვედრებში კასპაროვი 11:0-ს უგებს. შიროვისთვის მე-3 ადგილი ყველაზე სავარაუდო ჩანს, თუმცა მოროზევიჩი ის კაცია, ვისაც ნებისმიერი სიურპრიზის გაკეთება ხელეწიფება.

ახალგაზრდა რუსის სათამაშო კლასი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ იგი სტაბილურობაში მოიკოჭლებს. თუ მოროზევიჩმა ხეირიანად მოიქნია, დარტყმა საშინელი გამოუვა. ბორის გელფანდს წლები მოემატა და ერთი რანგით დაბალ ტურნირებში ტოლი არ ჰყავს, მაგრამ უმაღლეს ეშელონში მუდამ მოისუსტებს. ალბათ, ვერც ახლა მოხვდება პირველ სამეულში.

ტურნირი დღეს იწყება.

**დავით გულუა**

**სარაევოს ტურნირი**

# უცვლელად, უღიმღამოდ...

**მოსაწყენად** მიედინება „ბოსნა 2001". 1999 და 2000 წლებში დიდი მღელვარება იყო სარაევოში, კასპაროვიც თამაშობდა და სხვა გიგანტებიც, ხოლო წლეულს ბულგარელი ვესელინ ტოპალოვია „ბოსნას" უმაღლესი ავტორიტეტი. სხ პი რეიტინგის რჩეულ ოცეულს მიღმა დგანან და მაინცდამაინც კაშკაშა თამაშით არ ანებივრებენ მაყურებელს. სამი ტურის შემდეგ სამნი ლიდერობდნენ: ტოპალოვი, მისი თვისტომი კირილ გეორგიევი და ებრაელი ილია სმირინი. მათ კვალში რუსი ალექსანდრ დრეევი ედგათ. გამოხდა ორი ტური და ცხრილის თავში ნამცეცითაც არაფერი შეცვლილა. ლიდერებმა ხან ერთმანეთში, ხან სხვებთან უჯიგრო ყაიმებზე ითამაშეს.

მე-4 ტურში სმირინი და ტოპალოვი შეხვდნენ, ერთხანს ფორმალურად იბრძოლეს და ზავი გააფორმეს. შემდეგ ტურში სმირინმა ბულგარელიც გამოიცვალა და ფიგურის ფერიც, მაგრამ არც მის გეორგიევთან პარტიაში შეინიშნებოდა დაფაზე რაიმე აზარტი — მშვიდობას ხელი უკვე მე-12 სვლაზე მოეწერა. იქით ტოპალოვმა უფრო იბრძოლა, მაგრამ ემირ დიძარევიჩს თეთრებით ვერაფერი მოუხერხა და მარტოდ გალიდერების შანსი დაკარგა. ცვლილება მხოლოდ ცხრილის ქვედა ნაწილს შეეხო, სადაც უაღრესი აუტსაიდერი გამოიკვეთა. იგი სუათ ატალიკი გახლავთ, ბოსნიელი, რომელმაც სასტარტო ჩავარდნას კიდევ ორი წაგება მიაყოლა: ივან სოკოლოვთან თეთრებით, სერგეი მოვსესიანთან კი შავებით. ატალიკის გარდა პირველობისთვის ბრძოლა ჯერაც ცხრავე მოჭადრაკეს შეუძლია. ფინიშამდე 4 ტურით ადრე არსებული სიტუაციას მოგახსენებთ.

**დავით გულუა**

**ვითარება 5 ტურის შემდეგ:**
**1-3. სმირინი, ტოპალოვი, გეორგიევი 3,5; 4. დრეევი 3; 5-6. სოკოლოვი, დიძარევიჩი 2,5; 7-9. კურაიცა, მოვსესიანი, კოჟული 2; 10. ატალიკი 0,5**

იყიდება
ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით
ტელ:
78 28 77



რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## რაგბი

### შვიდკაცა. ჰაინეკენის თასი. ამსტერდამი

# მოვიგოთ და დავლიოთ ჰაინეკენი!

## იაშვილი გაშვიდკაცელდა



გრეგუარ იაშვილი საქართველოს შვიდკაცა ნაკრებშიც ითამაშებს

**ჰოლანდიის** დედაქალაქ ამსტერდამში დღეს იწყება ტრადიციული ტურნირი შვიდკაცა რაგბიში. შეჯიბრების სპონსორი და ორგანიზატორი ლუდის მწარმოებელი ფირმა „ჰაინეკენია", ტურნირსაც „ჰაინეკენის თასი" ეწოდება. გათამაშება ორდღიანია, დღეს ჯგუფის მატჩები გაიმართება, ჩემპიონი კი კვირას გაირკვევა.

ამსტერდამში სულ სამოცმა გუნდმა მოიყარა თავი. საქართველოს ნაკრები წილისყრით მოხვდა მეშვიდე ჯგუფში ინგლისის ორ, მასპინძელი ჰოლანდიის და ახალი ზელანდიის გუნდებთან ერთად. ბორჯღალოსნები გუშინ ჩაფრინდნენ ტიტების ქვეყანაში და თასისთვის ბრძოლის სამზადისს შეუდგნენ. ჩვენი ნაკრები „ჰაინეკენის თასს" კარდიფის და ლონდონის საშვიდკაცო ტურნირებისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს. ეს ორივე ტურნირი „მსოფლიოს სერიაში" შედის, მათ შედეგებს დიდი სარეიტინგო მნიშვნელობა აქვს.

მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა გუნდში თერთმეტ მორაგბეს უხმო. ესენი არიან: დავით ბოლღაშვილი, ილია ზედგინიძე, გრეგუარ იაშვილი, აქვსენტი გიორგაძე, ვასილ კაცაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ვასილ აბაშიძე, პალიკო ჯიმშელიძე, ბადრი ხეხელაშვილი, თედო ზიბზიბაძე, გუჯა იოვაძე.

ნაკრებში არაა მისი ლიდერი და კაპიტანი, ტულონელი გია ლაბაძე. საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების ფრანგმა თავკაცმა გია ლაბაძე ამჯერად არ გამოიძახა, ვინაიდან მის გუნდს მნიშვნელოვანი მატჩი ელის ტარიელ რატიანიძის „მონტობანთან". ეს კლუბები ფრანგული „ელიტ 2"-ის ფინალში ეჯახებიან ერთმანეთს. გამარჯვებული უმაღლესი ლიგის, „ელიტ 1"-ს საგზურს დაეუფლება.

გია ლაბაძის ნაცვლად მუსიე კლოდმა შვიდკაცა ნაკრებში პირველად უხმო გრეგუარ იაშვილს, რომელსაც ჩინებული შანსი ეძლევა, მწვრთნელს თავი მოაწონოს და შვიდკაცა ნაკრებშიც დაიმკვიდროს ადგილი.

**ბაჩო სვანიძე**

## ძიუდო

### ევროპის ჩემპიონატი. პარიზი

# ლამაზი ქალის, ქართველების და საქართველოდან ასულების წარმატება

**გუშინ** პარიზში ძიუდოისტთა ევროპის 50-ე ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრების პირველ დღეს მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდა — ორი ვაჟებში და სამი ქალებში. ჩვენთვის უმთავრესი, ცხადია, ქართველების — ივერი ჯიქურაულის (100 კგ) და ალექსი დავითაშვილის (მძიმე წონა) ბრინჯაოს მედლებია. თუმც პარიზის ტატამზე სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბებიც მოხდა.

დავიწყოთ იმით, რომ ბელგიელი ოლიმპიური ჩემპიონი ულა ვერბრუკი (70 კგ) მეშვიდედ გახდა ევროპის ჩემპიონი. ეს უნიკალური მიღწევაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს კინოვარსკვლავის გარეგნობის ქალი მხოლოდ 29 წლისაა, მისგან საკუთარი რეკორდის დამხობასაც უნდა ველოდოთ.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ფრანგი დავიდ დუიეს სპორტიდან წასვლის შემდეგ ევროპულ მძიმე წონაში რუსეთის წარმომადგენელი, ვლადიკავკაზელი ოსი ტამერლან ტმენოვი გაბატონდა. მან ყველა მეტოქეს იოლად მოუგო და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა. რაც შეეხება დავიდ დუიეს, იგი საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი გახდა, ოღონდ ევროპის ჩემპიონატის პირველმა დღეს მის გუნდს მნიშვნელოვანი წარმატება ვერ მოუტანა: ვაჟთა შორის ერთი ვერცხლის მედალი, გისლენ ლემერის (100 კგ) მიერ მოპოვებული. ფინალში ფრანგს ისრაელელი არიელ ზეევი მოერია, რომლის მწვრთნელი საქართველოდან ისრაელში ასული რამაზ მამისთვალოვია.

გუშინ პარიზში კიდევ ერთმა ქართველმა მოიპოვა მედალი. მძიმეწონოსან ქალთა შორის მეორე იყო რუსეთის სახელით მოასპარეზე თეა დონლუზაშვილი. მას გერმანელმა კატია გერბერმა აჯობა. მასპინძლები კი ჩემპიონის გარეშე მაინც არ დარჩნენ — მათი პრესტიჟი 78-კილოგრამიანმა ქალმა სელინ ლებრუნმა დაიცვა, რომელმაც საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში მოახერხა გამარჯვება.

**ვაჟები**

**100 კგ:** 1. არიელ ზეევი (ისრაელი); 2. გისლენ ლემერი (საფრანგეთი); 3. ელკო ვან დერ გეესტი (ჰოლანდია) და ივერი ჯიქურაული (საქართველო)

**მძიმე წონა:** 1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი); 2. დენის ბრაიდოტი (იტალია); 3. სელიმ თათაროღლუ (თურქეთი) და ალექსი დავითაშვილი (საქართველო)

**ქალები**

**70 კგ:** 1. ულა ვერბრუკი (ბელგია); 2. სესილია ბლანკო (ესპანეთი); 3. მარიელა სპასეკი (ავსტრია) და ადრიანა დადცი (პოლონეთი)

**78 კგ:** 1. სელინ ლებრუნი (საფრანგეთი); 2. ჰაიდი რაკელსი (ბელგია); 3. კლაუდია ზვირსი (ჰოლანდია) და მიშელ როჯერსი (დიდი ბრიტანეთი)

**მძიმე წონა:** 1. კატია გერბერი (გერმანია); 2. თეა დონლუზაშვილი (რუსეთი); 3. მარა კოვაჩევიჩი (იუგოსლავია) და მარი-ელიზაბეტ ვეისი (ბელგია)



არიელ ზეევიმ კონტინენტის ჩემპიონობით პირველად გაიხარა



მშვენიერი ულა ვერბრუკი მეშვიდედ გახდა ევროპის ჩემპიონი



თეა დონლუზაშვილის (მარჯვნივ) და გერმანელი კატია გერბერის ფინალი

## ჰოკეი

### NHL. სტენლის თასი. კონფერენციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# ბროდ-აუტი

17 მაისი

| | |
|---|---|
| **პიტსბურგი** | **1** |
| **ნიუ ჯერსი** | **2** |

**პიტსბურგი 0:3 ნიუ ჯერსი**

**(0:2 0:0 0:1)**

**0:1 რაფალსკი 9(5), 0:2 არნოტი 13(4), 0:3 ელიაში 42(6)**

ნიუ ჯერსის ქომაგებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ. მართალია, მათი საყვარელი გუნდის ძველმა ავადმყოფობამ წინა მატჩებში იჩინა თავი, მაგრამ მესამე შეხვედრაში მისი ნიშანწყალიც აღარ ჩანდა, ნიუ ჯერსი კვლავ ფავორიტის საკადრისად ირჯებოდა. „ეშმაკებმა" მთელი მატჩის განმავლობაში ერთობ მობილიზებულად და ყურადღებით ითამაშეს. მათი უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. სტუმრებმა პირველივე პერიოდში იყოჩაღეს. როგორც კი პიტსბურგმა პირველი შეცდომა დაუშვა (მცველი ენდრიუ ფარენსი შეტევას გადაჰყვა და უკან დაბრუნება ვერ მოასწრო), ნიუ ჯერსიმ სანიმუშო კონტრშეტევა განახორციელა და ალექსანდრ მოგილნის უზუსტესი პასის შემდეგ მცველი ბრაიან რაფლსკი გამოირჩა. სტუმართა უპირატესობა თანდათან უფრო გამოიკვეთა, პიტსბურგმა კი საქმე თავად გაირთულა, როცა იოზეფ ბერანეკმა ბობი ჰოლიკს უთავაზა სახეში. უმცირესობაში დარჩენილმა „პინგვინებმა" სულ მალე კიდევ ერთხელ შესცოდეს, როცა მეკარესთან პირისპირ გასული პატრიკ ელიაშის გარღვევა ბობ ბუგნერმა წესების დარღვევით გააუვნებელა. „ეშმაკებმაც" უმალ გამოიყენეს ორკაციანი რიცხვმრავლობა — ჯეისონ არნოტმა შაიბა ზუსტად ცხრიანში შეაგდო, თუმც აქ ანდრეს იოჰან ჰედბერგიც შეცდა. ამის შემდეგ ნიუ ჯერსის ძველი შეცდომები აღარ გაუმეორებია, პიტსბურგს სასწაულის მოხდენის ყოველგვარი შესაძლებლობა მოუსპო.

თავის მხრივ მასპინძლები ცდილობდნენ, თამაშში გარდატეხა შეეტანათ. მარიო ლემიესა და იარომირ იაგრის განცალკევებით „პინგვინებმა" მეორე მატჩში თითქოს დააბალანსეს შემადგენლობა, მაგრამ ამჯერად მეტოქის ოთხივე ხაზი უკეთ გამოიყურებოდა. განსაკუთრებით მეორე და მესამე სამეული უნდა გამოვყოთ. ნიუჯერსელთა თავკაცმა ლარი რობინსონმა როქი განახორციელა — ალექსანდრ მოგილნისა და რენდი მაკეის პარტნიორები შეუცვალა, რამაც ორივე ტრიოს თამაში გამოაცოცხლა. განსაკუთრებით მოგილნი გააქტიურდა, რომელიც სამჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბოლოხანს მას ბედი აშკარად არ სწყალობს. ერთადერთი შანსი პიტსბურგისთვის რიცხვმრავლობის ეფექტური გამოყენება იყო, მაგრამ მარტინ ბროდომ და დაცვამ ამჯერად უშეცდომოდ იმოქმედეს.

როცა მესამე პერიოდის დასაწყისში პატრიკ ელიაშმა ორი ერთზე მორიგი გასვლა (მთლიანად თამაშში 12 ასეთი მომენტი იყო) აუღებელი დარტყმით დაასრულა, ნათელი გახდა, რომ პიტსბურგს ველარაფერი უშველიდა. 1975 წლის შემდეგ პირველად მოხდა (89 მატჩი), რომ პიტსბურგმა საშინაო საპლეიოფო მატჩში გოლი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, ბროდომ მისთვის საიუბილეო მე-100 სათასო შეხვედრაში მეთერთმეტე შათაუტი მიითვალა. პატრიკ ელიაშისთვის ეს მატჩი ზედიზედ მერვე (4 გოლი, 6 პასი) ქულიანი გამოდგა, რაც კლუბის ახალი რეკორდია, ხოლო მისი, ჯეისონ არნოტისა და პეტერ სიკორას ანგარიშზე ბოლო 6 თამაშში 11 გოლი და 13 პასია.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ნიუჯერსელმა ჯეისონ არნოტმა (№25) მეტოქის მეკარე და დაცვა გაამწარა

**ბომბარდირები:** ჰეიდუკი (კოლორადო) 19 (6+13), ლემიე (პიტსბურგი) 16 (6+10), სიკორა 15 (7+8), ელიაში (ორივე ნიუ ჯერსი) 15 (6+9), საკიკი 14 (7+7), ფორსბერგი (ორივე კოლორადო) 14 (4+10), სუნდინი (ტორონტო) 13 (6+7), მოგილნი (ნიუ ჯერსი) 13 (4+9), ტარჯონი (სენტ ლუისი) და შატანი (ბუფალო) 13 (3+10), დრური (კოლორადო) 12 (8+4).

ეროვნული ბიბლიოთეკა





REUTERS პეკინიდან

# ევანდერი კედელთან

*მძიმე წონის საჩემპიონო ბრძოლა პეკინში უნდა გაიმართოსო და სარეკლამო ფოტოც მზადაა: ევანდერ ჰოლიფილდი ჩინეთის დიდ კედელთან იჯგიმება. ჰოლიფილდ — ჯონი რუისის ორთაბრძოლა 5 აგვისტოს გაიმართება ჩინეთის დედაქალაქში. ეს პირველადაა, რომ პეკინში მძიმე წონის მოკრივეთა საჩემპიონო ჯახი უნდა შედგეს.*

# მხოლოდ ორი ქულა

აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში „შარლოტ ჰორნეთსი“ „მილუოკი ბაქსს“ ებრძვის, ექვსი შეხვედრის შემდეგ ანგარიში თანაბარია და ყველაფერი ახლაღა გადაწყდება. შარლოტელთა მცველს, ბარონ დევისს კი კვლავ მოუწევს ოფლისღვრა. მისი ულამაზესი ჩატენვა ხომ მხოლოდ ორი ქულაა და მეტი არაფერი. თუ, რა თქმა უნდა, სანახაობას გამოვრიცხავთ.


REUTERS შარლოტიდან


REUTERS ქონიადან

# ილოცე მეჩეთში

თურქეთის მესამე დივიზიონის „ლადიქს“ თანალიგელი „ბელედიესფორი“ 2:1 დაუმარცხებია და სამადლობელი ლოცვა მოედანზევე აღუვლენია. დიდ თურქულ გაზეთებამდე მიღწეულ ამ ფოტოს ერთი სკანდალი გამოუწვევია, რადგან იქაური კანონით, ლოცვა მეჩეთში და არა სახალხო თავშეყრის ადგილებში უნდა აღავლინო. შედეგიც სახეზეა: კლუბის უფროსობა გადადგა, სპონსორმა კი ქუდი დაიხურა და წავიდა.


REUTERS ჰამბურგიდან

# მაინც მოიგო

*ჰამბურგის მასტერსის ტურნირზე თამაშისას მუცელი წამოსტკივებია ესპანელ ჩოგბურთელ ხუან კარლოს ფერეროს. თუმცა, ამ მცირე ტკივილს თავისი ვერ გაუტანია და ესპანელს იოლად დაუმარცხებია ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი — 6:4, 6:3.*

# ვილნევი ემზადება

*ფორმულა ერთის ოდინდელი ჩემპიონი, კანადელი ჟაკ ვილნევი თავის „ბარის“ გუნდთან ერთად ემზადება მონაკოს დიდი პრიზისთვის. ესპანეთში, ვალენსიის ახლო, ჩესტერ ტრასაზე ვილნევი თავის ბოლიდს დასტრიალებს.*



REUTERS ვალენსიიდან


REUTERS პიტსბურგიდან

# ბროდოს სიმშრალე

რაც გინდათ სთქმით და ნიუჯერსელი მარტინ ბროდო დიდი მეკარეა. ამ სურათზე უცებ ვერც გაარკვევ, ბროდო ბეისბოლს თამაშობს თუ ჰოკეის, მაგრამ ორი დღის წინათ შინ დამარცხებულმა „ნიუ ჯერსიმ“ პიტსბურგში 3:0 სძლია „პინგვინებს“, ხოლო ბროდომ თავის საპლეიოფო კარიერაში მეთერთმეტე მშრალი მატჩი ჩაატარა. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში „ნიუ ჯერსი დევილზი“ დაწინაურდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge